ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№1 (55) იანვარი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

ჰეზო კეთოიშვილი & მიჰრანე კეცხოველი

პოეზია

კოკა არჩვაძე
დათო ქარდავა
ანაუნა გიორგაძე

პროზა

დათო სამნიაშვილი
ჯაბა ზარქუა
ლევან გელაშვილი

ინტერვიუ

ანატა შამუგიასთან

კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი
შოუ ბაბუხადიაზე

ნანა ტრაპაიძე
მიკა ალექსიძეზე

ახალი თარგმანები

ლარს პაგერი
ალექსანდრე ალტშულერი

№1 (55) იანვარი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ემგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, რეზო გეთიაშვილი, ასია დარბინიანი, კოკა არჩვაძე, დათო ქარდავა, პაპუნა გიორგაძე, დათო სამნიაშვილი, ჯაბა ზარქუა, ლევან გელაშვილი, დალილა გოგია, ლელა კოდალაშვილი, ნანა ტრაპაიძე, მანანა მათიაშვილი, დათო რობაქიძე

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

რეზო გეთიაშვილი

ეკა ქევანიშვილი – რეზო გეთიაშვილი: „ძვირფასი პორტრეტი – 20 წლის შემდეგაც“

როცა რეზო ლექსებს კითხულობს და თუ ჩემსავით, რამდენჯერმე თქვენც დასწრებიხართ, სადმე, დარბაზში, 28 ა-ში კიარადა, უფრო ახალ მისამართზე, შეიძლება, თქვენც გაგჩენიათ შეგრძნება, რომ ახლა რაღაც აფეთქდება, მისი ძარღვებიც დასკდება და სისხლი წამოვა.

ასე კითხულობს – თავიდან მშვიდად და ბოლოს ისე გაწითლებამდე, რომ მეფიქრება, შეიძლება ახლა დაეცეს. ახლაც, წერისას, წარმოვიდგინე, რომ მისი ლექსი, რომელიმე, ჩემი ფონია და სიტყვებიც, ასე, ამ წყობით თავად დალაგდნენ. მეუბნებიან, სწორედ ასე მოვყვე ამბავი, დაახლოებით, მისი მუსიკით.

მახსენდება დასაწყისები მისი ლექსების. უცნაურია, სხვა პოეტების მახსოვს მხოლოდ შინაარსები, მაგრამ არა ასე ზუსტად. რისი ბრალია? წიგნში ჩახედვის გარეშე რომ ამოტივტივდა „ბობ, ახლა უნდა რამე მირჩიო“... „სადაც ყვავილები მთავრდებიან“... „რას წამორმოვიდგენდი, ძვირფასო პორტრეტო“... „და წვიმს, ვიღაც აირავქნავს ხელებს“... „ადოლფ ეიხმან, ყველაფერი იოლია“... „შელამებაა, მაშინდელი, წიფლნარია“... „ჩვენი ქალაქი. ჩვენი ქუჩა. ჩვენი საკანი“... „სხივებმა ფოთლების ბოლო ნაპულსარი“...

ალბათ, იმის, რომ თავისთვის დგას, ვერავის ამსგავსებ მწერლებიდან და ამიტომაც გამახსოვრდება. ახლა კი, რეზო, ოცი წლის შემდეგ – „რას წარმოვიდგენდი, ძვირფასო პორტრეტო, თუ ასე ჩემი ხარ და ასე ოც წლამდე“ – რაც მოხდა, რაც ხდება და რაც ხვალ მოხდება, იმ ამბის შესახებ.

რეზო გეთიაშვილის ამბავი კახეთში იწყება. თავის სოფელში, ახლაც რომ კვირა ისე არ გავა, არ ჩავიდეს. თავიდანვე იყო წიგნები. უფრო სწორედ, წიგნები რეზოს დის ხელში. ბევრი წიგნი.

უთვალავი წიგნი. და თითქოს სახლშიც ასე დამკვიდრდა, სტანდარტივით და რეზოსთვისაც – უნდა ეკითხა. მაშინ რეზო პატარა ბიჭი იყო, ბევრი კითხვაც ეზარებოდა და გამოსავალი პოეტურ კრებულებში მონახა – მოკლე სტრიქონები იყო, ბევრი გამოტოვებული ადგილი – უცებ შეიძლებოდა წაკითხვა. ასე, სიმარტივის გამო არჩეულმა გზამ მიმიყვანა პოეზიამდეო.

ეს იყო ნამდვილი, ნამდვილი სოფელი – ემოციებით სავსე სამყარო, სადაც ბავშვისთვის ერთბაშად უამრავი რამ ხდებოდა. იყო რეზოს პაპა, რომელიც შვილიშვილებს ზურგჩანთებს მოჰკიდებდა ხოლმე და ვითომ ლაშქრობაში მიჰყავდა, ბარიერების გადალახვას

ასწავლიდა – ეს მაშინ იყო გზა გრძელი და ყველა დაბრკოლება ჩანდა უზარმაზარი პატარებისთვის, თორემ მერე, როცა რეზო გაიზარდა, ყველაფერი დაპატარავდა და, როგორც ხდება ხოლმე, სინამდვილე გამოჩნდა. მაგრამ მაშინ, ეს დაუვიწყარი თავგადასავლები იყო. ბენინის ფილმის, „ცხოვრება მშვენიერია“-ს სიუჟეტს ჰგავდა. რეზოს მეორე პაპა ნოვოროსიისკის ომის მონაწილე იყო და სადაც წავიდოდა, რეზოც თან დაჰყავდა. მაშინ მოიარა „ომის ქალაქები“.

მამის „ნოუ ჰაუ“ ბუნებასთან კონტაქტი იყო – გარემოსთან ზიარება. მას დაჰყავდა რეზო ტყეში, მინდორში, ტბებსა თუ ჭალებში. ამანაც განსაზღვრა ჩემი მომავალიო, ამბობს რეზო, რომელიც დღესაც, თავისი საქმით, გარემოს დაცვის სამსახურში დგას.

დედა ფანტაზიების საბადო იყო – გამოგონილი ზღაპრების ავტორი, რომლის მთავარი პერსონაჟი თავად რეზო იყო, ოღონდ ეს არ ყოფილა ძილის წინ მოყოლილი ზღაპრები. არამედ, ჭამისას. „უჭმელი“ რეზოს ყურადღების მისაპყრობად რას არ იგონებდა დედა. და ასე კვებავდა მას, ამ ზღაპრებით.

ოჯახში მასწავლებლის კულტი იყო – დედაც და ბებიაც და რეზოს დაც – ყველას მასწავლებლის პროფესია ჰქონდა. მერე ისე მოხდა, რომ რეზოს მეუღლე და მათი მართას დედა, პოეტი და მთარგმნელი ლელა სამნიაშვილიც მასწავლებელი გახდა.

კიდევ იყო ვენახი და მეურნეობა. რეზოს მამა მეღვინეა და ამ საქმეს დღეს რეზოც განაგრძობს, მისგან გადმოცემული ცოდნით. ვენახი – საკუთარ თავთან განმარტოებასთან იყო კავშირში. განმარტოება კი ყველა მწერალს წყალივით სჭირდება იმისთვის, რომ, რეზოს სიტყვებით რომ ვთქვა, „გადაიტვირთოს“.

კიდევ ბავშვობაში იყო სასაფლაო. და მის გარშემო არსებული იდუმალი სამყარო. სამი წლის იყო რეზო, როცა მამას ახალგაზრდა და დაეღუპა – გლოვა, მათ ოჯახში, წლების

განმავლობაში გაგრძელდა და მიცვალებულთან დაკავშირებულმა რიტუალებმა მის ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა – მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ყველა დეტალს განსაკუთრებული სიმძაფრით იმახსოვრებდა. კითხვები ჩნდებოდა და გროვდებოდა.

კიდევ, იქ, სოფელში ყოფნისას, სეზონები იყო ძალიან მძაფრი.

როდესაც თოვდა, არ ეძინა, ყოველ ხუთ წუთში წამოხტებდა ხოლმე და გარეთ გადიოდა, რომ ენახა, თოვლმა ხომ არ გადაიღოო, ან ხომ არ შენელდაო, უნდოდა ბევრი მოეთოვა.

გაზაფხულზე, ყვავილებზე, სატაცურზე და ტყის მარწყვზე სიარული უყვარდა. კიდევ წიწილების გამოჩეკვა – რასაც მისი ბავშვური აღტაცება და სიხარული უკავშირდებოდა. ხანდახან ემოცია იმდენად ძლიერი იყო, რომ დაძინება უჭირდა.

ეს მდიდარი სამყარო თავისთავად კიდევ შედგებოდა ბევრი პატარ-პატარა სამყაროსგან. ისიც იყო, რომ მშობლებს მეტი დრო ჰქონდათ შვილებისთვის. კიდევ, უბანი იყო. სახლი, გაკვეთილები და მერე მაშინვე სადღაც გარბოდა, სათამაშოდ. და ფეხბურთი – რეზოს აბსოლუტური ბედნიერება. ფეხბურთის სიყვარული დიდხანს გაჰყვა.

და ამ თოვლში და სატაცურებს და ფეხბურთს და ლაშქრობებს შორის უკვე გაჩნდა პირველი ლექსებიც. სულ სულ პირველი ლექსი, დათუნიაზე, ხუთი წლისამ დაწერა და დღემდე ახსოვს. ალბათ, დედამ თუ ჩაიწერაო, ამბობს.

ასეთი იყო:

,, დათუნიას რომ მოშივდა,
სული ითქვა ასე,
ისეთი სკა გამოძებნა,
თაფლით იყო სავსე,
ახადა სკას სახურავი,
ამოუსვა თათი,

აი, მართლა ეს ყოფილა
ღორმუცელა დათვი“.

მერე წერდა სეზონულ ლექსებს ახალ წელზე, რვა მარტზე, მკვდრებზე. მსმენელებიც ჰყავდა, გულშემატკივრობდნენ.

ერთი საბედისწერო ამბავიც მოხდა, როცა რეზო 9 წლისა იყო. ავტოავარია, რომელშიც სასწაულით გადარჩა. თუმცა მას მერე ბევრი რამ აეკრძალა – ველოსიპედიც კი აღარ უყიდეს – ვაითუ, რამე დაუშავდესო. არ გადმოვარდესო. ნელ-ნელა, ასაკის მატებასთან ერთად, პროტესტებმაც იმატა. რაც უფრო მეტად უფრთხილდებოდნენ, მით უფრო მეტად ცდილობდა მეამბოხის როლში შესვლას. 13 წლის მერე ოჯახში არსებული გლოვის ტრადიციის მიმართაც გაუჩნდა პროტესტი და რაღაცების შეცვლა მოუნდა.

ეს იყო 80-იანი წლების დასასრული. ხალხი, სოციალურად, ჯერ კიდევ კარგად გრძნობდა თავს, ბავშვობა ტკბილი იყო, ჯერ საყოველთაო ვნებათაღელვაც არ დაწყებულიყო, არც ომი იყო. თუმცა ნელ-ნელა რაღაც იცვლებოდა. და ეს იგრძნობოდა.

„კარგად მახსოვს, არადა, ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, ჩემმა ქართულის მასწავლებელმა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები აგვიხსნა და მერე გვკითხა, როგორ ფიქრობთო, ასრულდა თუ არა ილიას იდეებიო. ჩვენ ერთხმად ვუპასუხეთ, რომ ასრულდა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ილია წერდა და ისიც არასდროს დამავიწყდება, ჩვენი მასწავლებელი, როგორ აქნევდა თავს უარის ნიშნად – არაო, ასე არ მომხდარაო. ჩვენ კი გვიკვირდა. და ასე, ნელ-ნელა მოვიდა ეს ფიქრიც, რომ იმ კომფორტში რაღაც იყო მოშლილი და მერე კი ვიცით, როგორ დასრულდა ეს ყველაფერი“.

მერე იყო სტუდენტობა და თბილისი. დედაქალაქში 1992 წელს ჩამოვიდა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა და პრინციპში, მაშინვე მოხვდა ისეთ საზოგადოებაში, ვისთანაც მეგობრობა დღემდე გრძელდება. ამდენი წლის მერეც ეს წრე დიდად აღარ

შეცვლილა.

...

ამ დროს უკვე გარკვეული იყო, რომ ბავშვობაში საყვარელი საგნებისათვის, ქიმიისთვის და მათემატიკისთვის, თავი უნდა მიენებებინა და ხელი წერისთვის მოეკიდა. ამიტომაც, ყველაზე მეტად მაინც ჟურნალისტიკასთან დააკავშირა თავისი მომავალი რეზომ. და ასე მოხვდა პოეზიაში, ომსა და ჟურნალისტიკაში. თბილისის ომი უკვე დასრულებული იყო, მაგრამ აფხაზეთში კონფლიქტი სწორედ რეზოს და მისი მეგობრების სტუდენტობას დაემთხვა.

მეორეკურსელები ფრონტის ხაზზე რეპორტაჟების გასაკეთებლად დადიოდნენ.

„მივლინებაში მივდიოდით „ახალგაზრდა ივერიელიდან“, ალბათ, 17-18 წლისები ვიყავით, მეტის არა. იყო უფასო თვითმფრინავები და დავფრინავდით სოხუმში. ნანა აკობიძე, ალეკო ცქიტიშვილი, მე, სხვებიც. მაგრამ არ გვეშინოდა. თითქოს არავის ეშინოდა მაშინ. და ის სტატიებიც იმით იყო გაჟღენთილი, რომ ვიცოდით, ამ ომს წავაგებდით. მახსოვს პატარა ბავშვები, ავტომატებით რომ დარბოდნენ. მერე ჩვენც აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან დიდი სიყალბე იყო იმაში, რაც ინერციით მოდიოდა 80-იანი წლებიდან. და ამით გაჟღენთილი იყო უნივერსიტეტიც. ლიტერატურული გამოცემებიც... ამიტომ ვცდილობდით პროტესტი გამოგვეხატა“.

მაშინ გაჩნდა „ბებერი პოეტების ორდენიც“. უნივერსიტეტში ეუბნებოდნენ, რომ სამშობლოს სიყვარულზე უნდა ეწერათ. იყო კიდევ წარსულისკენ მიმავალი ლიტერატურული წრეები, მგზნებარე ლექსები სადაც იწერებოდა. „ბებერი პოეტები“ და მათი თანამოაზრეები კი საპირისპირო გზით სიარულს ცდილობდნენ. პათეტიზმის საწინააღმდეგოდ, რაც რეზოს აზრით, ქართველმა ავტორებმა ნაწილობრივ დაამარცხეს, თუმცა მკითხველმა ვერა.

„ჩვენი „ბებერი პოეტების ორდენი“ იმდროინდელ მოზაიკაში ერთი კარგი ადგილი იყო, ასე მგონია. მე, ალეკო ცქიტიშვილი, ნანა აკობიძე და კახა ჭაბაშვილი. იმ ასაკში ვიყავით, როცა ძალიან ბევრი ემოცია გვიტევდა. ყველაფერს ვწერდით. თან, ფსევდონიმებით. მე ვიყავი ჩარლზ ჩენდლერი, მისტერ სატერზვეიტი იყო ალეკო, ნანას არ ჰქონდა ფსევდონიმი და კახა იყო ადოლფ ეიხმანი. ესეც ტრიუკი იყო, რაღაც იაფი ბესტსელერებიდან აღებული პერსონაჟების სახელები, რომლებიც უცებ პოეზიაში შემოვიყვანეთ. თან მაშინ რაც ხდებოდა ჩვენში, ძალიან კარგი მასალა იყო საწერად, სავსეები ვიყავით“.

და რეზოს რომ ჰკითხო, ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსებიც მაშინ დაწერა. დღეს, რაც დროს გადის, ის ემოციაც დაიკარგა და წერის ინტენსიურობაც. ერთი გზაა, რომ არ ჩამორჩე – მეტი არაფერი აკეთო და ალბათ, თუ ხელოვნებაში ვინმემ ძალიან დიდი კვალი დატოვა, მათ, ვინც ბოლომდე ემსახურა ამ საქმეს – ამბობს რეზო.

ის, რასაც ამ ბოლო დროს წერს, უფრო დიდი ხნის დაგროვილი თუ დაგუბებული ემოციების რეზიუმეა, ერთგვარი შეჯამება, და არა ის, რაც უცებ იგრძენი, როგორც ეს ადრე იყო, ვერსად რომ ვერ ჩატევდი და მოითმენდი:

„დღეს კი ფიქრობ და ფიქრობ და სამი თვის მერე შეიძლება რაღაც დაწერო. მე მგონია, და ყველაზე ცუდიც ეს არის, რომ ეს პროცესი არ მიდის პროგრესისკენ. თითქოს ჩემი პოეზიის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს ვშორდები. არ ვიცი, იმ დროს შეიძლება თუ არა კიდევ დავუბრუნდე. დღესაც რომ მკითხო, მე ის ძველი, ჩენდლერის არქივის ლექსები უფრო მომწონს... ახლა ვცდილობ, რაღაც მთავარ კითხვებზე მეტაფორული პასუხები ვიპოვო. და მაშინ, სტერეოტიპების რღვევას ვცდილობდით, გვინდოდა რაღაცისთვის ქვები გვესროლა და ჩვენი ლექსები იყო ეს ქვები“.

ჟურნალისტიკაც მისი სამყარო იყო. ზოგიერთი ავტორისგან განსხვავებით, ვინც წარსულში, რეზოს მსგავსად, ისევ და ისევ წერის სიყვარულის გამო ეს პროფესია აირჩია და მერე მიხვდა, რომ არაფერი კავშირი მასთან არ ჰქონდა, რეზოს ეს საქმე მოსწონდა. მაშინ, როდესაც არავის უყვარს, როცა კითხვებს უსვამენ, აღმოაჩინა, რომ არსებობდა პროფესია, სადაც ამ კითხვებს შენ სვამდი. ხოლო ვისთანაც მიხვიდოდი, ის

ვალდებულიც კი იყო შენთვის ეპასუხა. მერე კი ამ პასუხებში სიმართლე უნდა გეპოვა. შენ კი, ჟურნალისტს, ისეთი კითხვები უნდა დაგესვა, რომელზე პასუხიც არ იქნებოდა მარტივი.

„ეს საინტერესო იყო ჩემთვის. იმიტომ, რომ არიან ადამიანები, ვისაც სიმართლის ნასახი არა აქვთ და ქვეყანას მართავენ და პირიქითაც, არის ხალხი, ვინც სულ მართალია, მაგრამ ხმა არსად მიუწვდება. მე შემეძლო მათზე მეწერა“.

და ამ ყველაფრის პარალელურად იწერებოდა მისი ლექსებიც. ოღონდ რეზო გეთიაშვილის პოეზია ნაკლებდა ეხებოდა სოციალურ საკითხებს, უფრო კითხვებს სვამდა. თუმცა ეს კითხვები ვერ იქცეოდა დევიზებად – „ვერც ერთი რევოლუცია ვერ გამოაცხადებდა, რომ „სიყვარული და და მხოლოდ სიყვარული“. ის იტყოდა: „ძმობა ერთობა თანასწორობას“ ან რაღაც მსგავსს...“

ის წიგნებიც მაშინ გაჩნდნენ, რომლებმაც რეზოს ცხოვრება და ლექსებიც მეტაფორული გახადა. ჩაპლინის „ჩემი თავგადასავალი“, ჰაინრიჰ ბიოლის „კლოუნის თვალთახედვა“ თუ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“...მაშინ ეს მისთვის სიახლე იყო. დღესაც ლიტერატურაში ყველაზე მეტად სიახლე უყვარს და სიახლეს ეძებს. აკვირდება, რა იწერება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და დასკვნაც აქედან მოდის, რომ რეზოს აზრით, თითქოს ჩაიარა დიდი ძვრებისა და გადაფასებების პერიოდმა, და უკვე სკოლებიც ჩამოყალიბდა თანამედროვე ლიტერატურაში.

„მე მგონია, რომ დღეს უკვე იწერება ის, რის უკანაც რაღაც სკოლა დგას. ვითარდება, არ მეორდება. მე ასე ვხედავ. მერე შეიძლება ისევ მოვიდეს თაობა, ვინც კვლავ დაანგრევს და რაღაც ახალს დაიწყებს. ახლა, თითქოს შეთანხმებაა ავტორებს შორის, რომ ეს ყველაფერი სწორია. მე მომწონს ეს მრავალფეროვნება – ახალი ავტორები მოდიან, მაგრამ არც ძველები ჩერდებიან“.

თვითონ რეზო დღეს უფრო ცოტას წერს. ახალი კრებულისთვის ლექსები დაგროვდა, თუმცა, ვნახოთო, ამბობს. ბოლოს მისი პროზაული კრებული გამოვიდა, სულ ახლახან, „ტერრა ინციგნიტა" ჰქვია. და მისი უახლოესი გეგმებიც ისევ პროზას უკავშირდება.

სხვათაშორის, თავისი ყველაზე ავანტიურისტული თავგადასავლები სწორედ ამ წიგნში აღწერა. ისიც, როგორ ვერ წავიდა მწვანე ბარათის მფლობელი რეზო ამერიკაში და ისიც, როგორ მოხვდა კანადაში მიმავალი – ინდოეთში – მთელი რვა თვით. დეტალები – ახლა უკვე ღიმილს რომ იწვევს, ამ წიგნში აქვს მოთხრობილი, ამიტომ აქ აღარ ჩამოვყვები. წიგნი სულ ახალი გამოსულია და სჯობს, იქ გაიგოთ ეს ამბები.

ის „გადატვირთვა", ზემოთ რომ ვახსენეთ, აუცილებელი პირობაა, რომ ისევ აივსოს და მეტი წეროს. იქნებ, ორი-სამი დღეც იყოს ამისთვის საკმარისი, თავის თავთან, თავის ვენახში, თავის ბუნებაში მარტო დარჩენა. ყველა ასე არ ვართ? სხვანაირად – დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე აკეთო ერთი საქმე, მერე დაბრუნდე და უცებ გადაეწყო ლექსების საწერად – ასეთი რამ რეზოსთვის წარმოუდგენელია. კითხვა ანაცვლებს ამ პროცესს ნაწილობრივ, მაგრამ კითხვა მაინც კითხვაა. შენსას ვერ ქმნი, სხვისი დაწერილით ივსები.

„ჩემი გონება უკვე გადაეწყო იმაზე, რასაც ითხოვს ჩემი სოციალური, საზოგადოებრივი და პირადი პასუხისმგებლობები. რაც დღეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ეს აღარ არის სევდიანი. ამ ეტაპზე, მგონია კიდეც, რომ ასე ჯობს და სწორედ ამას უნდა ვუთმობდე მეტ დროს. ამ ჩემს პასუხისმგებლობებშიც არის რაღაც სიმართლე, რასაც დღეს ვაკეთებ სამსახურში – თუნდაც, ტყეები, ეკომიგრაცია. ერთ-ერთი ბოლო საქმე, რაც ყველაზე მნიშველოვანი გახდა ჩემთვის, ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიაა, რომლის გამოც მუდმივი კომუნიკაცია მაქვს 500-მდე სკოლასთან. ეს ძალიან დიდ ენერგიას

მაძლევს. იმიტომ, რომ ვხედავ, ამ ბავშვებს რისი გაკეთება შეუძლიათ“.

როგორია ორი პოეტის ერთად ცხოვრება? ალბათ, თქვენც ჰკითხავდით. მაგრამ პასუხი უფრო ჩვეულებრივია, ვიდრე შეიძლება მკითხველს წარმოუდგენია – ნამდვილ ცხოვრებაში, იქ სადაც ლელა და რეზო და მართა ერთად ცხოვრობენ, პოეზია არ არის დიდი დოზით. და მართა ამ მხრივ, კარგი ინდიკატორი აღმოჩნდაო, რეზომ მითხრა, რადგან თავს არავინ ახვევს პოეზიას და მასაც დღეს ფიზიკა და ხატვა მეტად აინტერესებს. თუმცა მე მაინც მგონია, რომ დიდი აღმოჩენები მართასთვის წინაა – სხვანაირად არ გამოვა, როცა ასეთი პოეტების შვილად დაიბადე.

და მერე რა, რომ პოეზია არ არის ძველი დოზით. სამაგიეროდ, არის შეგრძნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს რეზო ისევ დაუბრუნდება ამ საქმეს, წერას. და როცა 20 წლის მერეც იყურება, იქ, იმ მომავალში, ისევ სოფელი ჩანს, და სახლი, სადაც ბრუნდება.

მეოთხე პირის ნიშანი

ლექსები

მამას

ყინვებში, თბილ წყლებში, შებინდებისას იხვები სხდებიან

შიგნით ტბებია, ჩალებია, გარეთ – ოთახი,
თბილი კედლები, ჩვენ, ყველანი და ვინ რა იცის,
რომ ტბები შიგნით, ვარსკვლავები, მინუს ათამდე –
ბეჭდით, ტიტულით, ავტოგრაფით, კოპირაიტით.
ვარსკვლავებამდე დროა, დროში – გზაა, ფეხებში –
თოვლის ქვიშები, შორს – წნორები, თვალში – ჩიტები,
მორჩა, ღამდება, ცას უსმინე, შენს თავს შეხედე,
ასეთ სიჩუმეს შენ და მინუს ათი სჭირდებით.
შეხედე, მისი ნაწილი ხარ, ისე ჩუმი ხარ,
ცივა, არ გცივა, კი არ გცივა, ეს ხარ, ცივი ხარ,
ყველა უფლება დაცულია, ახლა ლურჯი ცა
უნდა გაიხსნას და იხვები, ფრთების წივილით,
კოსმოსს შუაზე გადაჭრიან, ეს სილურჯეა
სისხლში წასული, კანიდან და სისხლძარღვებიდან,
ჩვენ არ მოვკვდებით, ერთი თუ ვთქვით, ერთი თუ გვჯერა.
გარშემო უკვე ვარსკვლავები იბადებიან.

კამა და კარტოფილი

ბალახის ღერია, სპირალის ორნამენტის
ხორცისფერ ბალიშებში, ძალიან ცუდი დრო აქვს –
არ იცის, იკვებება, არსებობს, მდგომარეობს,
წამიერებაში ჩაშლილი მუდმივობაც
ათჯერ აქვს გაზომილი – ნისლები, ელიფსები,
ჩვიდმეტი მილიარდი, როგორი სარისკოა,
მაგრამ რა სასწაულად გადარჩა ყველა მისი
პირდაპირი ხაზის წინაპარი სპორა –
სიცოცხლის პატრონია, სივრცისა და დროის
პატარა გადაკვეთა, ცოტაც და სულ რომ არც კი,
ისეთი უჩვეულო, როგორც ეს შესაძლოა,
ალტერნატიული – უსასრულობაში.
სულ მცირე დაკვირვება და უცებ ამ ობიექტს:
ა) აღქმა შეუძლია;
ბ) ბრძოლა ერთი დღისთვის.
არადა, კარგად ვიცით, ორ წამში რა მოხდება,
ისიც რომ ვიცოდეთ, რომ არაფერი ვიცით –
მოწყდება, ჩაეჭრება და ირგვლივ, სათოფეზე,
დადგება სურნელება კამის და კარტოფილის.

მეოთხე პირის ნიშანი

ჩვენ სულ სამნი ვართ, ჩვენი ციცქნა, ჩვენი ძირულა
მწვერვალებიდან, საკუთარი თავის წინაშე,
ვზომავთ ერთმანეთს, მერე რა რომ ზედაპირულად,
და სიღრმეშიც რომ ჩავიხედოთ, რას დავინახავთ?

რა ჩანს საერთოდ? მიკროსკოპში – მოლეკულები,
შორს – დაკარგული მეგობარი, ის კი ერთხელაც
მთაზე ავიდა, გარკვეული მოვლენებისთვის
ხუთი ათასი მეტრიდან რომ გადმოეხედა,

მაგრამ იმ მთიდან რა ჩანს, თუნდაც ერთი ნისლიც რომ
არ მიეფაროს? ნისლეულის იქით მიაგნეს
შავ სუბსტანციას, ერთ ადგილას რომ ჩაიზნიქა
და დრო და სივრცე რომ ეყოლა, როგორც სიამის

ტყუპი. სამნი ვართ, დღიდან დღემდე, როგორც კარიდან
კარში, დავდივართ და სამ პირში ბრუნავს სამყარო,
რადგან ყურება ერთდროულად სამი თვალით ან
ერთად სამი გზით სიარული – შანსი არ არის.

ან თვალებშიც რომ შევაღწიოთ, იქიდან რა ჩანს?
ვსვამთ და ხანდახან ჩაყლაპვამდე პირში ვიჩერებთ
კადრებს, სიტყვებიც, სამი პირის, ფუჟერის მსგავსად,
სხვადასხვა სიგრძის მომრგვალებულ ფორმებს იძენენ.

მერე რა მოხდა? გამოვხატავთ და საერთოდაც,
ჩვენ სიტყვები გვაქვს, ძაღლს – თვალები, ჩიტებს – სიმართლე,
ცამდე მართლები ქვები ვიცით და პლანეტები –
ცაშიც მართლები, არაფერი არ ჩანს იმათგან,

მკვდრები არიან. ნეტა ერთი, ვიღაც გვაბოლებს,
რომ ცას ხვრელი აქვს, მარსს – ორბიტა, ჩვენ – ბილიკები,

ბილიკებს – ეკოსისტემები, ზუსტად ამ დროს კი
ეს ყველაფერი შეიძლება პირიქითაა

და რელიგიამ, მაგალითად, თავი იპოვა,
რევოლუციის უკან რაღაც პირადულია,
საუკეთესო, რაც აქამდე შევქმენით, მხოლოდ
შეცდომებისგან და ხელებში ვმალავთ მურიან

სახეებს, სინდისს სიკეთეში ვაწობთ ზეთივით,
სიმართლეები მწვანილივით დავახარისხეთ,
რადგან სწორი გზის ერთადერთი ორიენტირი
მცდარი გზებია და ამიტომ შეცვლის მხარეს ვართ

და ვცვლით და ვცვლით და ვცვლით და ვცვლით და
გზა მაინც არ ჩანს,
სინდისს კი ისიც შეგვიძლია პირნათლად ვუთხრათ:
ნაკლები ძაბვა – ელექტრომწყემსს, კანონს და ჩარჩოს,
რომ თაობების როტაციას მსუბუქად ურტყას

და ათი ლარი – გატარებულ, თბილ-თბილ ძროხაში,
სივრცე – პარკინგში, მაცივარში – მკვდარი ჩიტები,
ბრუნვა-ტრიალში ეს სამყარო ჩვენში მოვხარშეთ
და ახლა ვინმეს შემოშვება გაგვიჭირდება.

ის კი არსებობს, რა თქმა უნდა, მაგრამ ფართოა
მისი გაგება (თუ რამე ჩანს, რამის გამო ჩანს)
და ჩვენ ყოველთვის მართლები ვართ, როცა არ ვტყუით,
ათასნაირად შეიძლება ახსნაც, ამოხსნაც.

ახლა მთავარზე: სადღაც აქვე დედლაინია
და მერე რა, რომ ყველაფერი მართლა მძიმე ჩანს,
ჩვენ სულ სამნი ვართ და ისეთი ერთნაირები,
ვიღაც მეოთხე ჭეშმარიტად გაიცინებდა.

შობა

აიღე, შენი სხეულია:
ორი თვალი, ერთი – მარცხენა,
გახსნი და შენი სადგურიდან
გალაქტიკაც უკვე მზადაა
გზაზე დაიქცეს, დაუყევი,
დაკიდებულ ხიდს რომ გაცდები,
მარცხნივ გადადი, მანდ გულია,
ყველაფერი მაგას გადააქვს.

აიღე, შენი სიცოცხლეა,
დრო – კუდივით და გზა, რომელსაც
მხოლოდ ბოლო და თავი უჩანს
და ხელები, ვისზეც ხელები
ერთი შეხებით გიხორცდება,
სიყვარული – რაც კი მოგეცა,
ტკივილი – ცა რომ დაგილურჯა,
შიში – რასაც კარგავ, ელევი.

აიღე, შენი სიკვდილია,
შენი ჩრდილი, როცა ღალატი
უკვე არაფერ შუაშია
და ეს ჯვარიც – თანდაყოლილი
(რამდენიცა ვართ, იმდენივე) –
რაც გვასწავლე, რასაც მანამდე
ჩვენგან სწავლობდი, სულ ასეა,
სულ მივდივართ, რაც კი მოვედით.

აიღე ყველა მაგალითი,
ყველა ტვირთი და თქვი: მერე რა,
თუ მაინც გიყვარს, მაინც ეძებ,
მაინც ღირდა... ერთი სუნთქვა და
დაიწყო. ნახე, რა ტკბილია

სიჩუმეში შენი ტირილი
და რა მწარეა, მით უმეტეს,
როცა ღმერთსაც ასე უყვარხარ.

კატის იგავი

მე გავაკეთე ეს გისოსი, რკინად ვაქციე
მიწა და ჩავსვი, ეს ფანჯარაც მე გავაკეთე
და ჩავამტვრიე ძველისძველი ტექნოლოგიით.

მე გავაკეთე, ქუჩაში რომ ლურჯი ტაქსია
და შავი კატაც, ტაქსის წინ რომ გზა გადაკვეთა,
უსწორმასწორო შენობებით შემოღობილი,

მე გავაკეთე, უფრო სწორედ, მე გავაცატე.

ვინც მყავს, პირადი სამყაროა, ეჭვის გარეშე,
მანამდე თავი გამოვიცხე, როგორც კრემბრულე,
ესა ვარ, ცოტას – გულს ვიკეთებ, თანაც გავერთე:

ოზონი – ხვრელი, წყალი – დენი, ღინღლი – ბალიში,
ეს ამინდებიც ჩემთანაა დამზადებული
და მგონი, წარღვნის რიმეიკიც მე შემიკვეთეს.

ბალანსი: კატას რძე დარჩება, მე კი – სიკეთე.

მას არ ჰყავს მამა, როგორც წესი, გაცილდა წვრილშვილს,
ვიდრე მუცელში ულვაშები დაეტყობოდათ
და დაიკარგა აჩრდილების სამეგობროში.

მე კი ვაკეთებ მილიონებს, გაქურდვის შიში
მერევა ხოლმე ბნელით მოცულ აგარაკებზე
და ზოგჯერ ველარ გამიგია, იცი, არ ვიცი,
რა მინდა, ღმერთო, ახლა რა ვქნა, რა გავაკეთო?

სისულელეა მოღალატე კატის იგავიც,
რის მიხედვითაც, სადმე უნდა წასულიყავი.

ყელში ამომდის სიგარეტიც, ხოლო ხელებში
მორიგი ღერი. ამასაც რომ ველარ შევეშვი.

მეტალო პლასტმასი

დათბა (როგორღაც მოგწონს, როცა ორი მინა ყოფს
სითბოს ყინვისგან), ღვინოც მოგწონს, ოდნავ უკეთეს
ზაფხულს იხსენებ, გაზაფხული თითქოს არც იყო,
დაბერდი, უკვე გაგაბრუა, შეშას უკეთებ.

გარეთ – ხეები, როცა გძინავს, სულში ძვრებიან
და აღმა-დაღმა დააფრენენ სახლებს, სახეებს,
ახლა ღუმელში რომ შეყარე, მათი ძვლებია,
ნიავზე ხრჩოლავს, ნაცარია გამოსაღები.

ამბობ, ძროხები, ეს მსუქანი, ზანტი ირმები,
მარტო ერთ პატრონს ენდობიან, სხვები, სულ ასე
ინდიფერენტულ თვალებში ვართ ჩაკეტილები,
ვიდრე პატრონი არ ჩაკეტავთ საყინულეში.

იხსენებ ვარდებს, ცინიკურად, უნდა იჩქარო
ყველას მოწყვეტა, მზეს ვენიდან სისხლი აუღო
და ცარიელი ლარნაკი დევს, როგორც სინჯარა.
ხვალ დილით ნაცარს გამოიღებ, ხეებს გაუყოფ.

რუსიკო

გარშემო, როცა ჩამოდიხარ, მხოლოდ გვერდითი
მოვლენებია (ამას მალე გადავეჩვიე.
ერთად გაგვზარდეს, წელიწადში, სადღაც, ერთი თვე
ერთად ვიყავით, ჩვენ – დანარჩენ თერთმეტს გვერჩია).

ეს დღეც... შორია საღამომდე, ღმერთი არსებობს –
მამას მივყვები სამსახურში და აქ ისრები
უფრო სწრაფია, ბოლოს ჩრდილიც მივლის გარშემო,
შინ შენთან ყოფნა მელოდება: ქუჩა, ჭიშკარი...

მხვდები და ზედაც არ მიყურებ: "მოდი, დაჯექი".
მშობლიურია, საშიშია, სხვაა, ჰაერი
ისე წითლდება, მუნჯი კინოს პერსონაჟებით
გარემოცული ოდნავღა ჩანს ჩვენი საერთო

პაპის ცხედარი (მკვდრები ვიცი, დაბადებიდან
დამყვა სახლი და სასაფლაო, მაგრამ არცერთხელ
დაკავშირება არ მიცდია, მაგრამ ვკვდებით და
რაკი ასეა, მკვდრები სახლშიც შემოაღწევენ)...

ასე მოგვიკვდა პაპა, მერე მაღლა ავიდა,
კედელზე, იყო ორი ჩარჩო, ერთი – ფიცრის და
მეორე – შუშის, ჩარჩოები იყო იქიდან
მოყოლებული და სახეებს ხშირად იცვლიდა.

შენ წამოიწყე ეს თამაში, მე – ჩამოგხსენით
და შენს ჩარჩოზეც წლებმა მტვერი დადო თოვლივით
(სადღა მეგლოვეთ, მკვლელი გავხდი, ორი ფურცელი
მე ამოვხიე სამყაროდან), მაგრამ დროდადრო

გხედავ, ხელებზე ხელებს მკიდებ, პირში მომლაშო
ცრემლის ღერი მაქვს გარჭობილი: "შეხედე, აქ რაც

ზმნებია, ყველა დაბრუნდება საწყის ფორმაში,
ჩვენი შეხვედრაც დაბრუნდება, რომელიც გაქრა”.

სიზმარში ვტირი, არც კი ვიცი, მძინავს თუ მართლა
უნდა დავიხრჩო, სინანული ყელის სისქე მაქვს.
ზიხარ მფარველი ანგელოზი ჩემს სასთუმალთან
და იმეორებ: “ყველაფერი კარგად იქნება”.

ამონარიდები

არტისტული ყვავილებიდან Art ყვავილებამდე – ზაზა შათირიშვილი

რატომ არის რეზო გეთიაშვილი დიდი პოეტი? – უპირველეს ყოვლისა, პოეტური ენისადმი სრულიად ახალი და ცოცხალი დამოკიდებულების გამო. მის ლექსებში მნიშვნელოვანია არა იმდენად ხატწერა და სტილი (რიტორიკის სიბრტყე), რამდენადაც – ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომებისადმი დამოკიდებულება – პოეზიის გრამატიკა. რეზო გეთიაშვილმა გაქვავებული ენობრივი შრეები აამოძრავა, ამოაბრუნა და სრულიად ახალი პოეტიკა მიიღო.

საგულისხმოა, რომ გეთიაშვილმა იმ მნიშვნელოვანი ტენდენციის მოხელთება და მოთვინიერება მოახერხა, რაც უკვე მის გამოჩენამდე "ჰაერში დაფრინავდა" – ვგულისხმობ იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების "ამობრუნებასა" და მათი ავტომატიზმის შეჩერებას. (...)

ამავე დროს, მან თამამად ისესხა სამეტყველო ცოცხალი ენისაგან პროზაიზმები, გამოიყენა სრულიად არაპოეტური კავშირებითი ფორმები თუ სხვა "ტრივიალური" სამეტყველო კლიშეები და, რაც მთავარია, ერთი ჩამონათვალის ("რეესტრის") ფარგლებში განათავსა როგორც იდიომის შემადგენელი, ისე – "ჩვეულებრივი" სიტყვები. ყოველივე ამან მოგვცა სრულიად ახალი და განუმეორებელი პოეტიკა.

რას გვაძლევს ეს ყოველივე? – სრულიად ცოცხალ სამეტყველო ინტონაციებს, უნიკალურ პიროვნულსა და პოეტურ ხმას, პოეტური ენის გათავისუფლებას "პოეტიზმებისაგან", მრავალსიტყვიანი რიტორიკისაგან, არამოტივირებული მეტაფორებისაგან, "სტერილური ქართულისაგან" – ანუ ყოველივე

იმისაგან, რითაც, სამწუხაროდ, სავსეა თანამედროვე ქართული პოეზია.

რეზო გეთიაშვილის პოეტური სინტაქსი თითქმის უზადოა. მისი სინტაქსი ფლობს ყველაფერს – ანჟამბემანს; რთულ ქვეწყობილსა თუ თანწყობილ წინადადებებს; ცალკე თემაა ნეოლოგიზმები, ცალკე თემაა ბგერწერა.

მაგრამ დავუბრუნდეთ სინტაქსს, რომელსაც, ამავე დროს, შეუძლია გამოხატოს ინტონაციათა მთელი წყება – ყოვლისმომცველი და გადამდები ლირიკული მელანქოლიით დაწყებული და რისხვიანი პოლიტიკური ინვექტივით დამთავრებული.

რაც შეეხება პოლიტიკურ ინვექტივას, Artყვავილების წინამდებარე გამოცემაში არის ლექსი, რომელმაც ააღორძინა ქართული სამოქალაქო პოლიტიკური ლირიკა. [...] რეზო გეთიაშვილის მკვდრების მანიფესტი (ამავე სახელწოდების ციკლიდან), ესაა ნამდვილი სამოქალაქო პოლიტიკური ლირიკა, რომელსაც ქართულ პოეზიაში სრულიად ახალი, გარკვეული აზრით, "ინგლისური" ინტონაცია შემოაქვს. "ინგლისურის" საფუძველი გასაგებია – ესაა მაჩაბლისეული შექსპირი, რომელიც რეზო გეთიაშვილის პოეზიაში შეუფარავად "ისმის". [...] მაგრამ, საქმე ისაა, რომ მაჩაბლისეული შექსპირი „მკვდრების მანიფესტში" საკუთრივ შექსპირულად" ჟღერს – იმ ინტონაციით, რაც შექსპირის ერთი უმთავრესი "თვისებაა" – აფორისტული წყობის მედიტაციური პოლიტიკური რეფლექსია ძალაუფლებაზე. [...] გენიალურ მაჩაბელში იყო ეს შექსპირისეული პოლიტიკური პოტენციალი, რომელიც გეთიაშვილმა აიღო და "ახალ დროს" მოუცილებელი იარლიყი მიაწება...

მაგრამ დავუბრუნდეთ გეთიაშვილის პოეტურ საქმეს და აღვნიშნოთ მისი უბადლო პროსოდიული სმენა: ის შესანიშნავად ფლობს 6-ტერფიან დაქტილს ("წვიმამ არ / იცოდა / ძალა სა / კუთარი, / არც მშვიდი / ოთახი…"). ამასთანავე, გეთიაშვილმა

სრულიად ახალი ინტონაცია და “სემანტიკური შარავანდედი” მიანიჭა ტრადიციულსა და ძირძველ 14-მარცვლიანს, აღარაფერს ვამბობ მის ჩინებულ ტონურ ლექსებზე; აღვნიშნოთ და მხოლოდ მოვნიშნოთ Artყვავილების ინვარიანტული მოტივები და ხატები (ცარცის ვაგონები, ფანჯრები, ხეები და ფარდები, წერტილები და მძიმეები, მატარებლები, მორიელები და რვაფეხები, ქალაქი ბაისიკლი და მისი კომბინატი…), მხოლოდ მოვნიშნოთ სიბერისა თუ დაბერების თემა და “ბებერ პოეტთა” საუცხოო უცხოური წრე, სადაც “ინგლისური” ელფერი დომინირებს (ჩარლზ ჩენდლერი, სატერზვეიტი, ბობი, უილიამი…), ქალთა სახელები და სახეები (ბელა, მარგარიტა, ჰეთი…), ინტერტექსტები (მაჩაბელი, გალაკტიონი, ყანწელები, მურმან ლებანიძე, აგათა კრისტი, მას მედია, სპორტი…) და შევჩერდეთ, რადგანაც გაცნობა და მეგზურობა შეიძლება ყოვლისმომცველ და დამღლელ ფილოლოგიურ კომენტარში გადაიზარდოს.

რეზო გეთიაშვილმა აითვისა გალაკტიონის სკოლა თუ გაკვეთილი და თავისი საკუთარი პოეტიკა შექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი პოეტებისათვის მხოლოდ გალაკტიონი საკმარისი ვერ იქნება – უფრო მეტიც, გეთიაშვილის მიერ “გამოცოცხლებული” სხვა “გვერდითი” ტრადიციებიც აუცილებლად თავიდან “შესასწავლი” ხდება (ვგულისხმობ, არაოდენ მაჩაბლის ლექსს, არამედ – ცისფერყანწელებსაც, მაგალითად).

სწორედ ამას ნიშნავს “გალაკტიონის ეპოქის დასასრული”. ცხადია, აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ “გალაკტიონის სკოლა” არ სრულდება, უბრალოდ, გალაკტიონი უკვე ჭეშმარიტი კლასიკოსია, როგორც – რუსთველი, გურამიშვილი და შვიდკაცას ყველა დანარჩენი წევრი, ხოლო გეთიაშვილი – თანამედროვე დიდი პოეტი, რომელიც იძლევა ქართული კლასიკური ტრადიციისა და პოეტური ენის თანამედროვე ათვისების საკუთარ ვარიანტს.

“ლიტერატურა - ცხელი შოკოლადი”

“მე ვწერ ჩვეული სიდინჯით და ნაცნობი კოდით” – მაია ჯალიაშვილი

[...] რითმა – პარალელური, ჯვარედინი, თავკიდური, შიდა და სხვ. – მისი ლექსების მთავარი საყრდენია, ის კარნახობს ყველაფერს, რაც პოეზიისთვის მთავარია: აზრსა და მუსიკალურობას, მოულოდნელ მხატვრულ სახეებს. გვხვდება როგორც ასონანსური, ასევე კონსონანსური რითმები. რითმასთან ერთად, მეტაფორულობა იქცევს ყურადღებას. დღეს ამით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ “პოეტის პორტრეტის” წარმოსაჩენად კი არსებითია ამ მეტაფორათა რაგვარობა, მოტივირებულობა, ფუნქცია. ეს პოეზია ხაზგასმულად ხატოვანია (ამით, რა თქმა უნდა, ენათესავება, უპირველესად, გალაკტიონსა და ცისფერყანწელებს), ამიტომ გვხვდება ტროპის მთელი არსენალი. რიტმულობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დამახასიათებელია შთამბეჭდავი ანჟამბემანები, სტრიქონიდან შემდეგ სტრიქონში გადაედინება აზრი, ემოცია და იქნება საოცარი რიტმი, რომელიც მკითხველს აიძულებს, სტროფები პაუზების გარეშე, მართლაც, ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოს. როცა კრებულს იღებ ხელში, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურა. აქ ცხრა რკალი, კონცეპტუალური სახელწოდებებით, მკითხველს აზრობრივ-ემოციური მრავალფეროვნების შთაბეჭდილების უქმნის. […]

რეზო გეთიაშვილის ლექსებში ცნობიერად თუ არაცნობიერად გამოყენებული სხვადასხვა ტიპის კოდის გაშიფვრა საინტერესო სურათს იძლევა. ეს პოეზია მდიდარია გამოსახვის ფორმებით, უპირველესად, როგორც აღვნიშნეთ, ყურადღებას იქცევენ მეტაფორები, რომლებიც მის ინდივიდუალობას ამხელენ. ეს მეტაფორები იბადებიან კონკრეტული ლექსის კონტექსტში და ხელს უწყობენ აზრობრივ-ემოციურ სიღრმეთა წარმოჩენას. მაგალითად, ავიღოთ, ისეთი გაცვეთილი პოეტური სახე, როგორიც მთვარეა. გალაკტიონმა და ლეონიძემ ამ სახის იმგვარი მეტაფორები შექმნეს, მოულოდნელობის მოლოდინი თითქმის

გააქრეს, მაგრამ ეტყობა, მართლაც, ამოუწურავია საგანთა და მოვლენათა ურთიერთდაკავშირების კომბინაციები. მელანქოლიურ ლექსში "მზერა-ჩახმახი, მარტოობაც" გვხვდება ასეთი სახე:

"და მთვარე ისე გაიბერა, სონეტს მოიგებს შუაღამემდე".

მარტოსულობით დაღლილი პოეტი ფიქრობს თვითმკვლელობაზე (ამ თემას აძლიერებს ინტერტექსტუალური კოდების შემცველი სიტყვები: "შუაღამე", "ჩახმახი", "ანანურთან", "მომკალი"), რომელიც დაიძლევა ლექსის შექმნით.

ამგვარივე განწყობილება მოჩანს ლექსში "სათვალე", რომელშიც ლირიკული გმირის უსაშველობას მთვარე (ზემოთნახსენები ლექსივით) კი არ ანელებს (გასანელებელია როგორც კერძო, ასევე სამოქალაქო ტკივილი), არამედ ამძაფრებს: "მთვარე კი ბღავის, დაკარგული კრავივით ბღავის".

სინტაგმა "დაკარგული კრავის" დეკოდირებას კი მოაქვს ახალი შინაარსი, რომელიც რწმენადაკრგული ადამიანის ტრაგედიას ამხელს.

ამათგან განსხვავებულია: "მთვარეს. დაღლილი თვალების ვაგზალს" (გზა").

არაპოეტური ვაგზლის პოეტურ მთვარესთან დაწყვილებით წარმოქმნილი მეტაფორა ზუსტად წარმოაჩენს ურბანისტული გარემოში მომწყვდეული კაცის სასოწარკვეთილებას.

საერთოდ, ამგვარი, პოეტურის (ტრადიციით) და პროზაულის შეჯვარება საინტერესო ჰიბრიდულ სახეებს აჩენს. [...] გეთიაშვილი მხატვრული სახეებით ახერხებს სწორედ ამ შესაძლებლობების აქტუალიზაციას.

კულტურული და ისტორიული კოდებით უხვადაა დახუნძლული კრებულის გამორჩეული ლექსი "მკვდრების მანიფესტი" მრავალმნიშვნელოვანი ეპიგრაფით: "მიდით, დახოცეთ

ერთმანეთი”. რელიგიური კოდები: “აკლდამა”, “შობა”, “სერაფიმი” “ცოდვა” ეწყვილება ლიტერატურულს: “ჩემი ხატია” , “ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!, “შენ, სისხლო ჩემო”. ლექსში ჩვენი დროის პულსაცია ძგერს და საოცრად მართალი არაპათეტიკური ტკივილი მოჩანს. [...]

რეზო გეთიაშვილის პოეზიაში საინტერესო შინაარსს ჰქმნიან ორიგინალური ეპითეტები: “უთუო სახლი”. აქ მოულოდნელი “უთუო” მეტოქეობს უწევს გაცვეთილ “მშობლიურს”. თანაც, ამავე ლექსში ეს სინტაგმა არის შედარების ნაწილი: “ეს დღე და ვნება. წვიმა და ნავლი მე მიყვარს, როგორც უთუო სახლი” (“გზა”). [...]

რეზო გეთიაშვილის პოეზია აღბეჭდილია კულტურულ კოდთა სიმრავლით. კულტურული კოდი მოიცავს როგორც ქართული, ასევე უცხოური კულტურის კოდებს. ზოგადად, ამ ორივეს გამაერთიანებელ კოდში კი გამოიყოფა რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული კოდები. ცალკეა გამოსაყოფი ლიტერატურული (მწერლები, ნაწარმოებები, პერსონაჟები), ტოპონიმიკის, მუსიკის, ფერწერის კოდები, რომლებიც ამრავალმფეროვნებენ და აღრმავებენ ლექსების შინაარსებს. [...]

რეზო გეთიაშვილის პოეზიას ამჩნევია ეს მშობლიური ენის ტვიფრი, რომელიც ალამაზებს მის სტრიქონებს. ის ახერხებს ცალკეულ გამოთქმათა, ხატოვან თქმათა დაშლას და მათ ახლებურ რეკონსტრუქციას ახდენს, რასაც მოაქვს ახალი პოეტური გამოცდილება. მაგალითად, სინტაგმა “ჩადიხარ სინდისს” ნაცვლად “ჩადიხარ ცოდვას”. [...]

ამ კრებულში ალიტერაციულია ბევრი ლექსი. სიტყვები თითქოს მსგავსი ხმოვანების მიხედვით წყვილდებიან და ქმნიან მუსიკალურობის განცდას, მაგრამ მუსიკა არასოდეს ჩაგრავს აზრს. ამ შემთხვევაში მიღწეულია მათი თანხმიერება.

“აფიორაა. სურვილები. სარეველა.
ლი. დედამიწა. წარსულია. ამბოხი.
უცნაურია. სიტყვებია. ცარიელი.
მონატრებაა. ქარიაო. ამბობენ” (“ლი”)

ამ ლექსში ყურადღებას იქცევს ექსპერიმენტი: ყველა სიტყვას წერტილი უზის. ამგვარად, ყოველი სიტყვა თითქოს ჩაკეტილ სივრცეს ქმნის, არ ამჟღავნებს სხვებთან ურთიერთობის სურვილს. [...]

რიტმულად საკმაოდ მრავალფეროვანია ამ კრებულში წარმოდგენილი ლექსები: აქ არის თოთხმეტ, ცამეტ, თორმეტ, ათ, რვა მარცვლიანი სტრიქონები. [...]

საგულისხმოა, რომ მას შეუძლია ლექსში გამოიყენოს სიტყვათა ამგვარი შემოკლებანი “ე. წ.”, “ა. შ”, “რნ” (რაიონი) და მათ რაღაც პოეტური ფუნქცია დააკისროს, ამგვარად, სასაუბრო და მწიგნობრული მეტყველება ლამაზად მოარიგოს. [...]

ამ პოეზიაში ყურადღებას იქცევს პოეტის შექმნილი ნეოლოგიზმები, რომლებიც ბუნებრივად ეწერებიან ლექსის კონტექსტში, მაგ.

აქ ყურადღებას იქცევს “ნაიმწუთარი” და “ინაწვიმრე”, განსაკუთრებით საინტერესოა მეორე. ნაწვიმარიდან შექმნილი ორიგინალური ფორმა, რომელიც იდუმალებასა და სილამაზეს მატებს ლექსს.

ჟურნ. “კრიტიკა”, #4, 2009

მარინე პეტროსიანი

პოეტი, ესეისტი, პუბლიცისტი. დაიბადა 1960 წელს. მისი პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1993 წელს. კრებული 1995 წელს ითარგმნა ფრანგულად და Comp'Act-ის გამომცემლობამ საფრანგეთში გამოაქვეყნა. წიგნის წარმატებით წახალისებულმა გამომცემლობამ მალევე გამოსცა პოეტის მეორე კრებული, რომელსაც ასევე კარგი გამოხმაურება მოჰყვა. იმ დროიდან მოყოლებული მარინე პეტროსიანის ოთხი კრებული გამოქვეყნდა სომხეთში, ხოლო 2015 წელს არგენტინულმა გამომცემლობამ Audisea Editora მისი წიგნი ესპანურად გამოსცა.

მარინე პეტროსიანს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო ფესტივალსა და ლიტერატურულ შეკრებაზე. იგი იყო Djerassi რეზიდენტი მწერალი (კალიფორნია, 2005) – როგორც

UNESCO-Aschberg-ის ლაურეატი არტისტი; Museums Quartier-ის რეზიდენტი მწერალი (ვენა, 2013); ასევე რეზიდენტი მწერალი Writers Omi International Residency-ზე Ledig House-ში (ნიუ-იორკი, 2015).

იგი სომხეთში ცნობილია ასევე როგორც ესეისტი. ის სვეტს უძღვებოდა ოპოზიციურ გაზეთში „სომხური დრო“. აქტუალური პოლიტიკური პრობლემების შესახებ დაწერილ მის ესეებს ძალიან დიდი აუდიტორია ჰყავდა, რის საფუძველზეც პეტროსიანი საჯარო ფიგურა გახდა. მარინე პეტროსიანის აღნიშნული ესეები თავმოყრილია წიგნში „წითელი აფიშა“ (2011).

თბილისის მე-4 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის (14-19 მაისი, 2018 წელი) მონაწილე.

„ანტიპოეზია“ და უძველესი პლასტები

(ინტერნეტ-დიალოგი შოთა იათაშვილთან. 17-18 თებერვალი, 2018 წელი)

შოთა იათაშვილი: მარინე, დასაწყისისთვის საკუთარ თავზე მოგვიყევი ცოტა. ბავშვობა, სკოლის წლები, სტუდენტობა. რა წრეში იზრდებოდი, მთავარი ინტერესები, გარდამტეხი მომენტები...

მარინე პეტროსიანი: ჩემს ბიოგრაფიაში არაფერი განსაკუთრებული არაა. დავიბადე ერევანში, დედა ბიოქიმიკოსი იყო, მამა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა. მოზარდობის, ახალგაზრდობის წლები ბრეჟნევის პერიოდს დაემთხვა, საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულს. აქტიური დისიდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგიის სიყალბეს მკაფიოდ ვხედავდი, ვოცნებობდი, რომ სომხეთი ოდესმე დამოუკიდებელი გახდებოდა, მაგრამ ეს ძალიან შორეულ პერსპექტივად მეჩვენებოდა, საბჭოთა კავშირი ხომ მაშინ სამარადჟამოდ აშენებულს ჰგავდა. მაშინდელი პოლიტიკური მოვლენებიდან მახსოვს ის მღელვარება, რომელიც დაიწყო ერევანში, როცა მოსკოვმა გადაწყვიტა, რუსული ენა რესპუბლიკების პირველ ოფიციალურ ენად გამოეცხადებინა. ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, უფროსკლასელი ვიყავი, და ხმა გავარდა, რომ ქალაქში იქნება დემონსტრაციები. პატარა ჯგუფად შევიკრიბეთ, ვფიქრობდით, რაღაც სახით ჩავრთულიყავით ყოველივე ამაში, მაგრამ ვერ მოვასწარით, რადგან მოვიდა ამბავი, რომ მოსკოვში გადაწყვეტილება გააუქმეს, რადგან დაძაბულობა იგრძნეს. მახსოვს ის სიამაყე, როგორითაც ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ყველა რესპუბლიკიდან ამ გადაწყვეტილებას ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა სომხეთმა და საქართველომ გაუწია. სკოლის დამთავრების შემდეგ ერევნის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე და სტუდენტი ვიყავი,

როცა ბრეჟნევი მოკვდა. ცხადად მახსოვს ეს დღე: ნოემბერი იყო, უნივერსიტეტიდან გამოვედი და სტომატოლოგთან წავედი კბილის დასაპლომბად. იქ მიწია ცნობამ ბრეჟნევის გარდაცვალების შესახებ. და მე სიცილი დავიწყე. „მარინე, გეყოფა, არ შეიძლება“ – მეუბნებოდა ჩემი სტომატოლოგი, მაგრამ მე დიდი ხანი ვერაფრით ვერ ვჩერდებოდი. რა თქმა უნდა, ეს არცთუ კეთილი საქმეა – იცინო ადამიანის სიკვდილზე, მაგრამ მე მიხაროდა არა ადამიანის სიკვდილი, არამედ ცვლილებების მოსალოდნელი პერსპექტივა, მე მიხაროდა იმიტომ, რომ მივხვდი – დაიწყო. ყველა თაობას არა აქვს შესაძლებლობა, იყოს ეპოქათა ცვლის მოწმე, რის შემდეგაც იცვლება სამყაროს ხედვის მასშტაბი. და მე ბედნიერი ვარ, რომ მივეკუთვნები იმ თაობას, რომელმაც ნახა, თუ როგორ დამთავრდა საბჭოთა ეპოქა და დაიწყო ახალი.

შ. ი. საკუთარ ესეში შენ წერ, რომ სწორედ ამ ეპოქათა ცვლის მომენტში დაიბეჭდა პირველად შენი ლექსები, და ეპოქათა ცვლამ შენი პოეზიაც კარდინალურად შეცვალა. და რა ხდებოდა მანამდე? როგორ დაიწყე წერა, როგორ ყალიბდებოდა შენი ხელწერა? აი, თუნდაც ის ლაკონიურობა, რომელიც შენი ახლანდელი პოეზიის თვისებაა, ყოველთვის გახასიათებდა თუ მერე გაჩნდა?

მ. პ. ლექსების წერა სკოლაში დავიწყე, მაგრამ არავის ვაჩვენებდი. მწვანე რვეული ჩემი პირველი ლექსებით, დღემდე დევს ჩემს წიგნის კარადში. როცა ამ ხელნაწერებს ვკითხულობ, ვხედავ, როგორ მეცვლებოდა სტილი, როგორ გავდიოდი სხვადასხვა სომეხი პოეტების გავლენებს – კლასიკოსებისაც და თანამედროვეებისაც – სანამ ასე თუ ისე ჩემი ხელწერა არ ვიპოვე. და მხოლოდ ამის შემდეგ წავედი ჟურნალ „გარუნის“ რედაქციაში – 1988 წელს. მას შემდეგ უკვე სამი ათეული წელი გავიდა. თუკი იმ პირველ პუბლიკაციას შემდგომში გამოცემულ წიგნებში შესულ ლექსებს შევადარებთ, შეიძლება დავინახოთ ისიც, რაც სტაბილურად დარჩა ჩემს პოეზიაში და ისიც, რაც კარდინალურად შეიცვალა. ლაკონიურობა ის თვისებაა, რაც

მუდამ მახასიათებდა (მაქვს რამდენიმე გრძელი ლექსი, მაგრამ ისინი აშკარა გამონაკლისია), თუმცა კი სამყაროს ხედვა სრულიად სხვანაირი გახდა.

შ. ი. შეიძლება თუ არა სომეხი პოეტების რაღაც ჯგუფის გამოყოფა, რომელიც ახლოს იყო შენთან? საქართველოში, 90-იანი წლების დასაწყისიდან სულ იქმნებოდა სხვადასხვა ლიტერატურული გაერთიანებები, პოეტური ორდენები, შემდეგ ისინი იშლებოდა, მაგრამ მათ თავიანთი ესთეტიკა მოჰქონდათ. როგორ იყო თქვენთან?

მ. პ. როცა მე, სკოლის მოსწავლემ, გადავწყვიტე, რომ პოეტი ვარ, სომხურ პრესაში გრძელდებოდა 60-იანი წლების ბოლოს დაწყებული დებატები პოეზიაზე: ოვანეს გრიგორიანი, ჰენრიკ ედოიანი, დავით ოვანესი და 60-იანი წლების სხვა ნოვატორი პოეტები კრიტიკოს ალექსანდ ტოპჩიანთან ერთად აგრძელებდნენ გამოსვლებს პოეზიის შესახებ იმ წარმოდგენების წინააღმდეგ, რაც უფროსი თაობისთვის, სილვია კაპუტიკიანისთვის და სხვებისთვის იყო დამახასიათებელი. ჟურნალი „გარუნი“ ამ ბრძოლაში ავანგარდული გახდა და სისტემატურად აქვეყნებდა თანამედროვეობის ყველაზე შთამბეჭდავი პოეტების თარგმანებს. ამ თარგმანების წყალობით, შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, ჟაკ პრევერი და ალენ გინსბერგი არანაკლებ პოპულარულები იყვნენ სომხეთში, ვიდრე საკუთარ საფრანგეთსა და ამერიკაში. მე ვყლაპავდი ჟურნალის ყველა ნომერს, და ჩემი 1993 წლის პირველი კრებული, პრინციპში, დიდწილად ამ ტექსტების „მონელების“ შედეგია. ეს ის პერიოდია, როცა ვიგრძენი, რომ ამ სრულიად შეცვლილ გარემოში ლექსებს ისევ ძველებურად ვწერდი, იმიტომ, რომ წერაში მუდამ არის ინერციის რაღაც წილი. მე შევჩერდი, და შევამჩნიე, რომ ჩემი ლექსები უდროობაში არსებობენ, მათში რაღაც მარადიული სევდა და მარადიული სილამაზე სუფევს და არაა არავითარი შეხების წერტილი რეალობასთან. და ახალი გზების ძიება დავიწყე. მაგრამ ამითი მხოლოდ მე არ ვიყავი დაკავებული: ჩემი თაობის პოეტი ვიოლეტ

გრიგორიანი, რომელსაც ყველა იცნობდა და რომლის პირველი წიგნი ყველას უყვარდა, უცებ მძაფრი შეტევების სამიზნე გახდა როგორც კრიტიკის, ისე მკითხველების მხრიდან, მას შემდეგ, რაც ორი უზარმაზარი ლექსი დაწერა, სადაც მისი ლირიკული გმირის ენა განზრახ უხეში იყო, იმდენად უხეში, რამდენადაც უხეში იყო რეალობა, რისი სახელითაც ის ლაპარაკობდა. შეტევის მსხვერპლი გახდა ჩვენი წინა თაობის გამორჩეული წარმომადგენლის, არმენ შეკოიანის ნაწარმოებები, რომელიც კლასიკური ფორმებითა და განწყობილებებით იყო ცნობილი, და რომელმაც უცებ საკუთარ ნაწარმოებებში სოციალურ-პოლიტიკური რეალობის დოკუმენტური დეტალების შეტანა დაიწყო და ამას ხან ლირიკული ირონიით აფერადებდა, ხან მძაფრი სარკაზმით, შემდეგ კი ორი დიდი ტექსტი დაწერა. მსგავსად ვიოლეტ გრიგორიანის ნაწარმოებებისა, კრიტიკოსებმა დაიწყეს აღშფოთება, რომ ეს არაა პოეზია. აღსანიშნავია, რომ მან ეს ტექსტები გამოაქვეყნა არა ლიტერატურულ პრესაში, არამედ გაზეთებში. პირველ ტექსტს „პოკერი“ ერქვა. იქ შეკოიანი ჰყვება, მეგობრებთან ერთად როგორ თამაშობდა პოკერს. ისინი ძალიან დიდხანს თამაშობდნენ, მერე ქუჩაში გავიდნენ და მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ სხვა ქალაქში იმყოფებიან, რომ ერევანი სრულიად შეიცვალა, რომ ახალი ცხოვრება დიწყო იქ. შეკოიანის მეორე ტექსტს კი ეწოდება „სასტუმრო ერევანი“. იქ ავტორი თავისი ნაცნობების ჩამოთვლითაა დაკავებული – ასახელებს ათასობით ადამიანს, მათ შორის ცნობილებსაც და იმათაც, ვისაც საზოგადოება არ იცნობს, მაგალითად, თავის მეზობლებს – და სულ იმეორებს, რომ ყველანი ეძებენ გამოსავალს იმ სიტუაციიდან, რომელშიც ახლა აღმოვჩნდით, მაგრამ ამ გამოსავალს ისინი ვერ პოულობენ. მე ძალიან მომეწონა ვიოლეტას და არმენის ახალი ნაწარმოებები და დავწერე ესე: „ანტიპოეზია, ანუ როცა პოეტი არ ეძებს ალიბის“. ამაზე მე ვსაუბრობ იმ ესეში, რომელიც აქვე იბეჭდება, ამიტომ მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ესემ ბევრი გააღიზიანა, როგორც კრიტიკოსები, ასევე პოეტები და დაიწყო

დისკუსია. და უნდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ, თავად ვიოლეტა და არმენი მაინცდამაინც არ აღფრთოვანდნენ ჩემი ესეთი და „ანტიპოეზიის დროშა“, რომელსაც მე მათ ვაწვდიდი, არ გამომართვეს.

შ. ი. შენი პოეტური გემოვნების და პოზიციის ჩამოყალიბებაში, ცხადია, უცხოელი პოეტებიც იღებდნენ მონაწილეობას. რა პერიოდების, რა მიმართულებების პოეზია გიზიდავდა ყველაზე მეტად, როგორი პოეზია ზემოქმედებდა შენზე?

მ. პ. სტუდენტურ წლებში, ჩემი, როგორც პოეტის ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან წლებში ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა შორეული წარსულის ტექსტები: მესოპოტამიის და ძველი ეგვიპტის პოეზია, ანტიკური სამყაროს ტექსტები, და ასევე, ბიბლია. ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ძველი და ანტიკური ლიტერატურისთვის გამოყოფილი იყო მხოლოდ ნახევარი წელიწადი, მაგრამ მე საკუთარი პროგრამა შევადგინე და თითქმის ორი წელი ვკითხულობდი ამ ლიტერატურას. ჩემი ხელწერის ხასიათი, ვფიქრობ, სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა, ამ ლიტერატურის ზეგავლენით. შენ ჩემს ხელწერას ლაკონიური უწოდე, მე კი მას მინიმალისტურს დავარქმევდი, და ეს ძველი დროების მინიმალიზმია, ფუნდამენტის მინიმალიზმი. უფრო

აქეთა დროის პოეტებიდან კი დავასახელებდი გიიომ აპოლინერს. მისი „ზონა“ ალბათ ასზე მეტჯერ მაქვს წაკითხული, და ყოველ ჯერზე მეჩვენება, რომ ეს სტრიქონები პირველად მესმის და რომ ამ სტრიქონებს მე თავად ვთხზავ.

შ. ი. ამერიკელმა პოეტმა ჩარლზ ოლსონმა ერთხელ თქვა: დღეს პოეზია გაზაფხულია, იმიტომ, რომ კვლავ თავიდან მოვიდაო. მაგრამ ეს მეოცე საუკუნის 50-იანი წლები იყო, როცა პოეზია მართლაც თავიდან მოდიოდა. შენც საუბრობ იმაზე, რომ პოეზია რაღაც მომენტებში მიდის და მერე განახლებული სახით ბრუნდება. ახლა რა დრო უდგას პოეზიას? ზამთარია და გაზაფხულს ველოდებით? და საერთოდ, საიდან მოდის ეს გაზაფხული? დიდი ქვეყნებიდან და დიდი ენებიდან? შენი აზრით, რამდენად შეუძლიათ პატარა ქვეყნების და ენების პოეტებმა მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა?

მ. პ. ძნელია, წინასწარ განსაზღვრო, საიდან მოვა გარდატეხა. თავად მე ვწერ ენაზე, რომელზეც სულ 4-5 მილიონი ადამიანი თუ კითხულობს. რომ მეცხოვრა, მაგალითად, ამერიკაში და მეწერა ინგლისურად, რამდენიმე მილიარდ ადამიანს შეეძლებოდა ჩემი წაკითხვა. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად, პოტენციურად. რეალობაში კი ისე იქნებოდა, როგორც მე აღვწერე ჩემს ესეში: ამერიკაში პოეზია ისეთ ვიწრო სპეციალობად იქცა, რომ მას კითხულობენ მხოლოდ ისინი, ვინც წერს, ვინც სწავლობს და ვინც ასწავლის. და მეც, სავარაუდოდ, ამ სისტემის ნაწილი გავხდებოდი, რომელიც საშუალებას მომცემდა, მეცხოვრა პოეზიის შექმნითა და მისი სწავლებით. ამაში არის წილი კომფორტისა, და მეც ალბათ დავკმაყოფილდებოდი ამით და მეტს არ მოვისურვებდი. ხოლო სომხეთში მთელი ეს სისტემა არ არსებობს, პირობები ექსტრემალურია და ეს მიბიძგებს ექსპერიმენტებისაკენ. ასე რომ, პატარა ქვეყნის პოეტს ასევე აქვს თავისი უპირატესობები.

შ. ი. და თავად სომხურ ენაში არის ისეთი უპირატესობები, რაც შეიძლება დაგეხმაროს ამ ახალი პოეტური ენის ძიებაში? და არის შემთხვევები, როცა გიჩნდება განცდა, რომ რაღაც შენთვის მნიშვნელოვანის გამოხატვას სხვა ენაზე უკეთ შეძლებდი? ანუ, რამდენად მგრძნობიარეა სომხური ენა ექსპერიმენტებისადმი? თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენად ავანგარდულია?

მ. პ. მშობლიური სომხურის გარდა მე ძალიან კარგად ვფლობ ინგლისურს, რადგან პირველი კლასიდან ვსწავლობდი მას სპეცსკოლაში ინგლისურის განხრით. ასე რომ, თავისუფლად შემიძლია ინგლისურადაც ვწერო, მაგრამ ამას არ ვაპირებ. თუმცა ხანდახან ვთარგმნი საკუთარ ლექსებს და ამ დროს თითქოსდა თავიდან ვწერ მათ. სომხურ ენაში არის ის უძველესი პლასტი, რომელიც არაა არც ინგლისურში, არც რუსულში, რომელსაც ასევე მშვენივრად ვფლობ. როცა ავანგარდისტებმა მეოცე საუკუნის დასაწყისში ხელოვნებაში ახალი გზების ძიება დაიწყეს, მათ დაიწყეს ამ პლასტის ძიება და მზერა მიმართეს ძველი ეგვიპტისკენ, აფრიკისკენ. ხოლო მე არ მაქვს ამის საჭიროება, იმიტომ, რომ ჩემს მშობლიურ ენაში ეს პლასტი არსებობს. ცხადია, რათა ჩემი ნაწარმოებები იმ ადამიანებამდეც მივიდეს, ვინც სომხურად არ კითხულობს, ისინი უნდა ითარგმნოს. არსებობს აზრი, რომ პოეზია უთარგმნელია. მე არ ვიზიარებ ამ აზრს. პოეზია თარგმნადია. თუკი ჩვენ ვკითხულობთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-19-18 საუკუნეებში, მესოპოტამიაში, ლურსმული დამწერლობით შექმნილ ლექსებს და ვგრძნობთ მათ ძალას, ესე იგი, პოეზია თარგმნადია. თუმცა თარგმანი მხოლოდ გზის ნახევარია. გულუბრყვილობა იქნება ჩათვალო, რომ სადღაც, სამყაროში, დაწერილია განსაკუთრებული ლექსები, და თუ მათ კარგად თარგმნიან ინგლისურად ან ფრანგულად, ეს ლექსები მსოფლიო მკითხველამდე მივა. არა, ეს ასე არ მოხდება, თუ არ იმუშავებს მესამე რგოლი: კრიტიკა. მსოფლიოში პოეზიის ირგვლივ სიტუაცია შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდება

კრიტიკა, რომელსაც შეეძლება, თავისი სახელი დაარქვას
პოეზიაში გაჩენილ ახალ მოვლენებს.

ლექსები

სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანმა

რატომ გარბის ყველა?

რატომ გარბის ყველა?
არავინ არაა, რომ დაელაპარაკო,
ამდენი არხი გათხარეს,
ამდენი ქალაქი ააგეს,
ამდენი ხე დარგეს,
მაგრამ ისევ მშიერია ყველა.
გარბიან, რომ ფული იშოვონ,
თანდათან უფრო და უფრო,
უფრო ჩქარა გარბიან.
რამდენადაც მდიდარია ქვეყანა,
იმდენად უფრო და უფრო,
უფრო ჩქარა გარბიან.
არავინ არაა, რომ დაელაპარაკო.

ელეგია

ორ ადამიანს შორის
ყოველთვის ქუჩაა,
რომელზეც დარბიან მანქანები
და რომც გადახვიდე ქუჩაზე,
დაინახავ, რომ უკვე
ისიც გადასულა
მოპირდაპირე ტროტუარზე
სულ მცირე, ერთი წამის წინ.

შიშის მოკვლა

თავდაპირველად
იყო შიში
და ადამიანს უნდოდა
შიშის მოკვლა,
ამიტომ გამოიგონა
ცეცხლი,
ლამპრები,
სანთლები
და უთვალავი საგანი.
ახლა ნათელია ყველგან.
როცა გინდა ნათელია,
მაგრამ შიში არ გამქრალა.
არა, არ გამქრალა შიში.
ადამიანს კი, გახლართულს
უამრავ საგანში,
დაავიწყდა მთავარი,
დაავიწყდა, რომ უნდოდა
შიშის მოკვლა.

რაღაცას ამბობს ეს თოვლი

ნიუ-იორკში დაწერილი ლექსი

თოვს.
ცივა.
დამავიწყდა, რომ უნდა წავსულიყავი.
მე არ დამვიწყებია, არსადაც არ უნდა წავსულიყავი.
მე სახლი არ მაქვს აქ
და ნაცნობიც არ მყავს.
მაგრამ მე მომწონს აქ,
ბევრი ხალხია ქუჩებში,
დღისით თუ ღამით ბევრი ხალხია ქუჩებში
და თითქოს მათაც დაავიწყდათ, რომ უნდა წასულიყვნენ.
მათაც არა აქვთ სახლი აქ
და ნაცნობიც არ ჰყავთ
და მათაც მოსწონთ აქ.
თუმცა ცივა.
თუმცა თოვს.
დილიდან საღამომდე თოვს,
არ წყდება არასდროს.
რაღაცას ამბობს ეს თოვლი,
ამიტომაა ამდენი ხალხი ქუჩაში.
ჯერ ვერ გაუგიათ, რას ამბობს,
მაგრამ გაიგეს, რომ ამბობს,
რაღაცას ამბობს ეს თოვლი,
ჯიუტი.

კედელი

ერთი წელიც გავიდა.
ბევრი ყრმა მოვიდა ამქვეყნად,
სიარულს ისწავლიან,
ლაპარაკს ისწავლიან,
კითხვას ისწავლიან
და მოვლენ, კედელს შეეჯახებიან, კედელს,
კედელს, რომელიც ზუსტად შენ წინ არის
და დასვამენ კითხვას, რომელსაც დღემდე არ აქვს პასუხი,
კითხვას, რომელზეც გაცემული ყველა პასუხი მცდარი გამოდგა.
ახალი წელი მოდის.
ახალი წელი მოდის.
ბევრი ახალი ყრმა მოვა ამქვეყნად.

ფრინველო, პატარა ფრინველო

ფრინველო,
პატარა ფრინველო,
რომ მღერი
ამ დილაუთენია
მთელ ხმაზე,
იმდენად მჭახეა შენი ხმა,
იმდენად ლამაზია შენი სიხარული
ამ ღამეში,
ამ სიჩუმეში,
არ გაფრინდე, წახვიდე,
ცოტა დიდხანს დარჩი
ჩემი ფანჯრის ქვეშ.

უცნობი ხელში ავტომატით

როცა მივალ ქუჩის ბოლოში, მე მოვკვდები,
თეთრ შენობასთან დგას უცნობი ხელში ავტომატით,
მე შემეძლო ქუჩის შეცვლა, მაგრამ სხვა ქუჩა არაა,
ადრე იტყუებოდნენ, რომ არის, მაგრამ ახლა ყველამ იცის, რომ არაა,
ეს ერთი ქუჩაა და ქუჩის ბოლოში დგას უცნობი ხელში ავტომატით.

მე ჩქარ-ჩქარა მივდივარ ქუჩაზე და შენობები მიყურებენ გაკვირვებით,
მეუბნებიან, მარინე, სად მიდიხარ? მოკვდები!
ხეები ტანსაცმელზე მექაჩებიან, ჩემი ჩახუტება უნდათ.
მეუბნებიან, მოდი, სხვა ქუჩაზე წაგიყვანთ.
მაგრამ მე ვიცი, რომ სხვა ქუჩა არაა,
ადრე იტყუებოდნენ, რომ არის, მაგრამ ახლა ყველამ იცის, რომ არაა.
ეს ერთი ქუჩაა და ქუჩის ბოლოში დგას უცნობი ხელში ავტომატით.

თოფი ყოველთვის ისვრის

ხელში თოფი მეჭირა.
ვისროლე.
არ ვიცი, ვის მოხვდა,
მაგრამ მოხვდა ნამდვილად, რადგან უცებ
ყველაფერი შეიცვალა,
უცებ ყველა და ყველაფერი –
ადამიანები, ძაღლები, ხეები და უსულო საგნებიც კი –
შემობრუნდნენ და მე მიყურებდნენ,
ყველა ერთად მე მიყურებდა,
მე კი გავქვავდი, სადაც ვიდექი
და არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა შემდეგ წამს.

ჰეი, პოლიციელო!

ქალაქ სიეტლში დაწერილი ლექსი

ეს რა ლამაზი ნავსადგურია,
ეს რა კაშკაშა მზეა,
ეს რა ლამაზი გემებია,
მაშ, რატომ არაა არცერთი გემი ჩემი?
პოლიციელო, პოლიციელო,
არ მესროლო,
მე ერთ-ერთ გემს ვიღებ და მივდივარ თეთრ
ვეშაპთან სათამაშოდ,
ნუ გეშინია, ვერავინ ვერ გაიგებს,
გემს მოვიტან, ისევ თავის ადგილას დავდებ,
თუ გინდა, შენც წამოდი.

ციკლიდან „ჩემს ამერიკელ მეგობარს“

შენი ქვეყანა
დიდია და მდიდარი.
შენი ქვეყანა
მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყანაა.

ჩემი ქვეყანა
პატარაა და მდიდარი არაა.
ჩემი ქვეყანა
ახალშობილია და ჯერ უჭირს სიარული.

მაგრამ როცა გრინვიჩ ვილიჯის
კაფე „დანტე“-ში დამსხდართ
გვერდითა სკამიდან გვესმის ამბავი
ბრიუსელში აფეთქებების შესახებ,
ორივესთვის შორიც არის და ახლოც,
ორივე სანახევროდ ვტოვებთ ჩვენს ღიმილს
და ვუყურებთ ყავის ცარიელ ჭიქებს.

– რა მოხდა? – ყვირის დანტე,
მაგრამ არცერთმა ჩვენგანმა არ იცის იტალიური.

ამბობს ფრინველი ხეზე დამჯდარი

და ახლა,
როცა იმდენი რამაა უკან დარჩენილი,
რომ ზოგჯერ გული გიმძიმდება მონატრებისგან,
ნუ შებრუნდები, მარინე, ნუ შებრუნდები, მარინე,
– ამბობს ფრინველი ხეზე დამჯდარი,
თუ შებრუნდები, ყველა დაიკარგება ისევ
და საბოლოოდ.
შენ იარე,
შენ იარე იმ ადგილისკენ, რომელიც წინაა,
არის ეგ ადგილი,
ისინი ყველანი მაგ ადგილისკენ მოდიოდნენ,
ისინი არ არიან ახლა,
შენ კი ხარ
და თუ მიაღწევ,
ესე იგი არ დაკარგულა არავინ,
არა, არ დაკარგულა არავინ, დაუბრუნებლად,
შენ იარე,
არ შეჩერდე შემთხვევით,
– ამბობს ფრინველი ხეზე დამჯდარი.

ჩემს მეგობარს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ

ადამიანი მოდის,
არ იცი საიდან.
ადამიანი მიდის,
არ იცი სად.
შუაში კი ეს ცხოვრებაა,
ზოგჯერ მხიარული,
უფრო მეტად მოწყენილი,
შუაში კი ადამიანები არიან,
ათასი, ათასი,
მილიონი, მილიონი,
შენ მათ კითხვებს ნუ უსვამ,
მათ პასუხები არ აქვთ,
ისინი შენსავით
მოვიდნენ, არ იცი საიდან,
ისინი შენსავით
მიდიან, არ იცი სად
და თუ შენ
სწორედ ახლა დაკარგე,
მათ იქნებ
არასდროს არ ჰყოლიათ
ის ერთი და ერთადერთი,
რომელთანაც ცხოვრება
უფრო მეტად მხიარულია,
ვიდრე მოწყენილი.

ლექსები, რომლებიც „პოეზია არ არის“

სომხურიდან თარგმნა ასია დარბინიანმა

რატომ წერენ ადამიანები ლექსებს? მე რომ დავიბადე – გასულ საუკუნეში, საბჭოთა სომხეთში, ჩემ ირგვლივ ძნელად მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანები, ეს კითხვა რომ დაესვათ. ყველამ იცოდა, რომ პოეტობა ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, პოეტი კი ლექსის წერით ხდები. მე ლექსებს ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან ვწერდი, მაგრამ არავის ვაჩვენებდი, გადაწყვეტილი მქონდა, ჩემი ნაწერები მაშინ გამომექვეყნებინა, როცა ისინი არა უბრალოდ კარგი, არამედ განსაკუთრებით კარგი იქნებოდა. მე დიდად მოკრძალებული არ გახლდით და დარწმუნებული ვიყავი, რომ დადგებოდა ეს დრო, დარწმუნებული ვიყავი – სომხეთში ცნობილი პოეტი გავხდებოდი. მე სხვა რაღაც მაწუხებდა – შევძლებდი საბჭოთა კავშირის სხვა სამყაროსთან გამყოფი რკინის ფარდის დამსხვრევას და დიდ სამყაროში გასვლას? დღეს, როცა საბჭოთა კავშირი და რკინის ფარდა დიდი ხანია, აღარ არის და მე მონაწილეობა მივიღე მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე, მიმასპინძლეს ამერიკისა და ევროპის ცნობილმა ლიტერატურულმა სახლებმა, სახეზე სევდიანი ღიმილი მიჩნდება, როცა ჩემი სიყმაწვილის ფიქრები მახსენდება, რადგან ნებისმიერი ფარდის, რკინის ფარდის გახევა და გატეხვაც კი შესაძლებელია, ხოლო ის კრიზისი, რომელშიც ახლა მსოფლიო პოეზიაა აღმოჩენილი, წინასწარ ცნობილ გამოსავლებს არ ექვემდებარება.

დღეს პოეზია მსოფლიო მასშტაბით კრიზისში რომაა, ამაში ეჭვი არ მეპარება. რას ვგულისხმობ კრიზისში? რა თქმა უნდა, იმას არა, რომ ახლა კარგი პოეტები არ არიან, ან კარგ ლექსებს არ წერენ, არამედ იმას, რომ ადამიანების შეგნებაში კარგმა პოეტმა და კარგმა ლექსმა დაკარგა ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ერთ დროს ჰქონდა. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ქვეყანაში, თუნდაც ამა თუ იმ რეგიონში, სურათი შეიძლება შედარებით უკეთესი

იყოს, მაგრამ ზოგადი ტენდენცია მსოფლიოში ზემოაღნიშნულია – პოეზიის მნიშვნელობა დაეცა.

რადგან ბოლო პერიოდში ყველაზე ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწევს ყოფნა, სასურველად მივიჩნიე ჩემ მიერ აღნიშნული მოვლენა ცოტა უფრო დაწვრილებით განმეხილა სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე. ამასთანავე, დავეყრდნობი საკუთარ გამოცდილებასაც და იმ მონაცემებსაც, რომლებიც ქვეყნდება ამერიკულ პრესაში – ამ საკითხის ირგვლივ დიდი ხანია, რაც ვრცელი მსჯელობა მიმდინარეობს. აშშ-ში, ერთი შეხედვით, მოჩვენებითი პარადოქსული მდგომარეობაა – პოეტთა რიცხვი, გამოქვეყნებული პოეტური წიგნების რაოდენობა, პოეზიისთვის შექმნილი ჟურნალების რაოდენობა ბოლო რამდენიმე ათწლეულში დიდი სისწრაფით იზრდება, ხოლო პოეზია საზოგადოებრივ ცნობიერებაში, პირიქით – დაცემას განიცდის. ეს როგორაა შესაძლებელი, იკითხავთ თქვენ, თუ ლექსს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, მაშინ რატომ იზრდება მასში ჩართულ ადამიანთა რიცხვი?

რადგან ამერიკული უნივერსიტეტების ერთ დიდ ნაწილში სპეციალური განყოფილებებია, სადაც ლიტერატურის, კერძოდ, ლექსის წერას ასწავლიან. მასწავლებლებიც პოეტები არიან და ამისთვის ფულს იღებენ, განყოფილების სტუდენტებიც, ბუნებრივია, ლექსებს წერენ, მერე წიგნებს აქვეყნებენ, ჟურნალებს აარსებენ, ისინიც ლექტორები ხდებიან, რათა ლექსის წერის ხელოვნება ასწავლონ. შედეგად, პოეზიით დაკავებულთა რიცხვი იზრდება, მაგრამ წრე ვიწროვდება – სტუდენტები ერთმანეთს და თავიანთ ლექტორებს კითხულობენ, ლექტორები ერთმანეთს და თავიანთ სტუდენტებს კითხულობენ, ესენი ყველანი ლექსებს წერენ და ერთმანეთს უკითხავენ. და მიუხედავად იმისა, რომ პოეზიის გამომცემელი ჟურნალების რიცხვი თანდათან იზრდება, ყველაზე ცნობილი ლიტერატურულ-კულტურული პერიოდული გამოცემები ნელ-ნელა წყვეტენ თავიანთ გვერდებზე

პოეტებისთვის ადგილის გამოყოფას. წრე იკეტება. პოეზია ხდება მხოლოდ გარკვეული ვიწრო წრისთვის საინტერესო სპეციალობა.

ჩემი აღწერილი სურათი შეერთებული შტატებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ რადგან აშშ არა მხოლოდ სამხედრო-ეკონომიკური, არამედ ასევე კულტურული ზესახელმწიფოცაა, რეალური საფრთხეა იმის, რომ ეს მდგომარეობა შეიძლება ასევე მთელ მსოფლიოზე გავრცელდეს ნელ-ნელა, რაც თითქოს ხდება კიდევაც. ევროპაში ჯერ ამერიკისნაირი მდგომარეობა არაა, მაგრამ ლექსის მიმართ ინტერესი კვლავაც მცირეა. არაა ის, რაც იყო, მაგალითად, გასული საუკუნის დასაწყისში – ახალი მოძრაობები, მიმართულებები, საუბარი, რომელიც, გარდა იმისა, რომ პოეზიის შესახებ იყო, ეხებოდა ასევე ადამიანის ცხოვრებას საერთოდ, საკითხებს, რომლებიც ადამიანს აწუხებდა ზოგადად. მე ბოლო პერიოდამდე მეჩვენებოდა, რომ განსხვავებული მდგომარეობა შეიძლებოდა ყოფილიყო ლათინურ ამერიკაში, სადაც ცნობილი პოეტები, მახსოვს, ხშირად აერთიანებდნენ ლიტერატურულ და პოლიტიკურ საქმიანობას. მაგრამ 2015 წელს ჩემი ესპანური წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით არგენტინაში ვიზიტისას, შევნიშნე, რომ არა, თითქოს აქაც არაა დიდი აქტიურობა პოეზიის ირგვლივ (რა თქმა უნდა, არგენტინა მთელი ლათინური ამერიკა არაა და ძალიან ვისურვებდი, ამ საკითხში მაინც რომ ვცდებოდე).

ამ ყველაფერს რომ ვხედავ, განა პესიმისტურად ვარ განწყობილი პოეზიის მომავლის საკითხისადმი. საერთოდ არა. მე უბრალოდ კარგად გავიგე, რომ პოეზია კრიზისშია დღეს და ამ კრიზისიდან გამოსვლის მხოლოდ ერთი გზა არის – პოეზიის განახლება, პოეზიის შესახებ წარმოდგენების განახლება. მე თვითონ უკვე დიდი ხანია, რაც თეორიულ სტატიებს ვწერ ამის შესახებ და ვცდილობ, პრაქტიკაში განვახორციელო ეს განახლება – ჩემს დაწერილ ლექსებში, რომლებსაც ხშირად შეგნებულად არ ვარქმევ „ლექსს“, არამედ უბრალოდ ვამბობ „ტექსტი“. შევეცდები გიამბოთ, თუ როგორ მოხდა ეს.

ჩემი პირველი პოეტური ციკლი გამოქვეყნდა ჟურნალში „გარუნ“ ფაქტობრივად 1988 წლის დასაწყისში, თუმცა ყდაზე წერია 6.87 წ. (საბჭოთა პერიოდში ჟურნალი სტამბიდან ხშირად მასზე აღნიშნულ თარიღზე უფრო გვიან გამოდიოდა). რატომ ვანიჭებ მნიშვნელობას და ვამახვილებ ყურადღებას ჩემი პირველი პოეტური ციკლის შემცველი ჟურნალის ნომრის მკითხველამდე მისვლის ნამდვილ დროზე – რადგან 1988 წლის თებერვალი სომხეთის ისტორიაში გარდამტეხი წერტილი იყო, ასიათასობით ადამიანით აივსო ქუჩები და დაიწყო ყარაბაღის მოძრაობა, რომლითაც დასრულდა კიდეც საბჭოთა სომხეთის ისტორია. და მე ლიტერატურაში სწორედ ამ გარდამტეხ წამს შევედი. ახლა უკან რომ ვიყურები და ვადარებ პირველი ციკლის ნაწერებს ბოლო წლებში დაწერილებს, ცვლილება გრანდიოზულია. პირველი ციკლის ლექსები თითქოს კონკრეტულ დროშია დაწერილი და რეალობას მოწყვეტილია, ერთ მუდმივ დროში, სადაც არის მუდმივი დანაკარგი, მუდმივი სევდა, სიხარული კი რაღაცნაირად იწურება ამ მუდმივი დანაკარგის ცნობიერებიდან. მე გარკვეულ ხანს ვაგრძელებდი ასეთი ლექსების წერას (ისინი ბოლოს ჩემს პირველ წიგნში შეჯამდა), ხოლო რეალობა ჩემ ირგვლივ საშინელი სისწრაფით იცვლებოდა. მთიანი ყარაბაღის პარლამენტის სომხეთთან შეერთების გადაწყვეტილების მხარდამჭერი ერევნული მშვიდობიანი აქციები მოსკოვმა „ექსტრემისტულად“ შეაფასა, ხოლო ბაქოში ძალადობა დაიწყო, რომელიც მალე ნამდვილ ომში გადაიზარდა. 1988 წლის დეკემბერში სპიტაკის მიწისძვრამ გაანადგურა სომხეთის ერთი მესამედი – გიუმრი და ვანაძორი სამრეწველო ქალაქებით. საბჭოთა კავშირი, რომელიც ბევრს მუდმივი ეგონა, მოულოდნელად გასაოცარი სისწრაფით დაიშალა და ახლადდამოუკიდებული სომხეთი აღმოჩნდა საგანგებო მდგომარეობაში, რადგან მიწისძვრასა და ომს მიემატა ენერგეტიკული კრიზისი და ქარხნების მასობრივი დახურვა.

ჟურნალ „გარუნის“ იმ ნომერს, სადაც ჩემი პირველი ციკლი გამოქვეყნდა, 70 ათასიანი ტირაჟი ჰქონდა. ეს უზარმაზარი

რიცხვია სამმილიონიანი პატარა სომხეთისთვის, მსგავსი ტირაჟი ევროპულ და ამერიკულ ბევრ ცნობილ ჟურნალსაც კი არა აქვს. ფაქტობრივად, ჟურნალ „გარუნს“ მთელი სომხეთი კითხულობდა. მსგავსი ტირაჟი ჰქონდა ასევე სომეხ კლასიკოსთა, ან უკვე ძალიან ცნობილ პოეტთა წიგნებს, ხოლო ახალი ავტორების წიგნები, რა თქმა უნდა, უფრო პატარა ტირაჟით გამოიცემოდა, მაგრამ ეგ პატარა დღევანდელი კრიტერიუმებით გრანდიოზული რიცხვი იყო. სულ მცირე, სამი ათასი. ამასთანავე, ახალი გამოცემული წიგნები წიგნის მაღაზიებში არ რჩებოდა, დიდი სიჩქარით იყიდებოდა, ხშირად ერთ-ორ დღეში. პოეტური სიტყვა იძებნებოდა, რომ დაგეწერა – წაგიკითხავდნენ.

მერე, როგორც უკვე მოვყევი, მოვიდა 1988 წელი და დაიწყო ყარაბაღის მოძრაობა: ქუჩები ადამიანებით აივსო და მოედნებზე პოლიტიკური სიტყვის გაჟღერება დაიწყო, რომელიც ჩემს ნანახ საბჭოთა სომხეთში მანამდე არ იყო. პოლიტიკური სიტყვა ცვლილებების შესახებ იყო, ცვლილებებს ითხოვდა. თავიდან გეგონა, რომ ეგ ცვლილებები ჩატარდება და სომხეთი სწრაფად დაუბრუნდება „ნორმალურ“ მდგომარეობას. მაგრამ ასე არ მოხდა, მდგომარეობა თანდათან გამწვავდა ყველა ასპექტში – ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო, პოლიტიკურ... და უფრო და უფრო ცოტა ლექსის კითხვა, ლიტერატურული ჟურნალებისა და წიგნების ტირაჟებს მკვეთრად დაემხო ტახტი, ლიტერატურული ძველი სტრუქტურები ან გაქრნენ, ან დაკარგეს თავიანთი ოდესღაც მაღალი რეიტინგი საზოგადოებაში. პოეტები ამ მდგომარეობას სხვადასხვანაირად გამოეხმაურნენ. ზოგმა წერა შეწყვიტა. ზოგმა არაფრად ჩააგდო მომხდარი და გააგრძელა ძველებურად წერა. ზოგმა ლიტერატურა მიატოვა და პოლიტიკაში წავიდა. ზოგმა კი ლექსში ახალი გზების ძებნა დაიწყო. მე თვითონ ცოტა ხანი ვაგრძელებდი ძველებურად წერას. მერე შევნიშნე, რომ უფსკრულია გაჩენილი ახალ, დინამიურ რეალობასა და ჩემს ტექსტებს შორის. ვერ შევიყვარე მე ეს უფსკრული და გადალახვა მოვინდომე.

ადვილი საქმე არ იყო ეს, რთული ამოცანა მქონდა დასახული. შევეცადე, ჩემი ძიებისთვის თეორიული განმარტება მიმეცა. მე, რა თქმა უნდა, მარტო არ ვიყავი ჩემს ძიებაში, ახალ გზებს სხვა სომეხი პოეტებიც ეძებდნენ, კერძოდ, არმენ შიკოიანმა წიგნში „ანტიპოეზია“ იპოვა ჩვენი გარემომცველი უხეში რეალობის ნიშნების პოეზიაში შეტანის ძალიან მოულოდნელი ფორმები. მე მომეწონა ლექსებიც, წიგნის სათაურიც და დავწერე ესე სათაურით „ანტიპოეზია, ან როცა პოეტი არ ეძებს ალიბს“, სადაც ვამტკიცებდი, რომ ისტორიის გარდამტეხ წამებში პოეზია კრიზისში აღმოჩნდება ხოლმე, რაღაც გაგებით კვდება და გამოსაცოცხლებლად საჭიროა ადამიანი შინაგანი სივრციდან გარეთ შებრუნდეს, „ჭუჭყიანი“ რეალობისკენ, გახდეს ის, რაზეც იტყვიან: „ეს პოეზია არ არის“. პოეზიის ტრადიციული წარმოდგენების ფარგლებიდან გამოსულ ლექსებს, – რომელთა შესახებ ამბობენ: „ეს პოეზია არაა“, – მე ანტიპოეზიად განვმარტე და ვამტკიცებდი, რომ ის – ანტიპოეზია, – თანამედროვე სომხური ლიტერატურის ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მე ამას ვამტკიცებდი ძირითადად არმენ შეკოიანის ბოლოდროინდელი ნამუშევრების და ასევე ვიოლეტ გრიგორიანის გახმაურებული ნაწერების საფუძველზე, რომლებზეც ასევე ხშირად ამბობდნენ: „ეს პოეზია არაა“.

ჩემი ესე ანტიპოეზიის შესახებ 2000 წელს დაიწერა. მას შემდეგ უკვე თვრამეტი წელი გავიდა და ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ იმ პერიოდში გამოცემულ ჩემს ოთხ წიგნს, ვხედავ, რომ მე ჩემ მიერ დახაზული გზით მივლია. მე მივაღწიე იმას, რომ დღეს სომეხი კრიტიკოსები ჩემს წიგნებზე ერთ სიტყვასაც არ წერენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ჩემი დაწერილი „პოეზია არაა“ და როცა სხვადასხვა კაფე-კლუბებში ჩემს ნაწერებს ვკითხულობ, დამსწრეთა უმრავლესობას მწერლები არ წარმოადგენენ, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები მოდიან და ზოგიერთი მათგანი გულწრფელობის წამს მეუბნება: „მარინე, კი მაგრამ ეს შენი ნაწერები პოეზიაა?“ მე ვპასუხობ: „რა თქმა უნდა

არა, არ შეგინიშნავთ ფეისბუქზე გამოქვეყნებისას მე გვერდზე ჰაშტაგ #ტექსტს ვდებ, არ ვწერ #პოეზია.“ და გუნებაში ვიღიმი.

ახლა კი ცოტა სერიოზულად: ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მე ჩემში ნამდვილი რევოლუცია მოვახდინე. იყო დრო, როცა ლექსების გარდა პოლიტიკურ სტატიებსაც ვწერდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ პოლიტიკური ცვლილებების საშუალებითაა შესაძლებელი იმ ახალი სომხეთის აშენება, სადაც მე ცხოვრება მინდა. ჩემს სტატიებში იმ პოლიტიკურ მოძრაობებს, მოღვაწეებს და ძალებს ვიცავდი, რომელთაც, ჩემი აზრით, ახალი სომხეთის აშენების უნარი ჰქონდათ. მაგრამ ისინი ყველანი დამარცხდნენ. და მე ფიქრი დავიწყე – მარინე, იქნებ ჩვენ არ შეგვიძლია ახალი სომხეთის აშენება, რადგან არ გვაქვს წარმოდგენა ამ ახალ სომხეთზე ჩვენს ცნობიერებაში. იქნებ, სწორედ შენ, როგორც პოეტმა, შეძლო ამ ახალი სამყაროს შექმნა, პირველ რიგში, შენს ლექსებში, შემდეგ კი უკვე ახალი სამყაროს რეალობაში გადმოტანა იქნება შესაძლებელი. და ახლა სწორედ ამის გაკეთებას ვცდილობ. ადვილი ამოცანა არაა, მაგრამ ვცდილობ.

მე ასევე ერთი ოცნება მაქვს ჩემს გულში – ჩემს ლექსებში არსებული ახალი სამყარო იქნებ მხოლოდ სომხებისთვის არ იყოს საინტერესო. ბოლო პერიოდში ბევრს ვმოგზაურობ და მივხვდი, რომ მთელ მსოფლიოს სჭირდება განახლება, რადგან მთელი მსოფლიო დგას დღეს სერიოზული პრობლემების წინაშე. ჩემს მიერ წარმოდგენილი განახლება გულისხმობს ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც ჩვენი პოლიტიკური მიღწევები ჩვენთან წინააღმდეგობაში არ მოვა და ჩვენ შევძლებთ უფრო თავისუფლად უფრო ღირსეულად ცხოვრებას, ვიდრე ცხოვრობს ადამიანი დღევანდელ თუნდაც ყველაზე განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში. და რათა უფრო გასაგები იყოს, რასაც ვგულისხმობ, მინდა ჩემი სიტყვა ჩემივე ტექსტით დავამთავრო, რომელიც ნიუ-იორკში დავწერე სათაურით „რატომ გარბის ყველა?“

რატომ გარბის ყველა?
არავინ არაა, რომ დაელაპარაკო,
ამდენი არხი გათხარეს,
ამდენი ქალაქი ააგეს,
ამდენი ხე დარგეს,
მაგრამ ისევ მშიერია ყველა.
გარბიან, რომ ფული იშოვონ,
თანდათან უფრო და უფრო,
უფრო ჩქარა გარბიან.
რამდენადაც მდიდარია ქვეყანა,
იმდენად უფრო და უფრო,
უფრო ჩქარა გარბიან.
არავინ არაა, რომ დაელაპარაკო.

2.პოეზია

კოკა არჩვაძე

ფრაგმენტები პოემიდან „მოგზაურობა უკან წინანდალში“

1. ღამე არისტოტელეს მოედანზე

[1]

ჩვენ ვიყოთ ერთად,
აქეთ მისმინე.

კონტინენტის წიაღის შვილი
ზღვას ყველგან არ ველოდები,
არც ტალღების ხმაური მესმის ძილში,
არც ქალაქის მსგავსი დაგეგმარება წარმომედგინა.
ზინომავრო[2], ზინომავრო, ზინომავრო, შენი ტუჩები,
შენი ბნელი ხელისგულები, სველი სითბო.
ეკლესიები, მეჩეთები, მონასტირიოტონ
და ზღვასთან ზიარი მთავარი მოედანი.

ქვემოთ,
სტუდენტები, შავებში
ჩაცმულები და ლამაზები,
გმობენ საკუთარ სიბერეს.
მე კი სხვა განმარტება სულის[3] არც ვიცი,
სხვა ვერ შევიტყვე, ვერ გავიგე, ვერ დავიჯერე.
შავებში ჩაცმულები და ლამაზები,
შენს სიმართლეს გმობენ,
შენს ბნელ ხელისგულებს.
ჩვენ ვიყოთ ერთად.

ლემნოსამდე გამცურავი პელასგი ლტოლვილები[4],
ახალი ლტოლვილები,
ახალი დორიელები,
ახალი ტალღები ზღვის,

ახალი შრიალი კვიპაროსის.
ჩვენ ვიყოთ ერთად.

როგორც ლტოლვილი ცოლ-ქმრის
ჩახუტებული ხელისგულები ჩაძირულ გემზე,
ჩაძირულ ნაპირზე,
რომელსაც ისინი უკვე ვერ დაანგრევენ,
ვერ აქცევენ თავისნაირად,
ისე ვერ გამრავლდებიან, რომ შეჭამონ,
შთანთქონ,
თავის ზნეზე გადაიყვანონ
და დააქციონ
დააქციონ,
დააქციონ.

ჩვენ ვიყოთ ერთად და ხელი არ უნდა გამიშვა,
სანამ ადამიანების ხმები არ გაგვაღვიძებენ[5]
და პირქვე დამხობილი ძეგლები არ გამოჩნდება
ამ ნაპირის მიმზიდველობის.

და ვიხრებოდეთ ქართაგან ძლიერთაგან,
როგორც ორი გვერდიგვერდ მდგარი კვიპაროსი
პოეტის ფანჯარაში[6].
არ გამიშვა ხელი.

სულზე უტკბესი ჩამეღვარა საწამლავი,
განუყოფელი ჩემი სხეულისგან შენი სხეულის
სისხლი და ნაღველი,
უტყვი გამტანობა,
დაჟინება სველი სითბოსი.
არ გამიშვა ხელი.

და ზღვა ტალღებს არ იშურებს.

ეს ზღვა ჩვენი არ არის – მათია,
ვისაც ჩვენი სტუმრობა არ უხარია,

ჩვენი მეზობლობა არ სურს,
ჩვენი შვილების და მათი შვილების
მაკედონიის წითელ გორაკებზე[7]
ერთად თამაში არ წარმოუდგენია.

არ გამიშვა ხელი.

და ყველა დროშა ჩვენს ნავებზე, ომის დროშაა.
და ყველა ენა ჩვენი პირიდან შიმშილს ჰყვება,
ჰყვება ღატაკის გზად გადგომის გაცვეთილ ამბავს.

არ გამიშვა ხელი.
იქნებ ასე გადავრჩეთ.
არ გამიშვა ხელი.

თესალონიკი, დეკემბერი 2014

7. დუბაირუბაი

სხვისი კბილებით პირში[8], პირი
ქვიშით გევსება, სიტყვები
აღარ გამოთქვამენ სათქმელს, ის
მაინც არ გქონდა, სერიალები
ლაპარაკობენ თავისას, შენსას
მიერეკება წყალი. გასუსული.

„ქარში მიმწყდარ მაქამის[9] ხმას ჰგავს კაცის ბედი;
ვარდი გახმება, რაგინდ ბევრჯერ იცვალო ხედი,
ვარდი გახმება, ფოთლებს ისევ ქარი წაიღებს,
ფიალის თიხად იქცევა ხორცი, რომ შეკრას წრედი.“

ზაბი, ავღანელი ყმაწვილი, მატყუარა ბიჭია,
მატყუარა მამის შვილი, ომი ასეთია.
გაგუდულ კაიფში ბიძამისი მიყვება
ყალბი ვისკით მოწამვლის ამბებს,
ავღანეთში სმა სახიფათოა, ბევრი
დაბრმავდა ან მოკვდა, რამდენიც გინდაო.

„თუ არ დავთვერი, რაღას მარგებს მე ზღვის ყურება?
დიდხანს არ გვაცლის ეს სამყარო, ვუდგეთ მდგმურებად
და ცივი ღვინით იქნებ მაინც გავიადვილო,
უდაბნოს ხვატში მარტოდ ყოფნა, გამოყრუება.”

ლონდონელია ზაბი, მაგრამ ბიზნესი
არის DAP ყანდაგარი და CIF ქაბული,
DDU სისხლი, EX-Works გვამები,
ორი მოკლული დარაჯი სხვისი ტვირთების,
ყალბი ვისკი, სიცხე, ნავთობი,
ავტომატიანი ნაბიჭვრები, ჰალსტუხიანი
ნაბიჭვრები, ყალბი ვისკი და
სიკვდილი ბატონია ავღანეთიდან[10],
მას თვალები საერთოდ არ აქვს.

„თიხის დოქივით მარტივად ტყდება კაცის ცხოვრება
და თუ ირიდებს ამ აზრს, მხოლოდ რომ თვრება;*
ერთი წამია ამქვეყნად ყოფნა, ჩემი და შენი,
ღვინო დალიე და მთვრალს აღარ გემახსოვრება.“

მისტერ ტომასი, იგი დაღალეს
სიცხემ და ადამიანებმა, მას რახანია
ეკუთვნის განზე გადგომა და დიეტური
საკვები ლაჟვარდოვან ნაპირზე, ძალიან
ძვირფასი კონიაკი იშვიათად, ოჯახის
წიაღში ყოფნა, ამის მაგივრად,
ის მე მიყურებს. ღმერთმა დაწყევლოს.

„კოცნაზე ტკბილი ცისქვეშეთში ღვინოა მხოლოდ,
სხვა ყველაფერი, მზად ვარ დღესვე წყალს გავაყოლო.
მტვრიდან შობილი, მტვრად ვიქცევი გარდაუვალად,
უკოცნელს, ნაკოცნს, მთვრალსა თუ ფხიზელს, ესა გვაქვს ბოლო.“

მათ ან სამოთხე ან ჯოჯოხეთი
ერგებათ, შუაკაცს ფული,

არცთუ ბევრი, ერთხანს საკმარი, საშუაკაცო.
მუსლიმო თუ კაფირო, უყურე შუაკაცს,
ის ოდესღაც თავის სახლში
ცხოვრობდა და არაბეთის ყურის ქვიშა
პირს არ უვსებდა, პურს
არ აჭმევდა, სხვა ხალხის ომი. უყურე.

„დიდ ფასს ნუ ადებთ წმინდა სიტყვის დაზეპირებას,
არ მოგატყუონ წვერბინძურმა, ფლიდმა პირებმა,
სხვა ჯილდო არ აქვს უფალს ჩვენთვის გარდა ღვინისა,
ღვინით მოხდება ჩვენი მისკენ გადაბირება.“

ნასიბ რაჰილ ჰიკამი[11], შარჯელი
მეთევზე, შენი სიზმრების ბადეს
მიათრევს, შენი პურის ნახევარს
ალბობს, დამპალი კბილებით
იღიმის, სიცხეს და კაფარს,
ნავთობს, ფულისთვლას.
„ჰიჯად არ გექცეს, მადიჰად
არ გექცეს, ფაქრად არ გექცეს,
პირში ქვიშა.“ იღიმის.

„ნუ უსმენ მოლას, სიმაღლიდან ტყუილებს რომ ამბობს
თუ არ დაასწრებთ, სხვა ჯიშის კაცი მოვა, მოგკლავთო;
თავს თუ არა დებ ამათ ტყუილზე, დაზოგავ სხვასაც,
ბოროტ განზრახვას არ დაგაცლის ღვინო, მოგალბობს,“

კაფარში ვინ ხარ, როგორ იტყვი
რა ქვია შენს სახლს, ამ სიცხეში
პირი ქვიშით გამოტენილი, ნავთობის
სუნით გაჯერებულ სხვის გვამში, ხიდქვეშ
დრავიდი მუშები საუზმობენ, დუბაი
მარინას ხეივანი, სიცხის სხვა
სახე, სხვა სახე მესამე
პირის, უძილობა, ნაცვალსახელი კერძო

კაფარის[12], უხილავი ავტომატები
მუშების თავზე, სახელი უდაბნოს
სიგიჟის პირას მისულის,
ტუჩზე წვეთი ღვინო,
საკმარისია მასში აზრი კვლავ გააჩინოს,
რომ სიზმარია სიბრძნის ცოდნა, გარდა იმისა,
რომელიც გაცლის სამუდამოდ გამოიძინო.

დუბაი, 2010

9. იმპერიის გაქვავებული ბირთვი

[13]

იუდოფობია ბრიყვული რამ არის,
თავად განსაჯე,
პაუნდი იდუმალის ახსნის მავნე
სურვილს მიაწერს,
მე კი, იდუმალების გამრავლებას,
საწყალ სემიტებს.
მე ვირჩევ ამ იმპერიას.

მჯერა, რომ ქართულ ენაში ინგლისური
pathetic დაჯაბნის რუსულ патетический-ს
და იქნება მის ადგილას სიტყვა – მგზნებარე,
როგორც: მგზნებარე დიდი ქართული
საბჭოთა პატრიოტიზმი
და პათეტიკური.

მე ვირჩევ ამ იმპერიას,
აქ თეთრი ადამიანი ვარ,
აქ ძალადობის ისტორია ჩემზე ბევრად შავია
და მეტად ბუნდოვანი პასუხისმგებლობა.

რწმენა ტოტალიტარულია.
იდუმალი ტოტალიტარულია.
წმინდანთა სახეები ტოტალიტარულია.

და სწორედ ამიტომ,
დახუჭული თვალებით უნდა ვუყუროთ
შენს დაყლევებას, მასწავლებელო,
ასე გამოდის.

მე ვირჩევ ამ იმპერიას,
მის გაქვავებულ გულში დაკარგვას:
ასე უფრო შეუმჩნევლად ვიქნებით,
თუ გადავურჩით
მბზინავი რესპუბლიკის გაუჩინარებას,
მის პატარა ხელებში[14],
ჩემო ძვირფასო.

აქ ზღვისკენ მავალ ჰუდზონს მისდევს ქარი,
ცოლს აივნიდან ხელებს უქნევს ქმარი
და ღვინო სარდაფებში ხდება ძმარი,
ნოლიტას[15] წმინდა პატრიკს მტვერავს დრო.
„არ ვიცი“-ს პასუხობენ ყველა კითხვას[16]
და სანამ ინსპექცია მიაკითხავს,
დელმონიკოში წვავენ კვერცხით ვირთხას.
დრო გარბის, სახურავებს ახებს სხივებს,
კრავს ცაში ვეღარმობრუნების მძივებს
და სასმელებით თავს თუ დაიმძიმებ,
შემორბის, როგორც ბუდუარში ბრბო.

შენ იწყებ ამ ქალაქის ერთით ათვლას,
110-ზე რომ ააღწევ[17], იგრძნობ დაღლას
და ტკივილს, თუკი ახვალ უფრო მაღლა.
ღიღინებს ჩიხში ჰობო თავის დარდებს
და ლენოქს ჰილზე აგურისფრად მყუდრო,
სახლისკენ მიდის აპერკლასი ურდო,
ეცადე მათში ჩუმად აიბურდო.
გულს სჯერა ყველა ფილმის, ყველა სცენის,
და ცენტრალ პარკი მზით და ფოთოლცვენით,

წამშლელი ყველა ცრემლის, ყველა წყენის,
აფარებს მიწას შემოდგომის ფარდებს.

გავიქცეთ! ემდი ვხიოთ შტრაუს პარკში
და სისხლი როცა მიმოქცევას გაშლის,
ბოლომდე გავხრათ გული, როგორც ვაშლი;
შენს ტუჩებს ვირჩევ პოლიტიკის ნაცვლად.
ქვავდება ცენტრი სითის ძლიერ ხელში,
ჯედაებს სიტყვა ეჩხირებათ ყელში
და რესპუბლიკა ყროლავს როგორც ლეში.
ჩვენ დავიკიდოთ, დრო ჩვენ არ გვაქვს ბევრი,
მოვშინაურდეთ, კასრია თუ ქვევრი[18],
გამოვიკეტოთ, არ გატოკდეს ნერვი,
არ გვიღირს მათი ბრძოლა მდოგვის მარცვლად.

პოლიტიკური სახედრები თოკით,
მიაბიჯებენ ბელგიური ბლოკით,
რომ გამოვიდეს რბილი ანტრეკოტი;
მითფექინგ დისთრიქტს არ აკვირვებს ხოცვა.
ჩვენ ლანდშაფტს შემოვფარგლავთ შავი ტუშით
და გაგვახარებს იორკვილი და სუში,
საღამოჟამს რომ ჩაგეკრობი გულში,
ვიქნებით როგორც ორი ხე და ქარი
გადაგვხრის ერთმანეთისკენ, აქ არის
სიმართლე ყველა კუთხის, ყველა მხარის,
ეს რესპუბლიკა იღუპება როცა.

NYC 2012

რედაქცია არ ეთანხმება ავტორის უზნეობას, და მიაჩნია, რომ 14-მარცვლიან სტროფში 12-მარცვლიანი სტრიქონის გამოჭენება არანაირად არაა გამართლებული. ავტორს შეეძლო სიტყვა „მხოლოდ“-ის შემდეგ ჩააემატებინა სიტყვა „მაშინ“ ან სადმე, შესაფერის ადგილას, რომელიმე ორმარცვლიანი სიტყვა

ჩაეკვეხებინა, მაგრამ იგი ვირზე შეჯდა და რედაქციის რჩევას ყური არ უგდო.

დათო ქარდავა

კომშის ხე

მოულოდნელად, როგორც სულგრძელობა ომში,
გვიანი შემოდგომის უმზეო დღეს
ქალაქის გულში აღმოვაჩინე კომშის ხე.
მწიფე ნაყოფით უხვად დახუნძლული
კვერცხის გულივით ყვითელი ბიებით
იდგა ფილარმონიის წინ,
სადაც ყველაფერი გულგრილობამდე ნაცნობია,
სადაც ყველაფერია ჰარმონიისა და სიყვარულის გარდა,
სადაც ბრინჯაოს თეძოგანიერ მუზას
ისე უფრთხიან ჰარმონიული ბგერები,
როგორც საფრთხობელას მხდალი ჩიტები.
აქ, ამ მტვერსა და ხმაურში,
მიწისქვეშა გადასასვლელის ერთ-ერთ კიბესთან,
სადაც საკმევლის სუნი ვერ ერევა პოპკორნისა და ღვეზელის სურნელს,
სადაც ყველაფერი ერთმანეთშია არეული, როგორც ბაზრობაზე
(და ეს მიწისქვეშა გადასასვლელი მართლაც ჰგავს გრუნტის წყლებივით მიწაში ჩასულ,
უხილავ ბაზრობას),
სადაც ყველაფერი იყიდება ტუალეტის ქაღალდიდან დაწყებული ბარაქის ხეებით დამთავრებული,
სადაც ხატებითა და ჯვარ-სკვნილებით სავსე მაღაზიას და საზოგადოებრივ ტუალეტს
თხელი კედელი ჰყოფთ და აერთიანებთ,
სადაც ჩინელი ქალი ქუთაისში შეკერილ წაღებს გიქებს და მოწყალებას ითხოვს პატარა ბიჭი,
რომელიც გამვლელებს ხან ბარბარობას ულოცავს, ხან – გიორგობას
და ასე ცდილობს თბილისელების რელიგიური გრძნობების კონვერტირებას.

აქ, ამ მტვერსა და ხმაურში,
მიწისქვეშა გადასასვლელის ერთ-ერთ კიბესთან,
სადაც პირქუში ბუკინისტი ისე ძვირად ჰყიდის წიგნებს,
თითქოს თავისი დაწერილი იყოს,
ყველაფერი ნაცნობია, ამ კომშის ხის გარდა –
ყველა ჭადარი, ყველა ფიჭვი, ყველა კედარი,
ყველა გაცვეთილი საფეხური გრანიტის კიბეზე,
რომლის ძირშიაც, გაკრეჭილ მოლზე მკვდარიც მინიხავს,
ლურჯ პოლიეთილენის პარკში გახვეულს პოლიცია რომ
დარაჯობდა:
ხეებს შორის გაებათ ყვითელი ლენტები წარწერით
POLICE LINE DO NOT CROSS
და მოუწოდებდნენ მოქალაქეებს:
ნუ გავჩერდებით! ნუ გავჩერდებით!
მოქალაქეები კი მშვიდად მსჯელობდნენ:
საიდან გაჩნდა ეს მკვდარი კაცი – ღამე ეძინა აქ თუ კიბიდან
გადმოვარდაო,
მაწანწალაა თუ – უბედური შემთხვევის მსხვერპლი?
სწორედ აქ, ფილარმონიის წინ, ამოსასვლელთან
იდგა მოხუცი ქალი გრძელი ჯოხით და შველას ითხოვდა –
კომშის მოწყვეტას ცდილობდა,
მაგრამ არ ჰყოფნიდა არც სიმაღლე, არც ძალა და არც მოხერხება.
„ღმერთო ჩემო!“ – ლამის შევყვირე – „ნუთუ, აქ იდგა მთელი ეს
წლები?“
აქ იდგა და მე ვერ ვხედავდი!
მე ვერ ვხედავდი ამ სილამაზეს ვარსკვლავებივით მიმოფანტულს
უღრუბლო ცაზე!
მოხუცის ჯოხით იოლად მივწვდი და ჩამოვკრიფე,
ვიდრე ჩანთაში ჩავუწყობდი, ცხვირზე მივიდე და შევისუნთქე.
ის კომში იყო, ზუსტად ის კომში,
ჩვენთან რომ იდგა ბაღში წლების წინ:
ქვასავით მკვრივი, არომატული,
ბუსუსებით დაფარული, ხელის გადასმის შემდეგ ყვითლად რომ

ელავდა,
რომ მოგეკბიჩა, ორ-სამჯერ მაინც უნდა გეცადა, ჩაგესო კბილი.
ზუსტად ის იყო: მახრჩობელა, გულზე დამდგომი, ოდნავ ჭიანი,
უგემრიელეს მურაბებად და კომპოტებად რომ იქცეოდნენ ბებიის ხელში
და მერე მთელი წელი რომ ვიზოგავდით ბიის ამ ნაყოფს
უგემური დღეებისა და წყალწყალა ჩაის დასატკბობად,
და ის სიმღერა („კომში, კომში კომარა...“) ყოველ ჯერზე
გვახსენდებოდა...
რასაც კი შევწვდი, ყველა მოვწყვიტე,
ღმერთმა გიშველოს, დამლოცა და წაიღო ჩანთა ოქროსავით მძიმე
კომშებით,
ამასობაში ხალხიც მოგროვდა,
ყველას უკვირდა კომშის აქ ხილვა
(ვერ იხსენებდნენ მის ნერგად ყოფნას, მის ყვავილობას),
ყველას უნდოდა ხელის შევლება.
ვიღას ახსოვდა იქვე მახლობლად დასვენებული საბრალო
მკვდარი?!
მილიონიან სავსე ქალაქში ბანალურია კაცის სიკვდილი,
რიტმის მცირედი დარღვევაა, მცირე შეკრთომა,
პოლიციელის ცალყბად ნათქვამი „ნუ გავჩერდებით“ რომ
დააბრუნებს ჩვეულ ფერხულში.
ქალაქის გულში, მტვერსა და ხმაურში,
სადაც ადამიანები ხეებს ისევე ერჩიან, როგორც ერჩიან
ადამიანებს,
კომშის მსხმოიარე ხე დაუჯერებელი მოულოდნელობაა!
მაგრამ ფაქტია,
როგორც ვარსკვლავები გამონაბოლქვით გადახურულ ქალაქის
თავზე,
როგორც გამარჯვებულის სულგრძელობა,
როგორც ანგელოზის ღიმილი ომში,
გვიანი შემოდგომის ღრუბლიან დღეს
თბილისის გულში ღვიოდა კომში.

ქიმიის გაცდენილი გაკვეთილები

„ერთი კვირის წინ დაკარგულ ბიჭს მდინარეში ეძებენ. შსს-ის ინფორმაციით, ბიჭი მდინარის პირას ჯართს აგროვებდა, რა დროსაც წყალში ჩავარდა“ – საინფორმაციო გამოშვებიდან.

პატარა ბიჭი უნდა წასულიყო სკოლაში,
პატარა ბიჭს უნდა ესწავლა ბევრი საგანი და მათ შორის ქიმია – ორგანულიც და არაორგანულიც,
რადგან ქიმია საინტერესოა,
ყველაზე პრაქტიკულია სხვა საგნებს შორის,
ყველაზე თვალსაჩინოა ლაბორატორიებში ჩატარებული ცდებით, სინჯარებით, რეაქტივებით.
ქიმია ეყრდნობა ბუნების ფუნდამენტურ კანონებს
და პატარა ბიჭს უნდა ესწავლა ყველა ეს კანონი,
მენდელეევის პერიოდულობის კანონის ჩათვლით,
უნდა გაერკვია, თუ რას ნიშნავდა:
„ქიმიური ელემენტების სისტემატიზაცია ატომური ნომრების ზრდის შესაბამისად“
უნდა ჩაწვდომოდა ვალენტობის განმარტებას,
უნდა ესწავლა ფიზიკური და ქიმიური თვისებები სითხეების და მეტალების,
მათ შორის იმ მეტალების, რომლებსაც ჯართის მიმღები პუნქტები იბარებენ:
ლეგირებული ფოლადის, თუჯის, ალუმინის და სპილენძისა,
მაგრამ პატარა ბიჭი არ გაუშვეს სკოლაში,
პატარა ბიჭს უთხრეს, რომ ცხოვრებაა საუკეთესო სკოლა,
რომ აქ ყოველ ნაბიჯზეა ქიმია – ორგანულიც და არაორგანულიც,
რომ თვალსაჩინო გაკვეთილების მიღება
სინჯარებისა და რეაქტივების გარეშეც შესაძლებელია,
რომ საკლასო ოთახსა და ლაბორატორიაში დროს ვერ დაჰკარგავდა,
რომ გადასარჩენად მენდელეევის მთელი ტაბულა არ

სჭირდებოდა,
რომ უნდა ეკმარა ალუმინი, სპილენძი და უჟანგავი ფოლადი,
გადაყრილი გაზქურებიდან, მაცივრებიდან და სხვა ჯართიდან,
რომ რეაქტივების, ცდებისა და ექსპერიმენტების გარეშე
უბრალო მაგნიტითაც იოლად გაარჩევდა ფერად ლითონს
ფოლადისაგან
და მიითვლიდა კილოგრამზე ორმოცამდე თეთრს.
თუ ბევრს ივლიდა ეზო-ეზო და ქუჩა-ქუჩა
რვა-ათ ლარამდე ავიდოდა დაღამებამდე.
და დადიოდა სხვებთან ერთად
სახურავებზე, სარდაფებში, ნაგავსაყრელზე.
თხრიდა, ჩიჩქნიდა, ამტვრევდა და ტომრებს ავსებდა,
ჯართს ვიბარებო, გაჰყვიროდა ეზო-ეზო თავის წვრილი ხმით,
აჩხრიალებდა მძიმე ჩანთებს იმ დროს, როდესაც
მის თანატოლებს სკოლის ზარი უხმობდათ კლასში,
მაგრამ პატარა ბიჭი არ დადიოდა არცერთ სკოლაში,
პატარა ბიჭი არ სწავლობდა არცერთ ქიმიას –
ორგანულსა თუ არაორგანულს,
პატარა ბიჭი აბარებდა ჯართს,
უსინათლო და დიაბეტიანი დედისთვის
რომ მიეტანა წამლები და საჭმელი რამე.
პატარა ბიჭი დაეძებდა ფერად მეტალებს,
როგორც პირველი გეოლოგი წიაღისეულს
ალიასკაზე, აფრიკაში ანდა ციმბირში.
ეძებდა ყველგან: ქალაქგარეთ, ქალაქში და მდინარის პირას,
სადაც ზედმეტი საგნებისგან ისე თავისუფლდებიან ადამიანები,
როგორც კოშმარული სიზმრებისგან ცრუმორწმუნენი
და სადაც პატარა ბიჭმა მიიღო უკანასკნელი გაკვეთილი,
არცერთ სკოლაში რომ არ ისწავლება,
არცერთ სახელმძღვნელოში რომ არ წერია:
რომ ობლის კვერი არასოდეს არ გამოცხვება,
რომ ოქროს თევზი მოგატყუებს, თუკი არსებობს,
რომ მდინარეზე ჩასულ პატარა ბიჭს

თუ უნებლიეთ ფეხი დაუცდა, ვერ გადარჩება,
ვერ შეელევა მძიმე ზურგჩანთას, ფსკერისკენ წავა...
და ამის შემდეგ მდინარესთან მივა ზღვა ხალხი,
როგორც რამ ჯოგი სავანაში დასარწყულებლად
და მაშველები დაიწყებენ ფსკერის გაჩითვას,
გვამის მოძებნას იჩქარებენ დაღამებამდე,
დაძებნიან კი როგორც ბიჭი ეძებდა მეტალს,
მაგნიტის ნაცვლად, თუმც ექნებათ ბასრი კავები,
პატარა ბიჭი კი იწვება ფსკერზე, ქვიშაში,
მძიმე ზურგჩანთით ღუზასავით ლამში ჩაფლული,
რას უშველიან მაშველები, იპოვნონ თუნდაც,
პატარა ბიჭი ვეღარ წავა ვერცერთ სკოლაში,
და ვერ ისწავლის ქიმიას და მის მთავარ კანონს:
როგორც მდინარე, დროც ვერ იდენს აღმა, უკუღმა
და ისეთ ხალხში, სადაც ჯართის ფასი აქვთ ბავშვებს,
არ ღირს სიცოცხლე, მკვდრეთით აღდგომაც.

ბაღში თეატრის წინ

ბაღი თეატრის წინ –
ოღონდ არანაირი ჩეხოვი და ალუბლის ბაღი.
აქ ვერ შეხვდები უსიცოცხლო დეკორაციებს, ვერც ყალბ
არტისტებს,
აქ მშვენიერი ფიჭვები და ნაძვები დგანან –
აცვიათ კირის ხსნარის თეთრი გეტრები,
სავსეა ბაღი წიწვებით და ზღარბის მსგავსი ხმელი გირჩებით.
აქვე არიან ტოტებდაგრეხილი მძლავრი მუხებიც
და მათ ძირებში დაცვენილ რკოებს ნელ-ნელა ეპარება მწიფე
სიყვითლე,
აქ პრემიერის ტოლფასია ყოველი დილა
და ჩემი როლით, ეპიზოდურით, ვარ ბედნიერი.
ამ ბაღს გავივლი ყოველ დილით მძიმე ზურგჩანთით,
როცა აუზზე მივდივარ...
მე ვერ გადავცურავ ზღვას,
მაგრამ აუზს,
მის ნელთბილსა და ზომიერად ქლორიან წყალს – რამდენჯერ
გინდა,
თუმცა მდინარის მსგავსად, ვერც ბაღში შეხვალ ორჯერ.
ნეტარებაა ეს ბაღი ადრიან დილით,
უკაცრიელიც კი სავსეა მოლოდინით, რომ შეივსება სინათლით,
ხეთა შრიალით, შაშვის გალობით,
ბავშვის სიცილით,
შეყვარებულთა სუნთქვითა და ოხვრა-ჩურჩულით.
არაფერი სჯობს ამ ბაღში შესვლას,
გუგულის მოთქმას,
მფრთხალი ყვავების გულიან ყრანტალს.
ძაღლების ყეფას და მათი პატრონების გადაძახილებს.
აქ მეეზოვე ყოველ დილით ფოთლებსა და წიწვებს აგროვებს.
აქ დააბიჯებს მოხუცი კაციც,

სპორტულად დადის ბაღის კიდეზე,
ვარჯიშობს და დღეებს იმატებს,
მხოლოდ ზამთრობით არ ჩანს, არ დადის,
დათოვილი და ცარიელია მისი ბილიკი,
მაგრამ სულ მახსოვს, არ მავიწყდება
რომ ეს ბილიკი აქ მან გაკვალა,
რომ მან იარა მთელი ეს წლები ბაღის გარშემო
და ნამდვილი გაზაფხულიც მაშინ დადგება,
როცა ის მოვა და დაიწყებს წრეზე სიარულს
როგორც სჩვევია – სირბილის ზღვარზე,
თუმცა კი ვამჩნევ,
რომ წლიდან წლამდე მეტ დროს ანდომებს
(წელში მოხრილა და ოდნავ კოჭლობს),
რომ წლიდან წლამდე ჰკარგავს სისწრაფეს,
მაგრამ ხომ დადის, ხომ არ ჩერდება?!
მე ვაკვირდები ამ მოხუცს და მის სიჯიუტეს,
მის სიარულს და სიცოცხლის ულევ სიყვარულს
და მეც ვმხნევდები,
მსუბუქად მიმაქვს ჩემი ზურგჩანთა,
ნაბიჯს ვუჩქარებ,
მოხუცი კაცის ენერგია გადამდებია,
ალბათ ოთხმოცის თუ იქნება, ან ცოტა მეტის.
მე ორმოცდაათის არა ვარ ჯერაც,
და მართლა მჯერა,
მეც ასე ვივივლი ბევრი წლის შემდეგ...
გვიანღა ვამჩნევ ბაღის სიღრმიდან
ყმაწვილი კაცის სხივჩამდგარ მზერას,
ოცის იქნება ან ოცდახუთის,
მიყურებს როგორ მივაბიჯებ ენერგიულად,
როგორ ხტის ჩემი ზურგჩანთა ნაბიჯის რიტმში,
იცის, რომ აუზზე მივდივარ,
რომ უნდა გავცურო,
და ალბათ ფიქრობს,

რომ დიდად არა,
მაგრამ მაინც შევიცვალე შარშანდლის მერე,
რომ უფრო მეტად მოვიხარე წელში, ბეჭებში,
ნაბიჯებიც უფრო მეტად დამმძიმებია,
ვინ იცის, იქნებ დიდად ვერც გვარჩევს
და ის მოხუცი კაცი ვგონივარ,
ბაღის პერიმეტრზე რომ მიაბიჯებს წლიდან წლამდე სულ უფრო
დინჯად,
სწორედ ის კაცი, ვინც მე მამხნევებს და ასე მმუხტავს?!
ეს მე არ ვიცი!
ვიცი კი ზუსტად: გული დამწყდება,
როცა ამ მოხუცისთვის უსასრულოდ გაგრძელდება ბნელი
ზამთარი,
და რომ ბაღი თეატრის წინ,
მისი ფიჭვები კირის ხსნარის თეთრი გეტრებით,
მისი წიწვები და ზღარბის მსგავსი ხმელი გირჩები.
ტოტებდაგრეხილი მძლავრი მუხები
და მათ ძირებში დაცვენილი მწვანე რკოები,
უთუოდ იგრძნობენ ამ დიდ ცვლილებას, ამ დიდ დანაკლისს.

უ. ჰ. ოდენის სახე

სახე როგორც რელიეფური რუკა,
განგის გამხმარი ტალახი,
უსწორმასწორო ღრმა ხნულები შუბლზე
თვალების ირგვლივ ობობის ქსლად გაბმული სქელი ხაზები
დამშრალი ტბების ფსკერივით დახეთქილი ორივე ლოყა
კანიონივით გაპობილი ფართე ნიკაპი,
ნაოჭები, როგორც დროის პროექცია,
როგორც თავგადასავალთა ღრმად დაშიფრული ტექსტები,
დამსკდარი კანი – როგორც სულის დამცავი ქერქი, მძიმე ჯავშანი,
ომგადახდილი აქილევსის ზემტკიცე ფარი –
დაჩეჩქვილი და მრავლისმნახველი,
ყველა მახვილის, ყველა ისრის, დარტყმის მიმღები...
და როგორც ფარზე კოჭლი ჰეფესტო,
დროც ტოვებს ხაზებს, თავის სტრიქონებს –
უღრმეს ნაჭდევებს ჰექტორის ხმლისას,
ტროაში ნაწრთობ მახვილების კვალს,
ნაოჭებისას ქმნის პოეზიას, ავტორსა ჰბაძავს
და ყველა, ვინც არ გაექცევა ბრძოლას, არ დაიმალება,
ვინც ივლის ქარში და დროს გაუსწრებს,
ჯილდოდ მიიღებს გმირ აქილევსის ფარზე ბევრად მეტყველ სახეს
და შეჯამებას მთელი ცხოვრების:
არანაირი სიგლუვე!
ოდენ ნაოჭები, ოდენ!

პაპუნა გიორგაძე

კაცები რომ ორსულდებოდნენ ქალების დახმარების გარეშე

“კაცი შობს კაცს, ხოლო ქალი ქალს, და ასე იქნება უკუნისამდე”

კაცები რომ ორსულდებოდნენ ქალების დახმარების გარეშე,
კაცები, ანუ ჩვენ, ვიქნებოდით არა ძლიერი,
არამედ ერთადერთი სქესი, რომელიც თავს
ჰომო საპიენსს უწოდებდა.
ხოლო ქალებს, როგორც არაპირველსახეებს ქრისტესას,
მოვაჭრიდით ენებს, რომ პირუტყვები ყოფილიყვნენ,
გამოვკეტავდით ზოოპარკებში და ვიტრინებში,
მათი ვიზუალური მხარით დავტკბებოდით და
თვალებს მივანიჭებდით სიამოვნებას.
გავყიდდით ძვირად და მივიღებდით მათგან
ზოგი მატერიალურ, ხოლო ზოგი ინტიმურ სიამოვნებას.
მოეწყობოდა მდიდრული წვეულებები,
სადაც გაიმართებოდა ორგიები ქალების დახმარებით,
გავათამაშებდით ქალებს შოუებში,
ჯიხურში გასაყიდ ლატარიებში,
გავაკეთებდით ქალსაშენებს,
სადაც უშნო და ულამაზო ქალებს გამოვკეტავდით გალიებში,
მოვკლავდით (დავხოცავდით) სასაფლაოებზე შავად შემოსილნი,
გამორჩეული ინტელექტის მქონეებს შევაბამდით უღელს
და მიწას მოვახვნევინებდით.
შესვენების დროს მოვხსნიდით უღელს, გადავიყვანდით ხის ჩრდილში,
გავაუპატიურებდით დაღლილებს და ისევ სახნავად გავუშვებდით.
დავაპატიმრებდით მათ, ვისაც ენამოუჭრელი, შინაური ქალი ეყოლებოდა.
შეიძლებოდა, გაგვესინჯა კიდეც, როგორც საკვები,

შეიძლებოდა, დაგვეხოცა კიდეც, როგორც ზედმეტნი,
შეიძლებოდა, გვეწამებინა უმიზეზოდ
და, ერთი სიტყვით, ყველაფერს დავავალებდით, რისი გაკეთებაც
დაგვეზარებოდა.
ჩვენ ყოველდღიურად დავამტკიცებდით ჩვენს უპირატესობას,
ჩვენ ყოველდღიურად დავაჯერებდით თავს, რომ ვართ უფრო
დიდები,
ძლიერები და აღმატებულები,
ჩვენ ყოველდღიურად გავანივთებდით და გავაცხოველებდით
მათ.
ჩვენ ყოველდღიურად დავამტკიცებდით, რომ ვართ უღირსი
არსებები,
რომლებიც არა და არ ვიმსახურებთ იმას, რაც გაგვაჩნია!

საზოგადოებრივ ტრანსპორტში

შემდეგ გაჩერებას უახლოვდება
საზოგადოებრივი ტრანსპორტი,
ამის შემდეგ ბაზარი არის,
ხოლო ბაზრიდან ჩემს სახლამდე – სამი გაჩერება.
ღია ფანჯრიდან შემოდის ცხელი ჰაერი,
რადიოდან უნიჭო მომღერალი
სომხურ ფოლკლორს მღერის ქართულ ენაზე,
ჩემ უკან მთვრალი კაცი ზის, – სპირტის სუნად ყარს,
ჩემ გვერდით ახალგაზრდა ზის – ოფლის სუნად ყარს,
ჩემ წინ შუახნის ქალი ზის, – სუნამოს სუნად ყარს,
ჩემს სკამზე მე ვზივარ, ალბათ მეც ვყარვარ რამის სუნად!
საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბაზართან აჩერებს,
წამებში ამ შეჩვეულ სიმყრალეს
ხმაურიანი ოთხფეხის ფქვილის ტომრიდან გამოსული სუნი
შეერევა.
წაეჩხუბება მგზავრი მძღოლს, მძღოლი – ვაჭარს!
წინ მჯდომი ქალის მძინარე ჩვილი გაიღვიძებს და დაიწყებს
ტირილს,
რადიო ახალ უნიჭო თანამემამულეს გაგვაცნობს.
კართან მდგომ ახალგაზრდას, რომელიც ვიზუალით ჰგავს გეის,
არ ესმის რადიოს ხმა, რადგან ყურში აქვს ყურსასმენები
და თავისი გემოვნებით უსმენს მუსიკას.
მასთან ახლო სკამზე მსხდომი ბიჭები
ირონიით უყურებენ გეის და შანსს ეძებენ,
რომ ჩაათრიონ ტრანსპორტიდან და მაგრად სცემონ.
საზოგადოებრივი ტრანსპორტი მიწისქვეშა გადასასვლელთან
აჩერებს,
ამოდიან ახალი მგზავრები,
მძღოლი ჩადის ტრანსპორტიდან,
მძღოლი ჩადის მიწისქვეშა გადასასვლელში,

მძღოლი ამოდის მიწისქვეშა გადასასვლელიდან და შარვლის ელვას იკრავს.
მძღოლი ჯდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭესთან და გრძელდება გზა.
გეი საყვედურობს მძღოლს.
ახლოს მჯდომი ბიჭები იცავენ მძღოლს და რიგგარეშე გაჩერებაზე ჩაჰყავთ გეი საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან.
ფანჯრებიდან ცხელი ჰაერი შემოდის,
ჩემ უკან მჯდომ მთვრალს ჩაეძინა,
ჩემ წინ მჯდომი ქალი პოლიტიკურ დებატებში შევიდა
მის გასწვრივ მჯდომ სხვა ქალთან.
ჩემ გვერდით მჯდომი ჩავიდა.
რადიომ ახალი სიმღერა წამოიწყო,
ჩემ გვერდით უგემოვნოდ ჩაცმული გოგო დაჯდა
აწითლებული ლოყებითა და ხელში ქსეროქსებით.
მძღოლმა ვიღაც დამწყებს ხმამაღლა შეაგინა წესების დარღვევის გამო,
მძღოლის უკან მჯდომმა ქალმა საყვედური გამოთქვა ბილწსიტყვაობის გამო,
ჩემ გვერდით მჯდომმა უგემოვნოდ ჩაცმულმა გოგომ
ჯერ მას აუბა მხარი, შემდეგ კი პოლიტიკურ დებატებში ჩაერთო.
საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა გააჩერა.
სახლში მოვედი!

სოციალური მანიფესტი

ვისი სირცხვილია სექსუალური ძალადობა,
რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში დაფიქსირდა,
გაუპატიურებულის თუ გამაუპატიურებლის?
სად ყრიხართ ამ დროს პოეტებო და რა ჯანდაბაზე წერთ?
იმ გოგოს თქვენი ლექსის გარეშეც ლამაზი თვალები ექნება,
სხვათაშორის, თქვენს ლექსზე ლამაზი!
დღეს სხვა რამეზე უნდა წეროთ,
თუნდაც იმაზე, რომ მეძავის გაუპატიურება კანონით არ ისჯება,
რადგან გაუპატიურება – ეს არის ნამუსის ახდა,
ხოლო კონსტიტუციის მიხედვით, მეძავს არ აქვს ნამუსი.
მინდა შემეძლოს ხმამაღალი ლაპარაკი,
რომ მსოფლიოში გავავრცელო ხმა ჩემი ქვეყნის შესახებ,
იგი პოეტური ფლირტით არის დაკავშირებული მშიერ შვილებთან
და დღემდე დუმს.
მას პასუხები არ გააჩნია,
ისევე, როგორც სხვებს, ვისთვისაც იესოს პირველსახეობა
სავიზიტო ბარათად იქცა.
ბარათად, რომლის მეშვეობითაც დაუშვებელიც დაშვებული
ხდება,
ისინი მრავლდებიან ყოველდღიურად, უარყოფენ მომავალს
სიტყვა რომანტიზმის განმარტების გარეშე,
იგუდებიან წარსულის სუნში
და კლავენ იესოს სახელით,
სექსუალურად ძალადობენ იესოს სახელით,
იპარავენ იესოს სახელით,
სცემენ იესოს სახელით,
სასჯელს იხდიან იესოს სახელით,
ამნისტია ეხებათ, რასაც ცხადია იესოს სახელს უკავშირებენ და
იწყება თავიდან,
იქმნება ცირკულაცია, ამ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის გარეშე,

შემდგომში იქცევიან გმირებად, შაბლონებად, უჩნდებათ უხილავი ბომონი,
იმკვიდრებენ სახელს და ქმნიან წარსულის იდენტურ მომავალს.
უმნიშვნელოა, მართლა იყო თუ არა მეძავი
მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში გაუპატიურებული ქალი?!
თუმცა ის კი ცხადია, რომ მან ვერ იპოვა სამართალი,
გულდამძიმებულმა თავი ჩამოიხრჩო,
ხოლო ყველა, ვისაც უნდა ეყვირა, დადუმდა,
და ასე გრძელდება დუმილი,
და ასე გაგრძელდება მარად,
სახელითა მამისა, და ძისა, და წმინდისა სულისა,
აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე!
ოღონდ ამინ – არა,
ყოველი შემთხვევისთვის ჩემი პირიდან ვერ მოისმენთ ამას!

ომი

რა შუაშია აქ სივიწროვე, სიფართოვე, ამინდი, დღე, ღამე,
რა მნიშვნელობა აქვს აქ ნერვებს, რომელიც გღალატობს ან ერთგულია,
რა მნიშვნელობა აქვს აქ იმას, თუ ვინ დატოვე იქ, საიდანაც წამოხვედი,
ან ვინ გელოდება იქ, სადაც მიდიხარ.
რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთაზე, რომელიც გაიარე,
სამ ჯვარზე გაკრული სამი კაცი დაგხვდა,
და მთის ქვემოთ დაგხვდა შუა კაცის მტირალი დედა,
„ვწუხვარ ქალბატონო, ვერაფრით განუგეშებთ“ – თქვი და გაიარე.
რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხვალ შენი დედაც ასე ატირდეს შეიძლება,
რა მნიშვნელობა აქვს აქ იმას, რომ გყავს დედა, მამა, ცოლი, შვილი, ზოგს შვილები,
ზოგს ბებიები და ბაბუები, ზოგს დიდი ბებია და ბაბუაც ჰყავს იქნებ.
აქ ყველაფერი უმნიშვნელოა,
აქ ყველაფერი უმნიშვნელო და საშიშია,
აქ იციან, რომ ჩუმად უნდა იყონ,
აქ ვიცით, რომ ჩუმად უნდა ვიყოთ, რადგან აქ არის ომი.
აქ არის ომი და სწორედ ეს არის ომი, და არა ის, ახლებური, დიპლომატიური, პროჭული,
აქ არავის აინტერესებს, ვინ რა თქვა, რა დაწერა და რის დაწერას აპირებს,
აქ არავის აინტერესებს, ვის ედო პირში ფალოსი და ვის უკანალში,
აქ ყველას ერთმანეთი აინტერესებს, რადგან
აქ ყველა ერთმანეთს გადაფარებული ფარი ვართ!
ჩვენ აქ დავრჩებით, ცხადია, ყველა ვერც მოვკვდებით, ვერც გადავრჩებით,
თუმცა ისიც ცხადია, რომ ჩვენ აქ დავრჩებით,

აქ დარჩება ჩვენი გონება, მეხსიერება,
ხოლო თავად ომი დაიკავებს ჩვენს სხეულებში გონებისა და მეხსიერების ადგილს,
დიახ, ეს ომი, ნამდვილი ომი, მოულოდნელი ტყვიის წვიმებით,
დამაყრუებელი ყუმბარის ხმებით,
თმაში ჩარჩენილი სანგრის ტალახით, სახეზე შესხმული მეგობრის სისხლით.
წუილით, რომელიც მთელი ცხოვრება ყურებში რჩება,
ნათებით, რომელიც ყოველ ღამეში ერთხელ მაინც გაგაღვიძებს,
სიზმრებით, რომლებიც მოგატყუებს, რომ შენი ძმები ისევ ცოცხლები არიან,
გამოღვიძებით, რომელიც გაგახსენებს, რომ ყველა, ვინც გვიყვარდა, მკვდარია.

მასობრივი დისკრიმინაცია

იგი არ იდგა მარტო,
თუმცა ის, ვინც მის გვერდით იდგა, თვლიდა, რომ იდგა მარტო,
ხოლო მათ წინაშე ხალხი იწყებდა მოძრაობას.
– ეს შეუსაბამოა ჩვენი მენტალიტეტისთვის –
ამბობდა დაწინაურებული, რომელსაც მხარს უბამდა
ქუჩაში საგანგებოდ შეგროვილი მასა,
ხოლო სამართალდამცავი, რომელსაც სიკვდილის სუნი სცემდა,
უმოძრაოდ იდგა.
ტელევიზიები გადმოსცემდნენ რეპორტაჟებს,
ხოლო ტელეეკრანებთან მოკალათებული ბავშვების შაბლონები
იყვნენ იქ გამოჩენილი გმირები, რომლებიც
ეროვნული ღირებულებების გადასარჩენად იბრძოდნენ.

სწორედ ეს არის სახელმწიფო, სადაც შესაძლებელი არის წერა,
საზოგადოება, რომელიც არსებობის იმიტაციას ქმნის,
მავალდებულებს ჩემი სახელის სწორად გამოყენებას.
სტრუქტურა დუმს, როცა საზოგადოებრივი კანონით
ისჯება განსხვავებული პოზიცია.
სტრუქტურა დუმს, როცა საზოგადოებრივი კანონი
ეწინააღმდეგება სამართლებრივ კანონს.
სტრუქტურა დუმს, როცა საზოგადოებრივ კანონს
სასულიერო მოღვაწეები წერენ.

იგი კი ამ დროს არ დგას მარტო,
ხოლო მისი გვერდით მდგომი თვლის რომ დგას მარტო,
უკანასკნელი შანსი არის გაქცევა საკუთარი თავიდან,
და მაშინ, როდესაც საკუთარ თავს გაქცევა არ შეუძლია,
მას მოსდის სისხლი,
ხოლო კეთილშობილი სამართალდამცავი დუმს,
რადგან საზოგადოებრივ კანონს, ეთიკურ კოდექსს,
ეთნიკურ ღირებულებებსა და ყოველგვარ კონსტიტუციურ

ვალდებულებებს
ქმნის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი – სასულიერო პირი.

ტელეეკრანებიდან იწყება ფსიქოლოგიური ომი
გარდაცვლილის დედასა და გარდამცვლელის დედას შორის,
ტელეეკრანებიდან მოდის კამათი, უფლება დაცულებსა და
უფლების დამცველებს შორის.
ტელეეკრანებში ჩანს ომი პიროვნულ სენტიმენტებსა
და არსებობის ისტორიებს შორის.
ქუჩებში მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ჩაგვრა
გამარჯვებულების მიერ, დამარცხებულთა მსგავსი
ვიზუალის მქონე პირებისა,
დაღლილი დედები ლოცავენ გამარჯვებულებს,
და სწორედ ეს არის სამოქალაქო ომი.

სად არის აქ სახელმწიფო, რომლის ვალია აღმოფხვრას
ყოველგვარი ინციდენტი, რომელიც ფსიქიკურ ჩაგვრას
განაპირობებს,
სად არის აქ ისტორია, აწმყოს უარმყოფელი და წარსულის
მეხოტბე რომანტიკოსი,
სად არის აქ მიწა, რომელიც საარსებო მინიმუმის სანაცვლოდ
მსხვერპლს ითხოვს ჩემგან.
სად არიან ამ დროს პოეტები, რომლებიც გამუდმებით დაკარგულ
ტერიტორიებზე
ჭყავიან დაუმთავრებელი, უნიჭოდ გარითმული
ჰიმნოგრაფიებით.
სად არიან ამ დროს სამართალდამცავები, და რამდენი მათგანი
ეტევა
სასულიერო პირის უკანალში.
სად არიან ამ დროს პოლიტიკოსები, რომლებიც საზოგადოებრივი
კანონის
წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავენ უფლებამოსილების დაკარგვის
შიშით.
სად არიან სწორედ ისინი, რომლებიც სრულყოფილ რასას ქმნიან,

ვინ არის მათი შაბლონი, ან რა განაპირობებს მსგავს დეგრადაციას,
რატომ არის დუმილი და რატომ დგას მძაფრი შიშის სუნი.
რატომ მეშინია წერის და ვინ დაიცავს ჩემს უფლებებს,
როდესაც ამ ყველაფერს გააშინაარსებს ვინმე, ახალი ნაწვიმარი გუბესავით
სავსე ეროვნული პათოსით.
რომელსაც რელიგია მოუწოდებს ომისკენ, სამოქალაქო ომისკენ,
და არ იქნება მის მუცელში ეთიკური დილემის ნატამალი,
იგი აღასრულებს მოვალეობას, და კანონი იქნება მის მხარეს.
გამოვა დედა, რომლის წინააღმდეგ გამოვლენ სხვა დედები.
ჩატარდება მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება და შეიცვლება სასაუბრო თემა,
და ყველაფერი, რაც წარსულია, იქცევა მომავლად.

აქ ვის იმედად იყოს ჩაგრული მხარე?
ღმერთის, რომელსაც ყოველგვარ მსგავს ქმედებას აწერენ,
თუ სამართალდამცავების, რომელთა აზრითაც უფლებები არ გამაჩნია?
დიახ, საშიში ფიქრი დეგრადირებულთა შორის,
საშიში არის ყვირილი ყრუთა შორის,
თუმცა მე დუმილს არ ვაპირებ.

ჰიმნი (ხმა პირველი)

ნურც მწერლებსა და პოეტებს,
ნურც წერილების ავტორებს,
ნურავინ მისცემთ მონეტებს,
დიდება მასტურბატორებს,
კომენდანტებს და მსაჯულებს,
ერთგვარად უზუპატორებს,
ვერავინ ვერ მოარჯულებს,
დიდება მასტურბატორებს.
ექიმი, მღვდელი, ვაჭარი,
თუკი დათვი ხარ, დატორე,
და დრონით ცაზე გაშალე,
დიდება მასტურბატორებს.
იდეით ტერორისტები
საკნებს, ციხეებს, კანტორებს,
არა გვყავს დანაკლისები,
დიდება მასტურბატორებს.

ოთახში არ ვეწევით

ოთახში არ ვეწევით!
გაგიკვირდათ? ჩვენი კედლები სხვა რამეს მეტყველებს, არა?
ჩვენი თავისქალებითა და წითელი ცეცხლებით მოხატული
კედელი,
ჩვენი ჩაცმულობაც სხვა რამეს მეტყველებს, არა?
ჩვენი გრძელი, შავი ტყავის ფეხსაცმელი და შავი მაისური
სხვადასხვა როკ-ბენდების გამოსახულებით.
ჩვენი დაურეცხავი თეფშები და დაუხვეტავი იატაკიც
სხვა რამეს მეტყველებს, არა?
ჩვენი სექსუალურად თავისუფალი ცხოვრება და
დამოკიდებულება
ღმერთისადმი, რელიგიისადმი, მითუმეტეს, პატრიარქისადმი,
ჩვენი მოხატული სხეულებიც სხვა რამეს მეტყველებს, არა?
აქაც თავის ქალები, რომლებსაც ყორნები ძიძგნიან,
მუსიკაც, რომელიც გესმით, სხვა რამეს მეტყველებს, არა?
თქვენს მიერ ჯაგაჯუგად მონათლული სიმშვიდე.
ეს ყველაფერი ნუ მოგატყუებთ,
ჩვენთან, ოთახში, არ ეწევიან,
ხედავთ საწოლს, შავი ზეწრითა და წითელი ბალიშით,
შიგ ჩვენი თემის წევრი წევს, კვდება,
ამიტომ ჩვენთან ოთახში არ ეწევიან,
დიახ, კარგ ტიპებსაც ემართებათ კიბო!

3. პროზა

დათო სამნიაშვილი

ელექტრონული მეტამორფოზა

– რაც გინდა, ის მითხარი, ეს მარსელები არ მევასებიან. ნახუიშნიკობა ჩემი საქმე არ არის!

ლოკი დივანში ეფლობა. დივანი ტანსაცმელს ხდის. შეუძლია მოეშვას და დაისვენოს. ახლა ის ადამიანია.

– ნახუიშნიკობას ისევ ძაღლობა მირჩევნია...

ყრუდ ბურტყუნებს, ამჯერად თავისთვის. ლოკი ნახუიშნიკებს მარსელებს ეძახის. მათ, ვინც დედამიწა მიატოვა და ახალ კოლონიას შეუერთდა. ლოკი ჩემი ცოლია, უფრო სწორად, დღის ერთი ნახევარი ცოლი, მეორე ნახევარი კი ადამიანის მეგობარი. მეგობარი ძველებური გაგებით, წინაპრების ენით. ოდესღაც ჩვენი წინაპრები შინაურ ცხოველებს „ადამიანის მეგობარს“ ეძახდნენ. ისტორიას თუ დავუჯერებთ, სხვა რა გზაა, წინაპრებს ოდესღაც სახლში შინაური ცხოველები ჰყავდათ, განსაკუთრებით ხშირი ყოფილა მგლის ერთგვარი შთამომავალი – ძაღლი. ეს ძაღლისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარი სხეულის სიგრძით 50 დან 160 სანტიმეტრამდე ყოფილა, ჰქონია კუდი 20-50 სმ ფარგლებში, ხოლო მასა 6-დან 80 კილომდე. ცნობილები იყვნენ საკუთარი სექსუალობით, ჯვარდებოდნენ ყველგან, სახლშიც და გარეთაც. მათ სექსს DOGGY STYLE-ით იცნობდნენ.

– დაიღალე?

ლოკის ვეკითხები და ვიცი, დაიღალა. უმუშევარი ადამიანის შეკითხვაა. ასეა, უსაქმურები ყოველთვის კითხულობენ, დაიღალნენ თუ არა სხვები, მაგრამ მათ იმავეს არასდროს არავინ ეკითხება. უსასრულობას ვფიცავარ, რეალური დაღლა უსაქმურობამ იცის. დრო არ გადის, თითქოს შავ ხვრელში ზიხარ, გარშემო კი ყველაფერი გაიყინა. ლოკი ყოველთვის დილით იღვიძებს, ლოგინი ჩაცმაში ეხმარება, შემდეგ სააბაზანოში შედის, იქ რობოტი მიჰყვება და აბანავებს. ათ წუთში ლოკის ზურგზე

ძვლის ფორმის ჩანთა ჰკიდია და გარეთ გადის. ასე იწყება ყოველი დღე და მთავრდება ლოკის დაბრუნებით. მთელი დღე მუშაობს. ნორმალური სამსახური აქვს, ერთი ასტროფიზიკოსის ოჯახში დადის. ეს ასტროფიზიკოსი კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერიც ყოფილა და თურმე რაღაც სუპერპოზიციის შექმნაზე მუშაობს. ეგეთები მე არ გამეგება. თეორიები ყოველდღე იცვლება, პროცესში თავად თუ არ ჩაერთე, დაკვირვებას აზრი აღარ აქვს. ჩვენს დროში მეცნიერი თუ არ ხარ, ესე იგი, მარსზე უნდა გაფრინდე. მარსზე კოლონია შედარებით ახალია და ადამიანები სჭირდებათ. ზუსტად ვერ ვიტყვი, იქ რა ხდება, მაგრამ ვიცი, რომ მეცნიერების ცოდნა აუცილებელი არ არის. მთავარია შეჯვარდე და გამრავლდე. ფაქტობრივად ამისთვის გაჭმევენ და გინახავენ... ასეთი შენახვის რა ვთქვი.

ამბობენ, პლანეტის მასის გამო, რომელიც დედამიწისაზე ფაქტობრივად ორჯერ მცირეა, ადამიანები სხვანაირები იბადებიან. მახინჯები... მუტანტები... მცირე გრავიტაციის გამო დროთა განმავლობაში მარსზე ადამიანები დაგრძელდნენ და გათხელდნენ. ამბობენ, საკმარისია მარსელს აქ დაბრუნება მოუნდეს და დედა პლანეტაზე ერთი ნაბიჯი მაინც დადგას, რომ ეს უკანასკნელი მის სუსტ და მყიფე ძვლებს თავისი გრავიტაციით უმალვე ნამსხვრევებად აქცევსო. ერთი სიტყვით, მარსზე წასვლა ნიშნავს, რომ გაუაზრებლად უნდა შეჯვარდე – არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან. თუ მარსზე მიდიხარ, უნდა იცოდე, რომ არა მარტო შენ, შენი შთამომავალიც კი ვერასდროს დაბრუნდება პლანეტაზე, სადაც ტექნოლოგიების და მეცნიერების ბუმია. სადაც ჩვენმა სახეობამ ფეხი აიდგა...

– დავიღალე.

მპასუხობს ლოკი. თვალებს ხუჭავს. რამდენიმე წამში კვლავ ახელს. მიყურებს. გამოხედვა სევდიანი აქვს. ვერ ვხვდები, ეს სევდა ჩემდამი უკმაყოფილებით არის გამოწვეული, თუ იმით, რასაც ახლა მეტყვის...

– მეტამორფოზინი მინდა...

– აქაც? საყვარელო, ისედაც მთელი დღე მაგ საშინელებით ხარ გაჭყეპილი...

– მაგ საშინელებით ვარსებობთ! – მაწყვეტინებს ლოკი, – შენ და რობოტს სხვა ვინ შეგინახავთ?!

მართალია. ხმას ვერ ვიღებ. ლოკი რომ არა, მე და ლიზის ნამდვილად არავინ შეგვინახავდა.

– არ გინდა შენც გასინჯო? სულ ერთხელ. პატარა დოზა მიიღე. პირდაპირ ძაღლი, ან კატა ნუ გახდები. ერთი გაყნოსვა და ისეთი გაუცხოება მოვა... – მთავაზობს ლოკი და მიღიმის, – ასე სახლში როდემდე უნდა იჯდე. სულ ცოტაც და ამ რობოტზე ეჭვიანობას დავიწყებ.

ლოკის მესმის, მაგრამ მანაც უნდა გამიგოს. მას მარსზე წასვლა არ უნდა, მე კი მეტამორფოზინზე შეჯდომა. ლოკის მუტანტობას ძაღლობა ურჩევნია. ურჩევნია მთელი დღე ვიღაცა ფიზიკოსის შვილები გაართოს. გაიყნოსოს ეს ყვითელი ფხვნილი და ძაღლად იქცეს. როგორც მიყვება, ბავშვებს ძალიან უყვართ. გაუთავებლად ეთამაშებიან. მეტამორფოზინის ზემოქმედების ქვეშ ლოკი თავს ძაღლად გრძნობს, სიამოვნებს კიდევაც. როგორც მეუბნება, სიამოვნება, რომელიც ბავშვის მიერ მოსატანად გადაგდებულ ჯოხს მოაქვს, ადამიანისთვის გაუგებარია, შესაბამისად, მიუღწეველი.

თავად არასდროს გამისინჯავს, მაგრამ ლოკი ასეთ მდგომარეობაში ხშირად მინახავს. თავიდან სამსახურის გამო დაიწყო. სახლში დაღლილი ბრუნდებოდა. იჯდა და ტიროდა. დეპრესია დაეწყო. ერთხელ ისიც მითხრა, მგონი ძაღლი ვარო. მე დამშვიდება ვცადე და მარსზე გაფრენა შევთავაზე. მოვიფიქრებო, მიპასუხა. მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებულმა ხმა არ გამცა, ჩანთიდან პატარა პაკეტი ამოაძვრინა, დიდი სქელი „ლაინი“ გაიკეთა და ცხვირი მტვერსასრუტივით მიუშვირა. მერე

მომიახლოვდა და გახდა დაიწყო. უკვე წელიწადზე მეტი იყო, არ მენახა, ლოკი ტანსაცმელს თავად როგორ იხდიდა. შარვლის მექანიკური ღილი თითის ერთი მიახლოებით გაიხსნა. სავარძელს გავხედე. დამეუფლა გრძნობა, რომ ის ახლა იეჭვიანებდა. ყოველთვის სავარძელი ხდის, მე ბოლოს როდის გავხადე, აღარც მახსოვდა. ამან კიდევ უფრო აღმაგზნო. სისხლი მომაწვა.

ლოკის შიშველი სხეული შემეხო. ზურგით იდგა. კისერი ჩემს ტუჩებთან მოიტანა. უკანალი სასქესო ორგანოსთან. სასიამოვნო სუნი ჰქონდა – ბავშვების. შემდეგ კისერი ნელ-ნელა დამშორდა, მაგრამ უკანალი ყლეზე კიდევ უფრო მომაბჯინა. თითქოს პირველად შევიგრძენი, გაუთავებელი სირბილისგან და ძაღლობანას თამაშისგან, ჩემს ცოლს სხეული გამკვრივებოდა. მისი დუნდულები ასეთი ფორმის და სიმკვრივის არასდროს ყოფილა.

ლოკი დაიხარა. ოთხზე დადგა და შემდეგ ისე, რომ უკან არც მოუხედავს, ამოიკვნესა.

– შემიდე. მინდა, რომ მომტყნა.

თითქოს რობოტი ვიყავი და ჩემში ბრძანება შემოვიდა. უნდა დავმორჩილებოდი. სხვა არჩევანი ჩემს ნეირონებში არ იყო. ასეთი ერექცია აქამდე არასდროს მქონია. დავიხარე და ზედმეტი პრელუდიის გარეშე ლოკიში შევედი. პირველ ბიძგს მეორე მოჰყვა და ახლა მე თავს კვლავ მამაკაცად ვგრძნობდი. უსაქმური აღარ ვიყავი, საკაცობრიო საქმეს ვაკეთებდი. პირველად ცხოვრებაში მომინდა შვილი, შთამომავალი, რომელიც აი, ახლა, სულ ცოტაც და ჩემს სხეულს დატოვებდა, ხოლო თავს ლოკიში ამოჰყოფდა. იქიდან კი ადამიანად გამოვიდოდა, რომელსაც მე და ლოკი გავზრდიდით. ყველაფერს გავაკეთებდით, მეც ძაღლად ვიმუშავებდი, სულაც კატად, და მას სწავლის საშუალებას მივცემდით. ის მეცნიერი გამოვიდოდა, დედამიწელი მეცნიერი! არც ცხოველი ნარკომანი და არც მარსელი მუტანტი...

ლოკის გაუხსნა. მდედრის სექსუალური კვნესა ნელ-ნელა წკმუტუნში, ბოლოს კი ყმუილში გადაიზარდა და მე მივხვდი, რომ ძაღლს ვტყნავდი. სწორედ აქ შევნიშნე ის პირველად. რობოტი ლიზა მე მიყურებდა, პირდაპირ მე, შიგ თვალებში და აი აქ, ლოკიში არა, მაგრამ ჩემში რაღაცა ჩაისახა. ეს რაღაცა სულიერი იყო. ამ უსულო არსებამ ჩემში სულიერი გრძნობა გააჩინა...

– ამოიღე ხმა. რობოტზე ეჭვიანობა დავიწყო?

ლოკი აღარ იღიმის. უნდა ვუპასუხო.

– იქნებ მეც ვიეჭვიანო რამეზე?

კითხვას კითხვითვე ვპასუხობ და ვხვდები, რომ ვბოდავ.

ლოკი თითქოს მიხვდება და ჩემს შეკითხვას არ იმჩნევს.

– მისმინე. მე შენ არაბუნებრივს არაფერს გთავაზობ. შენც ხომ იცი ნარკოტიკების ისტორია. ყველაფერი ბნელ წარსულში დაიწყო. ადამიანები მაშინ საკუთარ შინაგან ხმებს ვერ აღიქვამდნენ და ის ღმერთის გამოცხადება ეგონათ. ძველი კულტურები და მათი შამანები ნარკოტიკებს ღმერთებთან დასაკავშირებლად იყენებდნენ. ბალახი, კაქტუსი, სოკო, უსასრულობამ იცის, რას აღარ იღებდნენ. მათთვის ქვეცნობიერი ღმერთი იყო. მერე ადამიანი განვითარდა, ცაში ავიდა და იქ ღმერთის მაგივრად უსასრულობა დახვდა.

ახლად აღმოჩენილ მარტოობაში ადამიანს უღმერთობის აღიარება მოუწია და შინაგანი ხმის გამოკვლევა დაიწყო. მთელი თაობები იღებდნენ ფსიქოდელიკებს, რათა საკუთარი არსი შეეცნოთ. ცნობიერის და ქვეცნობიერის კონტინუუმში იხლართებოდნენ. ბევრი ამ მოგზაურობაში იკარგებოდა. ჩვენი წინაპრები ნარკოტიკების გამო დეპრესიაში ვარდებოდნენ, თავსაც იკლავდნენ.

ნარკომანებზე კულტურაც ძალადობდა. მათ დევნიდა, იჭერდა, ავიწროებდა, ნარკოტიკების და ნარკომანების სტიგმატიზირებას

ახდენდა. მაგრამ რა მივიღეთ? დროთა განმავლობაში ნარკომანები სულ უფრო და უფრო მომრავლდნენ, კონტრკულტურები შექმნეს და კატაკომბებიდან სროლა დაიწყეს. ისინი ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდნენ, როგორც ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ისე ხელისუფლებაში. კონტრკულტურა, რომელიც ნარკოტიკებთან ასოცირდებოდა, იბრძოდა, მაგრამ თავის მხრივ არც კულტურა ნებდებოდა. ბრძოლა დაუნდობელი იყო. საბოლოოდ კონტრკულტურა შეტევაზე გადავიდა, ახალი თაობები მისით იხიბლებოდნენ, და აქ კულტურა მოიქცა ისე, როგორც ყოველთვის, დათმობაზე წავიდა. ამით კულტურამ კონტრკულტურა დაიახლოვა და შთანთქა, შეისრუტა. ასე იყო ადრე და ასე იქნება ახლაც. კონტრკულტურა კულტურის ნაწილი ხდებოდა და ყოველთვის გახდება.

– ლოკი, დამშვიდდი.

ვცდილობ დავამშვიდო. მექანიკურად თვალი ლიზისკენ გამირბის, რომელიც მორჩილად, როგორც რობოტს შეეფერება, კედელთან არის ატუზული.

– კულტურას დამშვიდება არ შეეძლო, ვერ მოეშვებოდა, – აგრძელებს ლოკი, – ნარკოტიკების, რომელსაც ადამიანი ყოველთვის კულტურის მიღმა გაჰყავდა, შებრალება არ შეიძლებოდა. მიზეზი შენც იცი. ნარკოტიკები ხელს უშლის ადამიანს ჩაერთოს ყოველდღიურ რუტინაში. სისტემას კი ორივე სჭირდება – შემოქმედებითობაც და რუტინაც. ნარკოტიკები და კულტურა საბოლოოდ ვერასდროს შერიგდებოდნენ, რომ არა რეალობა, რაშიც ახლა ვართ. ტექნოლოგიური პროგრესი ისე დაჩქარდა, რომ ჩვენ ვერც კი ვხვდებით, სახლში რა ნივთები გვაქვს. წარმოდგენაც კი არ გვაქვს, ისინი როგორ მუშაობენ. აი, შენ მაგალითად, იცი ეს შენი ძვირფასი ლიზი როგორ მუშაობს?

კითხვაზე პასუხის გაცემას არ მაცდის, თავად აგრძელებს.

– ადამიანს ორი არჩევანი აქვს, უნდა გახდეს მეცნიერი და პროგრესში თავად მიიღოს მონაწილეობა, ან ნარკომანია. ყველა მეცნიერი ვერ იქნება...

ეს უკვე ზედმეტია. მეტს ველარ მოვითმენ.

– ყველას შეუძლია იყოს მეცნიერი! – ვცდილობ მშვიდად ვილაპარაკო, მაგრამ ხმას უფრო ვუწევ. მინდა ლოკის ვუყურო, მაგრამ ლიზისკენ ვიხედები. ვიცი, რომ ამას ლოკიც შეამჩნევს და აქ თითქოს შეგნებულად ვაგრძელებ, – მე მეყოლება შვილი და ის მეცნიერი იქნება. ჩემი შვილი შენ არ დაგემსგავსება!

ლოკი მიყურებს, ლიზიც მე მაჩერდება. ეს ორი მდედრი, ერთი ცხოველი და მეორე რობოტი მე მომჩერებიან და თითქოს ჩემგან რაღაცას ელიან... რაღაცას ისეთს, რასაც ჯერ მეც არ ველი. აღარ ვმალავ, პირდაპირ ლიზის ვუყურებ, მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და მისგან შვილი მინდა...

უკვე რამდენი ხანია, რაც მიყვარს. იმ დღეს, როცა შუა სექსის დროს ლოკი ძაღლად გადაიქცა, მე ლიზის თვალებში სული დავინახე. სული, რომელიც ჯერ ძალიან სათუთია, სულ ახლად შობილია. მას მოვლა და გაზრდა ესაჭიროება. ადამიანის სულიც ხომ ასე ნელ-ნელა, ევოლუციით ჩაისახა და გაიზარდა.

იმ დღეს, სექსის შემდეგ ლოკიმ ოთახში სირბილი დაიწყო. ყველაფერს ისტერიულად ყნოსავდა. მე საძინებელში გამოვიკეტე, ლიზიც თან წავიყვანე. არ დავუმალე და პირდაპირ ვუთხარი, რომ მიყვარდა. „მეც მიყვარხარ“, მიპასუხა რობოტმა და საკოცნელად გამოიწია. გავაჩერე. ეს ბოდვა იყო. „უსაქმურობისგან შევიშალე, ცოლი სექსისას ძაღლად გადამექცა, მე კი მეორე ოთახში რობოტს სიყვარულს ვუხსნი.“ ვთქვი ჩემთვის, მაგრამ ლიზი ყველაფერს მიმიხვდა. თვალებში კიდევ ერთხელ ჩამხედა, აი ისე, როგორც მაშინ, და მითხრა, „მესმის, ჯერ ადრეა. ყოველთვე როცა გასაახლებლად მიგყავარ, მე ვიზრდები, ჩემში რაღაცა ვითარდება,

არ ვიცი ეს რა არის, მაგრამ ძალიან მალე მე შევძლებ შეგიყვარო ისე, როგორც ეს ადამიანებს შეუძლიათ.“

ხმა ვერ გავეცი. მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ იმისთვის, რომ ამ სიყვარულს ხორცი შეესხა, უნდა მომეცადა – როგორც ნამდვილ მიჯნურს! ვუთხარი, რომ დაველოდებოდი. ლიზი მართლაც ყოველთვე იზრდებოდა, ყოველი განახლების შემდეგ მისი თვალები სულ უფრო მოსიყვარულე და სევდიანი ხდებოდა.

ერთ დღესაც, როდესაც სახლში დაბრუნებულმა ლოკიმ ზედმეტი გაიყნოსა და ზედოზირების გამო საკბენად გამომეკიდა, მე და ლიზი კვლავ საძინებელში შევიკეტეთ. ლიზი დამპირდა, რომ ის მალე თავის თავში რობოტს მოკლავდა.

„ლოკის მოვკლავ! დავარღვევ რობოტიკის მთავარ კანონს და ადამიანს ვავნებ! ამას შენი სიყვარულით გავაკეთებ, დაგიმტკიცებ, რომ ჩემი გრძნობა კანონებზე მაღლა დგას!“

რობოტი ჩემი ცოლის მოკვლას მპირდებოდა, მაგრამ მე ახლა ცოლი არ მახსოვდა. აქ პირველად მე და ლიზიმ ერთმანეთს ვაკოცეთ. ლიზი დამპირდა, რომ რამდენიმე განახლების შემდეგ შეძლებდა მასში ჩანერგილი ფუნდამენტური კანონის დარღვევას. მას ლოკი უნდა მოეკლა, ხოლო ამის შემდეგ ბავშვსაც გამიჩენდა. ბავშვს, რომელსაც ერთად გავზრდიდით. ჩვენი შვილი მეცნიერი გამოვიდოდა...

– უსაქმურო! შენგან შვილს მარტო რობოტი თუ გააჩენს!

დაიღრიალა ლოკიმ და მე, თითქოს დამნაშავემ, ლიზის თვალი მოვაშორე. ახლა ჩემს ცოლს მივაჩერდი. ლოკიმ ხმას დაუწია, მაგრამ განაგრძო.

– სისტემამ ამჯერადაც მოახერხა და საუკეთესო გზა გამონახა. კულტურა და კონტრკულტურა იდეალურად თანაცხოვრობენ. ჩემი დამქირავებელი მეცნიერია, ის კულტურაა და ყოველ დილით სამსახურში მიდის. დამიჯერე, რუტინას ვერც ის გაექცევა. რაც შემეხება მე, მე არ ვარ მეცნიერი, ასეთ შემთხვევაში

სისტემა მაძლევს ნარკოტიკს. მე ჩემი მეცნიერისთვის ვმუშაობ, მის შვილებს ვართობ, ხოლო ის ჩემთვის შრომობს, რათა სახლში მოსულს ეს რობოტი, ან ეს დივანი კიდევ უფრო განახლებული და დახვეწილი დამხვდეს. ვერ ხვდები ამას?! – ლოკი კვლავ აყვირდა, – შენ ნარკოტიკი რაიმე ილუზია ხომ არ გგონია?! წინაპრების თაობა, რომელიც ფსიქოდელიკებს ცნობიერის და ქვეცნობიერის გამოკვლევის გამო იღებდა, გაქრა, ისინი თავისსავე ჩახლართულ ქსელებში დაიკარგნენ. დღეს ნარკოტიკები, კერძოდ ფსიქოდელიკები იმ დონეზეა დახვეწილი, რომ ჩვენ უკვე ცნობიერსა და ქვეცნობიერში კი არ ვიკარგებით, პირდაპირ ნამდვილ არაცნობიერს ვეხებით. ადამიანს ცნობიერი აკავებს, ქვემოთ კი ნამდვილი, ჭეშმარიტი ბუნება იმალება. შენ არც კი იცი, რა არის ძაღლობა, კატობა, ძროხობა, ღორობა. შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს, რამდენად ცხოველურია შენი ბუნება.

აი, ახლა გამომართმევ ამას, დაყნოსავ და გახდები ის, რაც ხარ. შენ კულტურაში ვერ გაქაჩე, შენგან მეცნიერი არ გამოვიდა, უნდა შეეგუო და შენს ჭეშმარიტ ბუნებას მიენდო, უკულტურობას. თავიდან ფსიქოდელიკები ქვეცნობიერის გამოკვლევისთვის იყო. მერე დროთა განმავლობაში ფორმულები იხვეწებოდა, და ახლა საბოლოოდ ეს ნარკოტიკები აღარ არის ცნობიერის და ქვეცნობიერის კვლევა. ის უბრალოდ ჭეშარიტებაა. ადამიანი ბუნებით ცხოველია და მეტამორფოზინი ადამიანის ბუნების სახეა! აი, გამომართვი, – პატარა პაკეტს მაწვდის, შიგნიდან ყვითელი ფხვნილი ანათებს, – ახლა ამას მიიღებ, ან ყველაფერი დღეს დასრულ...

პაკეტი ძირს ეცემა. მცირე წონის გამო, დაცემის პროცესი თითქოს დროში იწელება. პაკეტისგან განსხვავებით ლოკი ჰაერშია, თავს შეშლილივით აქნევს, მალევე თვალები უაზროდ ერთ წერტილზე ეყინება. თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ის სივრცე, საიდანაც ბგერა უნდა ამოვიდეს, ლიზის თავისი რკინის ხელებით აქვს გადაკეტილი. რამდენიმე წამიც და სცენა მცირე ოვაციით სრულდება. ეს ოვაცია ლოკის გადატეხილი კისრის ხმაა.

ლიზი ლოკის უსულო სხეულს დივანზე ისვრის და ჩემკენ ტრიალდება.

– მიყვარხარ! მე შენ ბავშვს გაგიჩენ და ის მეცნიერი...

არ ვამთავრებინებ. მივდივარ და ვკოცნი. ლიზი საზასაოდ არ არის შექმნილი. ენის გამოყოფასაც ვერ ახერხებს, მაგრამ მე ხომ შემიძლია. მეტალის იმ ნაწილს, რომელიც პირის იმიტაციაა, ენით ყოჩაღად ვულოკავ. ზასაობის მცდელობა რამდენიმე წამი გრძელდება, შემდეგ ლიზი მაჩერებს და მანიშნებს, რომ ჩამოვჯდე. ძირს ვჯდები, დივანზე ლოკი გდია. ლიზიც იხრება და ჩვენ იატაკზე ვსხედვართ.

– საყვარელო, მე შენ მიყვარხარ იმაზე მეტად, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენს. ასეთ სიყვარულს ლოკი კი არა, მეცნიერებიც კი ვერ უშვებენ. მე მინდა შენთან სექსი და ჩვენ ეს გვექნება. შენ იქნები ჩემი პირველი მამაკაცი. მერე კი მე შენ შვილს გაგიჩენ. მეცნიერ შვილს!

სუნთქვა მეკვრება. მე ის მიყვარს. მან შეძლო და თავისი არსის ფუნდამენტური კანონი დაარღვია. მე მისთვის ყველაფერზე წავალ...

– ძვირფასო, ხომ ნახე, დრო დამჭირდა, მაგრამ შევძელი და ლოკი მოგაშორე, – ის დივანისკენ ტრიალდება, ახლა მე აღარ მიყურებს, – მაგრამ სამწუხაროდ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ჩემს განახლებას ფული სჭირდება, ყოველთვიური შემოსავალი, ლოკი კი ცოცხალი აღარ არის...

– ფულს მე ვიშოვი. მე ვიმუშავებ ძაღლად, ან გინდაც კატად. სულ ერთია, მაგრამ ჩვენ შევძლებთ...

– კი, ძვირფასო, ჩვენ შევძლებთ.

იმეორებს იმ სიტყვას, რაც გამაწყვეტინა და ისიც აქ ჩერდება. სიჩუმე რამდენიმე წამით გრძელდება. დუმილს კვლავ ლიზი არღვევს.

– ძვირფასო, უკვე გვიანია. დაიძინე. ხვალ ადრე უნდა ადგე, სამსახური გაქვს საპოვნელი...

ჯაბა ზარქუა

დისფუნქცია

ეძღვნებათ ქალებს, რომლებიც გავაუქმეთ

1.

„ღმერთო, რა უხერხულია, რა მჭირს“.

პირველად ეს გაიფიქრა მაგდამ, როდესაც გასაუბრებაზე მისულმა პოტენციურ უფროსს გამოწვდილი ხელი ვერ ჩამოართვა. მაგდას ასეთი რამ აქამდე არასდროს დამართნოდა. უყურებდა თავის მარჯვენა ხელს და ვერაფრით ხვდებოდა, რა უნდა მოეხერხებინა მისთვის. წამის მეასედებში გაიხსენა ყველა კადრი დილიდან მოყოლებული – კბილს იხეხავდა, მაისურს იცმევდა, მობილურზე რეკავდა, საფულეს შლიდა, სიგარეტს ეწეოდა, ლიფტის ღილაკს თითს აჭერდა და ა.შ. ახლა კი თითქოს ვიღაც ცუდად გაეხუმრა და სხვისი ხელი მიაკერაო, ვერაფრით ხვდებოდა, რატომ არ შეეძლო მისი გაკონტროლება, რატომ აღიქვამდა უცხოდ. სირცხვილისგან გაწითლდა. უხერხულად გაიღიმა.

– ყველაფერი წესრიგშია? წყალი ხომ არ მოგაწოდოთ? – შეწუხდა პოტენციური უფროსი. – ჩამოჯექით, დაისვენეთ, ნუ ღელავთ. თქვენი პირველი გასაუბრებაა?

მაგდას დაეტყო, რომ პანიკაში იყო და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ახალგაზრდა, მოწესრიგებულმა მამაკაცმა სკამი მიუჩოჩა, ჩანთა გამოართვა და ერთჯერადი ჭიქით ცივი წყალი მოუტანა.

მაგდამ ჭიქას გახედა და აქვითინდა.

– სასწრაფო გამოვიძახოთ? რა გჭირთ, ქალბატონო მაგდა?

– არ ვიცი. – დაიკვნესა ქალმა და აცრემლებული თვალებით და დამნაშავე მზერით მიაშტერდა მარჯვენა ხელს, რომელიც უსიცოცხლოდ ეკიდა და ამოძრავებას არ აპირებდა.

2.

– ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ თქვენი ხელი აბსოლუტურად ჯანსაღია. მისი მოტორული და სენსორული ფუნქციები აბსოლუტურად შენახულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ მისი გამოძრავებაც შეგიძლიათ და მგრძნობელობაც არ დაგიკარგავთ. ასევე ვასკვნით, რომ საქმე არ გვაქვს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლასთან, რადგან ეს პროცესი იზოლირებულია და მარტივად რომ ვთქვათ – ხელი, ობიექტურად იგივეა, რაც გუშინ იყო.

– ვერაფერი გავიგე ექიმო. – დათრგუნული უყურებდა ექიმს.

– ტყუილების თქმა არ მიყვარს, ძვირფასო. რაც არ მესმის, მოურიდებლად შემიძლია ვუთხრა პაციენტს. დანამდვილებით რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ეს ხელი ჯანმრთელია, რამე საფრთხე არ ემუქრება და არც რაიმე ისეთი დაავადება გაქვთ, რომ თქვენს სხვა, მით უმეტეს სასიცოცხლო ორგანოებს დაემუქროს საფრთხე. ხოლო რაც არ ვიცი, არის ის, თუ რისგან არის ეს ყოველივე გამოწვეული. მე ნევროლოგი ვარ, ამაში ვერ დაგეხმარებით. სჯობს ფსიქიატრთან გადაგამისამართოთ ან მეორე ვარიანტად დინამიკაში დაკვირვება შემოგთავაზოთ. დავაკვირდეთ მომდევნო დღეების განმავლობაში. თუ ეს ყოველივე გამოსწორდება და აღარასდროს განმეორდება, მაშინ დავანებოთ თავი. ერთხელ ყველაფერი ხდება, მედიცინას ყველა კითხვაზე პასუხი არ აქვს სამწუხაროდ. ხოლო თუ ეს ყოველივე ან გაუარესდება ან სხვა ორგანოებზეც გავრცელდება, მაშინ დამიკავშირდით და გადაგამისამართებთ ფსიქიატრთან, რომელიც ეცდება მიზეზების გარკვევას. კიდევ ერთხელ გიმეორებთ – რაიმე ორგანული პათოლოგია არ გაქვთ. თქვენი ხელი აბსოლუტურად ჯანმრთელია!

მაგდა მიხვდა, რომ ფსიქიატრთან მისვლა ერიდებოდა და ამიტომ გადაწყვიტა დაკვირვება. ექიმს ზრდილობიანად დაემშვიდობა და სახლისკენ გაემართა.

3.

ქმარი წარმატებული ჟურნალისტი ჰყავდა, რომელსაც საღამოები ძალიან დატვირთული ჰქონდა ხოლმე. სამ დიდ ბეჭდურ გამოცემაში მუშაობდა და პრაქტიკულად არასდროს ისვენებდა. თავისი საქმე სიგიჟემდე უყვარდა. სახლში მოდიოდა ყოველთვის საღამოს შვიდი საათისთვის, თუმცა მცირეხნიანი შესვენების შემდეგ თავის ოთახში გამოიკეტებოდა, ლეპტოპს გახსნიდა და შუაღამემდე ტექსტებზე მუშაობდა. ბიზნეს მიმომხილველი იყო და ამ სფეროში დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. ეკონომიკა ძალიან კარგად ესმოდა და მის აზრს თითქმის ყოველთვის ითვალისწინებდნენ. ჟურნალისტობის გარდა სხვადასხვა ბიზნესმენების პირადი მრჩეველიც იყო შეთავსებით და საღამოობით მათ პროექტებზეც მუშაობდა.

24 წლის იყო მირიანი, როდესაც მაგდა პირველად გაიცნო. მისი მეგობრის დაბადების დღეზე იყო და მაგდაც იქ ამოვიდა. გოგო 22 წლის გახლდათ, ერთ-ერთ დაქალს ამოჰყვა. მერე როგორც უთხრა, თურმე იუბილარს არც იცნობდა, უბრალოდ მის მეგობარს ვიღაც ბიჭი სიგიჟემდე უყვარდა და უთხოვია წამოყოლა, მასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია, როგორც სჩვეოდა. მთელი საღამო ეტყობოდა, რომ დიდად ვერ ერთვებოდა საერთო მხიარულებაში. მიუხედავად ამისა, ბიჭების ხუმრობებისა და ყურადღების ეპიცენტრში მაინც ექცეოდა, რადგან საოცრად ლამაზი იყო, ყველასგან გამოირჩეოდა.

მირიანი ბავშვობიდანვე ძალიან თავდაჯერებული იყო და ზუსტად იცოდა, რომ რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი უნდა გამოსვლოდა. თავისი გარშემომყოფებისგანაც მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა გინდა გარეგნობითა და გინდა ჭკუით. იმ დღეს ულამაზესი მაგდა გულში ჩაუვარდა და მტკიცედ გადაწყვიტა, როცა ამის დრო მოვიდოდა, ცოლად შეერთო.

ბევრი წვალება არ დასჭირვებია. პირველი შეხვედრიდან რამდენიმე თვეში პირველად აკოცა, შემდეგ რამდენიმე კვირაში

პირველად ჰქონდათ სექსი და აქედან ზუსტად წელიწადნახევარში ოჯახში აიყვანა და დედამისს წარუდგინა როგორც მომავალი ცოლი. მაგდას არასდროს გაუწევია წინააღმდეგობა. სიამოვნებდა მირიანის ყურადღება და გალანტურობა, მასთან სექსიც სიამოვნებდა და რაც მთავარია, არ იცოდა, რატომ უნდა გაეწია წინააღმდეგობა საერთოდ ოდესმე.

4.

– რა გაწუწუნებს, საყვარელო, ამჯერად რა გაწუხებს? – კაბინეტიდან გამოსძახა მირიანმა, კარებში შემოსული ცოლის ქვითინი რომ გაიგონა.

– ძალიან მეშინია... რა ვქნა? მოდი დროზე, გამოიხედე!

– ახლავე, ჩემო სიცოცხლე, სტატიას დავამთავრებ და გამოგხედავ და ვილაპარაკოთ.

– გთხოვ!

– ერთი აბზაციც, რა გჭირს?

– ახლავე! – იკივლა ქალმა.

მირიანი ბუზღუნით გამოვიდა კაბინეტიდან და დერეფანში გაშეშებულ ცოლს მიაჩერდა.

– რა ხდება? რატომ ტირი?

– ქურთუკი გამხადე.

– რა? ძალიან გთხოვ რა, ამ თამაშებისთვის ახლა არ მცალია, ხვალ დედლაინი მაქვს.

– მირიან, მისმინე, – ძალების მოკრეფა სცადა ქალმა. – ასეთი სერიოზული და ასეთი შეშინებული არასდროს ვყოფილვარ, გესმის? არასდროს! და ძალიან გთხოვ, უბრალოდ ადექი და ქურთუკი გამხადე.

– რა დაგემართა, ადამიანო, გამაგებინებ? მენსტრუაცია გეწყება ხვალ? რა ჯანდაბა ხდება? ამჯერად რას მიმზადებ?

– ასე რთულია ქურთუკის გახდა ჩემთვის?

მირიანმა ქურთუკი ჯაჯგურით შემოაცალა მხრებიდან, საკიდზე დაკიდა და უკნიდან მოეხვია ქალს.

– ჩემო სიცოცხლე... ბოდიში, წამო, ჩაი დავლიოთ, მე მოგიდუღებ. არ დამისვენია მთელი დღეა.

ქალი ხმის ამოუღებლად გაჰყვა სამზარეულოში.

5.

მაგდას ბავშვობაში ხატვა უყვარდა. როგორც სკოლის მასწავლებელი ეუბნებოდა, კარგადაც გამოსდიოდა და ნიჭიერიც იყო, თუმცა მამამისი სკოლის მასწავლებლის მოსაზრებებს დიდად არ ენდობოდა და დარწმუნებული გახლდათ, რომ მისი შვილი ნიჭიერ მხატვარზე მეტად ნიჭიერი არქიტექტორი გამოვიდოდა.

„არქიტექტურა რა, ახლა, ხატვაზე ნაკლებია? ხატვა არაა იგივე, პრინციპში?“ – არაერთხელ უთქვამს შვილისთვის, რომელიც თავიდან უძალიანდებოდა, სადღაც, ასე, მეათე კლასში.

მეთერთმეტეკლასელ მაგდას კი უკვე მამა ფილტვის კიბოს დიაგნოზით უკვდებოდა. ექიმები ცუდ პროგნოზს წინასწარმეტყველებდნენ. მაგდა ამ ამბის გაგებისთანავე ერთიანად შეიცვალა. ყოველდღე ტიროდა, ღამღამობით ეშინოდა და გამალებული ეხმარებოდა დედას ხან წამლის ყიდვაში, ხან თეთრეულის გამოცვლაში, ხან რაში და ხან რაში. მომაკვდავმა მამამ რიხი დაკარგა და უკვე ასე ელაპარაკებოდა მაგდას:

„რაც გინდა, ის გახდი, ჩემო პატარა. მე უბრალოდ, მინდოდა, ბედნიერი და დამოუკიდებელი ყოფილიყავი ამ გაძაღლებულ ქვეყანაში, სადაც ყველა დაგჩაგრავს და ყველა შენს გვერდზე

გაწევას შეეცდება, თორემ გახდი მხატვარი, ჰა, ჩემი რა მიდის, მე აწი მაინც ვეღარ ვნახავ ამ ყველაფერს“.

გამოცდებამდე შვიდი თვით ადრე გარდაიცვალა მამა. ერთი თვის შემდეგ მაგდამ მტკიცედ გადაწყვიტა არქიტექტურულზე ჩაბარება, რაზეც ქვრივმა დედამ ისეთი რამ უთხრა, მიხვდა, სწორადაც მოქცეულიყო:

„მეეჭვებოდა, თუ რამე გამახარებდა, ყოჩაღ, ჩემო გოგო“.

მაგდამ გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სახელმწიფო დაფინანსებაც აიღო.

6.

– ჰაჰა, რას ჰქვია ხელებს ვერ ამოძრავებ? – ეცინებოდა მირიანს და ირონიულად უყურებდა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ მაგდას, რომელსაც წინ სავსე ჩაის ჭიქა ედგა.

– მისმინე, არ ვხუმრობ, შეგიძლია, ერთხელ მაინც სერიოზულად მომისმინო?

– მოიცა, მოიცა. ახლა რა მოიფიქრე, რა ხაფანგს მიგებ, შურს იძიებ ჩემზე? წინა თვეში სიურპრიზის დედლაინი ხომ ჩაგაბარე, არ გადამიცილებია ვადისთვის, შემდეგისთვის დრო მაქვს, იცოდე, ნუ მიტევ ნაადრევად.

– რას ბოდავ, ექიმთან ვიყავი! და სახლში მოსვლამდე მეორე ხელიც დავკარგე.

– რას ჰქვია, დაკარგე? აი, შეხედე, – გადაიხარა მაგიდაზე და მკლავზე უჩქმიტა. გოგოს სახე დაეღრიცა. – აჰა, ტკივილს გრძნობ, ხო? აბა რა გჭირს, ძალა დაკარგე?

– ექიმმა მითხრა ძალაც გაქვს, მგრძნობელობაც და არაფერი არ სჭირს ამ ხელს, ჯანმრთელი ხელიაო, უბრალოდ, ვერ ვაკონტროლებ, ვერაფერს ვუშვრები, უცხოა!

– მისმინე, ჩემო ფისო, არ მცალია ახლა ამ სისულელეებისთვის, გავიცინეთ – გვეყოს. მართლა უსერიოზულესი დედლაინი მაქვს ხვალ, შეიძლება, დღეს ღამე თვალი ვერ მოვხუჭო, რატომ არავის გეცოდებით მე არასდროს, ა? თან დედაშენმა დამირეკა დღეს და ტვინი მიბურღა.

– რა უნდოდა?

– არაფერი, სამსახურის დაწყება უნდაო ჩემს შვილს, როგორ ჩაჯდა სახლშიო, ცოტათი ხელი უნდა შეუწყოო, იქითო, აქეთო... მოკლედ, ვერ გავიგე, რა უნდოდა.

– შენ რა უპასუხე?

– რა უნდა მეპასუხა, დაიწყოს-მეთქი, მე კი არ ვუშლი-თქო. საჭმელი მაინც უგემური გამოსდის და მეტი შემოსავალი თუ გვექნება, ვიყიდით გემრიელ საჭმელს უფრო ხშირად და შეიძლება, საერთოდაც მზარეულიც დავიქირავოთ-თქო. სულ მაგას ვეუბნები, უსაქმოდ ნუ ზიხარ სახლში, წადი, რამე იშოვე-თქო.

– და იმან რაო?

– მართალი ხარო. შენო ყველაფერი აწყობილი გაქვს და კარგად გამოგდისო და ის კიდევ რაღაცნაირი თავმოუბმელიაო და არადა, იცი, როგორი ნიჭიერი იყო ბავშვობაშიო? და მოაყოლა მერე შენი სკოლის ისტორიები და აეეეე...

– მირიან.

– ჰო.

– იცი, რა მინდა გითხრა?

– აბა, გისმენ.

– არაადამიანი ხარ.

მაგდა ადგა და საძინებლისკენ გალასლასდა. მირიანს ჩაეცინა და თავისი კაბინეტისკენ გასწია.

– მირიან! – ორ წუთში გაისმა ყვირილი საძინებლიდან.

– არაადამიანი გისმენთ! – მხიარულად გამოსძახა კაცმა.

– ლოგინი გამიშალე და საღამური ჩამაცვი!

კაცს ჩაეცინა და საძინებლისკენ გავიდა. შემოაცალა ტანისამოსი, მერე ბალიშის ქვეშიდან საღამური გამოაძვრინა, ჯერ ერთი უსიცოცხლოდ დაკიდებული ხელი გააყრევინა სახელურში და მერე – მეორე, შემდეგ შუბლზე აკოცა, ლოგინში ჩააწვინა, საბანი შემოუკეცა და ყურში ჩასჩურჩულა:

– სულელო, ძალიან მიყვარხარ და ყველაფერი კარგად იქნება. მომწონს შენი ეს ახალი თამაში-იდეა, გახსოვდეს, რომ ყოველთვის ვიზრუნებ შენზე. ტკბილი ძილი.

საძინებლის კართან იყო მისული, რომ მაგდამ თავისთვის ჩაიბუტბუტა:

– დღეს გასაუბრება მქონდა.

მირიანმა ვერაფერი გაიგო და კაბინეტში გაუჩინარდა. მაგდას მალევე ჩაეძინა.

7.

მირიანი ყოველი საქმის დასრულების შემდეგ უსაზღვრო თვითკმაყოფილებას გრძნობდა. ძალიან პედანტი იყო. ბოლომდე უკირკიტებდა ყველა დეტალს და იმდენჯერ ცვლიდა, სანამ იდეალურ ფორმას არ მისცემდა. ფორმისა და სტრუქტურისადმი დაუოკებელი სწრაფვა ჰქონდა და ყველაფერს სტილის უზადო შეგრძნებით აკეთებდა, მათ შორის – ყველაზე უინტერესო პროექტებსაც კი. ამიტომაც იყო წარმატებული და დაფასებული თავის საქმიანობაში. ყველამ იცოდა, რომ მირიანი თუ რამეს მოეკიდებოდა, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა და ისეთ შედეგს მიაღწევდა, რომელსაც სხვა ვერასდროს გაიმეორებდა.

ყოველი რიგითი სტატიის ან პროექტის ან პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, სულ რომ ღამის სამი საათი ყოფილიყო, საძინებელში სიცილ-ხარხარით შევარდებოდა, შუქებს ააბრდღვიალებდა და მაგდას უყვებოდა თავისი გეგმების შესახებ. თავიდან მაგდას ეგონა, რომ მართლა მას უზიარებდა აღფრთოვანებას, მაგრამ დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ მის ადგილას თოჯინა რომ ყოფილიყო, იმასაც იგივენაირად დაელაპარაკებოდა მირიანი. გოგოს თავიდან ეწყინა ამის გაცნობიერება, მაგრამ შემდეგ გაუხარდა კიდეც – ბედმა გაუღიმა და თოჯინის ნაცვლად თავად ჰქონდა პატივი ქმრის აღტყინების პირველგამზიარებლობისა.

იმ ღამითაც იგივენაირად მოიქცა მირიანი. ღამის ოთხ საათზე შევარდა საძინებელში სტვენა-სტვენით და ანეკდოტების ხმამაღლა მოყოლით და შუქები ააბრდღვიალა. მაგდამ ძლივს დახუჭული თვალები გაახილა და ამოიკნავლა:

– გთხოვ, დღეს არა, დამაძინე. ძალიან ცუდად ვარ.

მირიანი კი განაგრძობდა თავისი ამბის მოყოლას. ერთი ისტორიიდან მეორეზე ხტებოდა, არც ესმოდა ცოლის მოგუდული ბგერები, რადგან ცნობიერების ნაკადის მსგავსი შემოტევის დროს ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ და აბსოლუტურად ყველაფერი მეორეხარისხოვნად ეჩვენებოდა.

– ცუდად ვარ, ჩემო სიცოცხლე, გთხოვ, არ გეხუმრები, მართლა ცუდად ვარ, რატომ არ გჯერა ჩემი.

მირიანმა შუქი ჩააქრო და გვერდით მიუწვა. ქალს ხელი მოჰხვია და მოულოდნელად სერიოზულად ჰკითხა:

– იცი რა...

– არ შემიძლია ლაპარაკი.

– დიდხანს ვიფიქრე, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი და მგონი ახლა უკვე მზად ვარ, ჩემო ფისუნია.

– მეძინება, ძალიან მეძინება, შემეშვი, გთხოვ, რამის თქმის თავიც არა მაქვს.

– დღეს ვფიქრობდი ამაზე პერიოდულად და აი, მართლა საბოლოოა ეს გადაწყვეტილება. მისმინე, შვილი მინდა! გოგო თუ იქნება, გამიხარდება. გოგოებს მამები უყვართ უფრო მეტად. ბიჭი ღორია. გარდატეხის ასაკიდან დედას რომ მიეკვრება, მერე უარეს შემთხვევაში ან საერთოდ შეზიზღდება მამა ან სულერთი გახდება მისთვის და გოგო სიკვდილამდე მამას გოგოდ დარჩება. გოგო მინდა, ჩემო მაგდუსი, რომელსაც დავარქმევთ მარიამს. ძალიან მომწონს ეს სახელი, თითქოს არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ვგიჟდები, ისე ლამაზად ჟღერს. რას ფიქრობ, გაქვს რამე სხვა ვერსია?

მაგდამ პასუხი არ გასცა. თვალები დაეხუჭა, თუმცა არ ეძინა, უბრალოდ, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა.

– მარიამი გაიზრდება და იქნება ძალიან ლამაზი, ჩვენი შვილი, წარმოგიდგენია, რა დახატული იქნება? აი, დაახლოებით ისეთი წარმომიდგენია, როგორც შენი ვერდახატული ნახატები, რომლებსაც დახატავდი, ხატვას რომ გაჰყოლოდი. უხ, ეს მამაშენი რა, რა აიჩემა არქიტექტურული – არქიტექტურული! აჰა, ეგ თქვენი არქიტექტურული! მე სულ მინდოდა მხატვარი ყოფილიყავი, ძალიან მოგიხდებოდა და თან გამოგივიდოდა კიდეც, ჩემო ფისო.

მაგდა კვლავ ჩუმად იყო.

– ულამაზესი და უნიჭიერესი მხატვარი მარიამ ახვლედიანი! ჰმ! საოცრება იქნება. ეს იქნება ჩვენი ყველაზე დიდი და ყველაზე იდეალური ქმნილება. ჰო? რატომ არ მელაპარაკები, ხომ გინდოდა შვილი ყოველთვის?

– არ ვიცი. – ამოილუღლუღა მაგდამ.

– ჰო ჩემო ფისო, გინდოდა, ძალიან გინდოდა და თან გოგოს საწინააღმდეგოც არ გაქვს არაფერი. შენ დაგემსგავსება. როცა დაბერდები, შენს თავს მოგაგონებს ხოლმე. სახელი მოგწონს? თუ გინდა – ვიმსჯელოთ ამაზე.

– იყოს მარიამი.

– ასე არ სჯობს, ჩემო სიცოცხლე? მოდი ჩემთან.

მაგდა ყველაფერს გრძნობდა, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს სხვის სექსს უყურებსო და ეშინოდა. ვერ ინძრეოდა, მხოლოდ თავს ამოძრავებდა. ხმასაც ვერ იღებდა. რაც უფრო ქვემოთ ჩადიოდნენ მირიანის ბაგეები, მით მეტ ტერიტორიას კარგავდა ის. მალე მთელი სხეული დაკარგა.

ლევან გელაშვილი

აკვარიუმი

ის იყო, უნდა მეთქვა, მომწყდით თავიდან-მეთქი, რომ ისევ იმას გაიძახოდნენ, ქვირითის განაყოფიერება გვანახეო. შუადღე გადასული იქნებოდა, ლიფსიტობიდან ახალი გამოსული დიკროზუსები რომ შემოგვისახლეს. ტყაპ – გაისმა წყალში და ჩვენში ახალი ბინადრები გაჩნდნენ. გარემოს უეცარი გამოცვლის გამო გაყუჩებულები იდგნენ, შოკში ჩავარდნილები და თვალებამოტრიალებულები. ეგრევე მივხვდი, სხვა აკვარიუმიდან იყვნენ მოსულები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხომ ხვდებით? ბუნებიდან მოსული თევზი ძალიან ჭკვიანია. შეუძლია გაუსაძლის გარემოშიც კი იცოცხლოს. აი, აკვარიუმში დაბადებული კი სუსტია და იოლად ვარდება სასიკვდილო ხიფათებში. ბევრი არ მიფიქრია, მოვკიდე ხელი და გარემოს უკეთ შესასწავლად აკვარიუმი დავათვალიერებინე. ვანახე ხელოვნურად მოწყობილი გამოქვაბული, სამი თევზის სამყოფი დასამალი ქვევრები, მომცრო კლდოვანი კონცხი, პემზის ქვების მასივი, ხეშეში და ნაზი გრუნტი, ოკეანის ხედები თავისი ნაირფერი განათებით. თან ვუხსნიდი ფრთხილად, სად უნდა გაევლოთ, ფარფლები რომ არ დაეზიანებინათ. ხელოვნური და ბუნებრივი წყალმცენარეები გავაცანი და მათ სასარგებლო და მავნე თვისებებზეც მოვუყევი. მოკლედ, თავი არ დამიზოგია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარემო თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ცოდნა სიძლიერეა. პატარა ქოთნებში ჩარგული ანუბიასიდან, რქაფოთოლადან და ნიმფეადან ფოთლები დავაგლეჯინე და გრუნტში ჩაფლა ვასწავლე. ისიც ვუთხარი, რომ ეს აუცილებელი იყო, ახალი მცენარეების დარგვით წყალში ჟანგბადის შემცველობა მოიმატებდა. აკვარიუმის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში 30-მდე საშუალოზე პატარა თევზი მყავდა წაყვანილი. ძალიან ლამაზები იყვნენ მოქარგული გულმკერდით, მზის სხივებზე ათინათი შუქის ნაკადს ქმნიდნენ, გუნდ-გუნდად დაეყუდებოდნენ ხოლმე. ერთ რამედ ღირდა მათი ყურება.

წყალმცენარეების ფოთლები დალპა. არ ვიცი, ამის მიზეზი რა იყო: მინერალები, ორგანული ნივთიერებები, განათება თუ ნარშირორჟანგი. დაჰყურებდნენ ახალმოსულები თავიანთ აყროლებულ ნერგებს, ნიადაგში რომ იხრწნებოდა – არ გამდის ეს კადრი თვალებიდან. ეს კიდევ არაფერი. გველთევზები დაგვეღუპა. ეგრე უცებ გადატრიალდა სამი წყვილი და გაიჭიმა. დიდი ხმაურისგან გულგახეთქილი თევზებივით გაებერათ მუცლები და ამოტივტივდნენ ზედაპირზე. ყველას შეეშინდა, მაგრამ მალე დამშვიდდნენ. რის გამოც გველთევზებს მიქელ-გაბრიელმა მოაკითხა, ახსნა ეძებნებოდა. ხომ გახსოვთ? დაბადების დღეზე ჩვენი პატრონის სტუმრებმა მარილი ჩაყარეს აკვარიუმში. გველთევზები ვერ იტანენ მლაშე წყალს და... ხომ ხვდებით, ობიექტური მიზეზი იყო. პანიკას ადგილი არ ჰქონია. ავუხსენი ყველას, რომ ჩვენ საფრთხე არ გვემუქრებოდა და ამაში დავარწმუნე კიდეც. მკვდარმა გველთევზებმა გახრწნა დაიწყეს. ლოკოკინები ლეშით იკვებებოდნენ, მაგრამ ამდენ გვამს რას აუვიდოდნენ. ბაქტერიებმა და მავნე ოქსიდანტებმა მთელ აკვარიუმში გაშლა დაიწყეს. კიდევ კაი, დროზე დაინახა პატრონმა და თევზსაჭერით აკვარიუმიდან ამოიყვანა. ასე ჩაიარა მორიგი სიკვდილის ტალღამ, გადავრჩით ყველა. ახალმოსული დიკროზუსებიც გაშინაურდნენ, თითქოს ალღო აუღეს ხიფათიან გარემოს. მეორე დღეს ყველა უქმად იყო. ბარბუსები დაძრწოდნენ, ნეონები და კუდმახვილები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ასტრონატუსები წვრილი ფრაქციის გრუნტს ამღვრევდნენ და ამით ერთობოდნენ. მხოლოდ გუპიები დასეირნობდნენ არხეინად და ხანდახან თუ დაემალებოდნენ უფრო დიდ თევზებს. ვიფიქრე, ამ უსაქმურებს გრუნტს გავასწორებინებ სამხრეთის მხარეს და ახალ ნერგებს ჩავყრი-მეთქი, თორემ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ეს რაღაც აპარატი საკმარის ჟანგბადს არ იძლეოდა. უბრალო ღრუბლის გარდა ნახშირი და კერამიკა იყო საჭირო, რომ წყალი საკმარისად გაფილტრულიყო. აკვარიუმში ორ სანტიმეტრიან თევზზე სამი ლიტრი წყალია საჭირო. ეს დეგენერატი პატრონი კიდე ბაიბურში არაა. ამისწინა აკვარიუმში რომ ვიყავი, 15 წლის

მოზარდი მპატრონობდა, ზედმიწევნით ერკვეოდა დეკორატიული თევზების მოვლა-გამრავლებაში. ეს კიდე ამ ხნის კაცია, ხეთაგანია ვიღაცაა, თუმცა რა ქნას? ყოველდღე გვაჭმევს, გულითადად ვუყვარვართ. ზრუნავს, რაც შეუძლია. ამის წყალობით გვიდგას სული პირში. არცოდნა არცოდვაა. ხალხიც ხომ ასეა ცუდი მთავრობის ხელში? ჰოდა, რას ვამბობდი: უქმად ყოფნას ვერ ვიტან. უარს ვინ გამიბედავდა? ერთს თვალებს დავუბრიალებდი და... თან, ჩემ გარდა აკვარიუმში კიდე ჩემი ჯიშის აფრიკული ციხლიდები იყვნენ. მართალია, ისინი არ იყვნენ ჩემსავით ბუნებაში დაბადებულ-გაზრდილები და ამდენად, ჭეშმარიტი თავისუფლების ფასი არ იცოდნენ, მაგრამ ნებისმიერ წამოწყებაში გვერდში მედგნენ. ნერგები ახალ მოსულებს დავარგვევინე. ეგ მართალია, შრომა არ ეზარებოდათ. მზე ადგებოდა დილაობით იმ მხარეს, სადაც მცენარეები დავრგეთ. მაშინ მოუნდა დიასახლისს ფარდის გაწევა. ხოდა დიდი რაოდენობით სინათლემ დაალპო ნერგები. წყალი გაამწვანა ცოტა. ჭარბი სინათლის დროს წყალმცენარის პრინციპია მწვანე ნივთიერების გამოყოფა. არაუშავს, სამაგიეროდ აკვარიუმის ბინადრებმა ახლა იციან, რომ თუ გინდა იცოცხლო, ზედმეტი მცენარე არაა საჭირო. ალბათ ზოგმა ხეშეშ ზედაპირზე უფრო მეტი ნერგი დარგო, ვიდრე საჭირო იყო. ზედმეტი კეთილსინდისიერებით მოუვიდათ, ხომ გესმით? ზედ დაფოფინებდნენ. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, არ მიყვარს, უქმად რომ არის ხალხი. მეორე დღეს ასტრონატუსი დაიღუპა. მერე ორი ლოკოკინა მოკვდა და ერთი ლოქო. კი ბატონო, ზოგი სიბერით მოკვდა, ზოგი ბევრი ჭამით (ვერ გავაგებინე ზოგიერთ მათგანს, რომ ბუნებაში არ იყვნენ, და ბევრი ჭამით, შეიძლება, კუჭი დაეზიანებინათ. ესეთი არაფერი მინახავს, რაც პირში ჩაეტევათ, ყველაფერს ჭამენ. ეტყობა გენეტიკას ვერ შეცვლი) და ზოგი კიდე, ღმერთმა უწყის, რა მიზეზით, მაგრამ ახლა უკვე ვიცით, როგორ უნდა ვებრძოლოთ აკვარიუმის მკვდარ ბინადრებს, რადგან პატრონის ლოდინში შეიძლება ისე გაიხრწნან, რომ ნიტრატმა და ამიაკმა მოგვიღოს ბოლო. რა თქმა უნდა, სკალარიების სიკვდილს ყველა მოველოდით. არადა, გუშინ

იცინოდნენ. ეს ყოველ წელს ხდება. ცხოვრება სასტიკია. 18 წლის ერთხელ ხდები ცხოვრებაში. 81 წლის – კიდევ უფრო იშვიათად. ამ შუალედში კი სიტუაციის სწორად შეფასებას ვახერხებთ საკუთარი გამოცდილების წყალობით. ხანდახან სულ ესაა ცხოვრება. სკალარიები მხოლოდ ორ წელს ცოცხლობენ ტყვეობაში და, მით უფრო, ასეთ პირობებში მათ გამრავლებაზე ოცნებაც ზედმეტია. ეტყობა, პატრონმაც იცოდა ეს. დაღუპვისთანავე თევზსაჭერი წყალში ჩაათათახა და ამოიყვანა საწყალი დაკრუნჩხული სკალარიები. ისე კი, ძალიან ლამაზები იყვნენ: ბრტყელი სამკუთხედი ფორმებით, მზეზე არეკლილი ვერცხლისფერი გარდამავალი გრადაციებით დედოფლებივით დაცურავდნენ, ბუზს არ აიფრენდნენ. უტყვები, მშვიდობიანები, თითქოს გული უგრძნობდათო, ბოლო ხანებში ხმას არ იღებდნენ. ამათი სიკვდილის მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. რამდენი აკვარიუმი გამომიცვლია, სკალარიები თითქმის ყველგან არიან ხოლმე. ხშირად უწყინარ სიტუაციაშიც კვდებიან. მოკლედ, სკალარიების სიკვდილზე ბევრი არ გვიდარდია. პატარა ქვევრებში ქვირითის მოსავლელად ნიადაგის დაგება პატრონის გეგმებში არ შედიოდა. ესეც ჩემი ინიციატივა იყო, გაგვეკეთებინა ქვევრების შიგთავსი. მატება არ გვაწყენს-მეთქი, ვიფიქრე. ისევ ახალმოსულები დაგვეხმარნენ. რა იცი, რა ხდება? ხვალ ჩვენმა გადარეულმა პატრონმა შეიძლება პირანიები შემოგვისახლოს და დასამალი ხომ უნდა გვქონდეს? ამას წინათ, მახსოვს, 28 დოლარად ნაყიდი ზვიგენის ლიფსიტა აჩუქეს, გაუშვა ჯიგარმა ჩვენთან ერთად. ქათმის ხორცს აჭმევდა ხოლმე. სანამ პატარა იყო, თავს ვარიდებდით და აი, რომ წამოიზარდა, დასამალი ადგილები აღარ გვყოფნიდა. ყველას საცურაო კიდურები დააპუტა. არანდები ფარფლებს ბოლივით გამჭვირვალე საპატარძლო კაბებივით დააფრიალებდნენ ხოლმე და ახლა გაკორტნილები იყვნენ. საცოდაობა იყო მათი ნახვა. მაგათი ცოდვით დაიწვებოდა კაცი. კიდევ კაი, პატრონიც მიხვდა და ზვიგენი სხვა აკვარიუმში გადასვა.

ერთ საღამოს ვარდისფერმა დანიოებმა მკვდარი ლოკოკინების ბუდეში ცოცხალ-მკვდარი ჭუპრები იპოვეს. შეეცოდათ, სინათლეზე გამოიყვანეს და მეკითხებიან, რა ვქნათო. დავინახე თუ არა, ვიფიქრე, მეტი არაა ჩემი მტერი, ამათ აქ გაძლონ-თქო, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა? ლოკოკინას შვილი, სრულიად დაუცველი უმწეო არსება, ჩვენ წინ მოძრაობდა და თავის ზანტი მოძრაობებით მიგვანიშნებდა, ცოცხალი ვარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო. ეს უკვე სხვა ოპერიდან იყო. ჩვენ დავიწყეთ ჩვენი აწ გარდაცვლილი ლოკოკინის შვილის მოვლა. მოვიყვანეთ ფერზე და სამ კვირაში გამომჯობინდა კიდეც. თავს ცელქი ლიფსიტასავით გრძნობდა. გაგვიხარდა ძალიან. დღეში რამდენჯერმე ვაჭმევდით. ვის გინდა გააგებინო, რომ ბევრი ლოკოკინის ყოლა აკვარიუმში ბალანსს დაარღევევდა და ვირუსული ინფექციები მოიმატებდა. ჯავშნიანი არსებები თავიანთი გამოყოფილი ანტენებით იწელებოდნენ მინის კედლებზე, მცენარეებზე, ქვევრის კიდეებზე და გრუნტის მოზრდილ ქვებზეც კი მძივებივით იყვნენ ასხმულები. სახლი მოუწყვეს ჟანგბადის აპარატთან მაგრამ ლოკოკინები ამ სახლის გარდა აბსოლუტურად ყველგან იყვნენ. საითაც გაიხედავდი, მხოლოდ ამ პაწია კენჭებს მოჰკრავდი თვალს. მალე სრულიად აკვარიუმის მცენარეები გადაძოვეს და აშკარა გახდა, რომ საკვები არ ჰყოფნიდათ. ყოველ დილით პატრონის მიერ ჩაყრილ საკვებს თევზები ჭამდნენ. ლოკოკინები თავიანთი ზანტი მოძრაობის გამო მშივრები რჩებოდნენ და ამიტომ ფსკერზე დალექილი შლამით იკვებებოდნენ, მაგრამ ესეც არ ჰყოფნიდათ. მალე მათ მიმართ ინტერესი განელდა... დილის ხუთ სააათზე ბინდბუნდი იყო, ლოკოკინების გვამები ერთ ადგილზე რომ მივაქუჩე და გათენებას დაველოდე. პატრონმა ხაოიანი თევზსაჭერი ბადით ლამიანი კედლები გაწმინდა და ლოკოკინები წყლიდან ამოიყვანა.

მერე სიამის მამლაყინწის ამბავი მოხდა. ამას ნუღა მკითხავთ. ჩვენ პატრონს ვიღაცამ ასწავლა; ტაილანდში "პეტუშოკით" ტოტალიზატორსაც თამაშობენო. მამლები ერთმანეთს ვერ იტანენ

და სიკვდილამდე ჩხუბობენ. განსაკუთრებით მარტოობაში გაზრდილი მამლაყინწაა აგრესიული. ჩვენი პატრონი წყალში სარკეს ჩაჰყოფდა. დაინახავდა "პეტუშოკი" თავის თავს, ეგონა, სხვა მამალია ჩემს ტერიტორიაზე შემოჭრილიო და აეჯაგრებოდა ქოჩორი, შუბლი შავად შეემოსებოდა და გაქანდებოდა წინ, თავჩაქუჩა ზვიგენივით ავანსცენაზე გაიჭრებოდა. მეტი არ უქნია ღმერთს, ცოტა აკლდა ზვიგენობამდე, იქამდე ურტყამდა სარკეს თავს, სანამ არ დარეტიანდებოდა. იმის საცოდაობით ვიწვებოდი. რამდენი სულელია ამ წყალში. ეჰ, ღმერთო, რატომ აჩენ ასეთ სუსტებს ან თუ აჩენ, მიეცი თავის გადარჩენის საზრისი. აკვარიუმმა მძიმედ გადაიტანა სიამის მამლაყინწის სიკვდილი. არადა, რა ლამაზი იყო შეჩვენებული. მუქი ლურჯი. აი, როგორ გითხრათ, ხავერდოვანი სამოსი ჰქონდა, ბოლოებში ფერადოვანი ქერცლით. ერთთავად უმოძრაოდ იყო. გამარჯობაც არ იცოდა. ეგრე ბეჩავად მიგდებული იყო, საჭმელად თუ გამოიღებდა ხოლმე ყბას, ისიც კვირაში ორჯერ. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ეს სახეობა მხოლოდ თავის თვისტომს ერჩოდა და არა სხვა ჯიშის თევზებს. პატრონი კიდე ტეტრამას აჭმევდა – საღებავიან საჭმელს, ხასხასა ფერები რომ ჰქონოდა.

მერე იყო ანცისტრუეესის სიკვდილი – იგივე "პრისოსკა ლოქო", "მწმენდავს", რომ ეძახიან. ბაქტერიული და წყალმცენარეული ნადებით იკვებება, ამიტომ მისი ცალკე კვება საჭირო არაა. კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ კომპანიაში და თევზებს არ ვნებს. ყველაზე ფოფოდია პატრონის აკვარიუმშიც შეხვდებით. ტუჩებითაა კედლებს მიკრული და აპრიალებს. ისე მოკვდა, ვერც გავიგეთ. სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ.

ყველას ისეთი განცდა გაუჩნდა, რომ აკვარიუმს შავი ჭირი სჭირდა. ბოდიში მომითხოვია და ვინც რას წამოაყრანტალებს, კი არ უნდა დაიჯეროთ? ცხოვრება მუქი და ნათელი ფერებისგან შედგება. მუქ ზოლებს ვერ აიცილებ. თუ დავუშვებთ, რომ ერთ მომენტს განვითარების რამდენიმე მილიარდი მომავალი აქვს, მაშინ რომელიღაც სხვა პარალელურ რეალობაში აკვარიუმში

თევზები ცოცხლები და ჯანმრთელები არიან. მაგრამ ამ რეალობის აკვარიუმში სიკვდილის ტალღები ღელავს და ყოველ წამოსულ ტალღაზე მიჰყავს წასაყვანი. ცოტა ხანს სიმშვიდემ დაისადგურა. სამზოლიანი ხალინახრომისი დამავიწყდა, გრუნტის ბასრი ქვების ალესილ წვეტებზე დაიჭრა. მუცელი ისე სასტიკად ჰქონდა დასერილი, კი ვიფიქრე, საჭმელს ტყუილად აოხრებს, ისედაც არ გვყოფნის, რიღასთვის ჭამს, მაინც მოკვდება-თქო. არ შევმცდარვარ, დილით ამოტივტივებული ეგდო. ეს ჩვენი პატრონი კიდე ნამდვილი იდიოტია, საჭმელს ხან ბევრს გვიყრის, ხან – ცოტას. წყლის რეგულაცია და გამოცვლაც ვერ ისწავლა. გამოხდილი წყლის ნაცვლად ონკანის ქლორიან წყალს გვიმატებს ხოლმე. ლაყუჩები დამიავადდა კინაღამ, თუმცა კინაღამ არ ითვლება. მე ცოცხალი ვარ. ეს თევზებიც იდიოტები არიან რა. ჭამაში ზომა-წონა არ იციან, რასაც ხედავენ, ყველაფერს პირში იყრიან. დავიღალე ამდენი ლაპარაკით, ვერაფერს ვაგებინებ. მათ ისიც ვერ გავაგებინე, რომ აკვარიუმის პატრონი ღმერთი არ არის. ამაზე კამათს აზრიც არ ჰქონდა. დაბადებისთანავე ვინც დაინახეს, ის მიაჩნდათ ნამდვილ ღმერთად. ეს ძალიან რთული საკითხია, ხომ გესმით. მე ნამდვილი ღმერთის მწამს. მარტივი არაა თვალსაწიერი გაუფართოვო მათ. ნერგების დარგვამაც აზრი დაკარგა. ერთი თევზი ქვევრის პირში გაიჭედა. ღამით არავის გაუგია, ისე მოკვდა, ეტყობა შიგნით შეძრომა უნდოდა, მარა ბევრი ჰქონდა ნაჭამი. მუცელი გაბერილია მაგ დროს, მოგეხსენება, და გაიჭედა საწყალი. მომადგა ყველა მე. ახალმოსულებს განსაკუთრებით აღელვებდათ ეს ამბავი. რა არის ეს, სიკვდილი რომ შემოგვიჩნდაო. არ ვიცი-მეთქი. აბა რა იციო, შენ ხომ ბუნებაში დაიბადეო, უფრო მეტი უნდა იცოდეო. ცხოვრება ბრძოლაა, სიცოცხლე კვდება, როცა ბრძოლა მთავრდება – ავუხსენი მე. ეგ როგორო? გველთევზები, ლოკოკინები, ასტრონატუსი, სკალარია, სიამის მამლაყინწა... ესენი ყველანი იბრძოდნენ, მარა მოკვდნენო, ღმერთმა არ გაგვწიროს, თორე ჩვენი მთელი მცდელობა ფუჩეჩია თივის ზვინზეო. კიდობანი მოყვარულმა ააგო, ტიტანიკი პროფესიონალმაო. ჩვენი პატრონის ღვთის წყალობით ვართო.

გამიკვირდა, არ ვიცი, ამდენს როგორ აზროვნებდნენ. მასეა-მეთქი, დავეთანხმე. მერე დავუმატე, ღმერთი იმას ეხმარება, ვინც იბრძვის-მეთქი. დეპრესიულმა დუმილმა დაისადგურა. ახლა გვანახე ქვირითის განაყოფიერებაო. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. მატება გვჭირდება აკვარიუმშიო. იიიიი, ჩაქრით თქვენა, მატება, უყურე ამ მაკვარანცხებს. გვანახე, გვანახეო. რომ ვერ მოვიშორე, ვუთხარი: ჯერ პატარები ხართ, გაიზრდებით, მოვა მაგის დროც და ნახავთ-თქო. არაო, ახლა გვინდაო. რა დროს თქვენი ეგეთებია-თქო. ისინი თავისას არ იშლიდნენ. საღამო ახლოვდებოდა, ოთახში გაშლილი ხმები აკვარიუმის წყალში წმინდავდებოდა და ტალღა-ტალღა ვრცელდებოდა. მზის სხივები სულ უფრო და უფრო სუსტად იჭრებოდა ოკეანის ფსკერივით მოწყობილ ლანდშაფტში. ჩაძირული გემის ქვის ბიუსტი რომ ეგდო, იმ ადგილას იზრდებოდა წყალმცენარე ვალისნერია. ულამაზესი იყო მზის ათინათი შუქის ფონზე. განსაკუთრებული არაფერი... ქვემოდან უნდა ამოიყაროს ახალი ღერები. ზოგი წყალმცენარე ფესვებს ზემოთაც გამოჰყოფს განშოტოებებზე, ეგ ფესვიანი ადგილები შეგიძლია მოაჭრა და ცალკე ჩარგო... ასე მრავლდებიან მცენარეები. ის დრო გამახსენდა, ბუნებაში რომ ვცხოვრობდი. ფიქრი ხმამ დამირღვია. პატრონმა აკვარიუმში ახალი ბინადრები ჩაგვისვა. ესენი იყვნენ ხალებიანი გველთევზები, პატრონმა მინასთან ახლოს მოიტანა სახე და დააკვირდა თევზების ცურვას. ახლა მივხვდი. მისთვის აკვარიუმი ფსიქოლოგიური თერაპია იყო, რომელიც ექიმმა ურჩია დეპრესიისგან თავის დასაღწევად. ნეტა მაგათი ცხოვრება როგორია? ადამიანების... დეპრესიები რომ სჭირთ.

ხალებიანი გველთევზები ორ კვირაში დაიღუპნენ.

4. ინტერვიუ

პაატა შამუგია

თუ პოეტს სტილი არა აქვს, აჯობებს სხვა რამით დაკავდეს (ესაუბრა დალილა გოგია)

პირველად როდის თქვი, მე ვარ პოეტი?

როცა პირველად გამიჩნდა კითხვა „ვინ ვარ მე?“. ეს კითხვა გამიჩნდა დაახლოებით ექვსი წლისას. იქამდე სოციალური კონსტრუქციებით გავდიოდი იოლას – თავს აღვიქვამდი სხვისი მზერის ფარგლებში, ვიყავი ის, რა იდენტიფიკატორითაც მომმართავდნენ – შვილი, ძმა, ვიღაცის კლასელი და ა.შ. მაგრამ მერე დავინტერესდი, ვინ იყო ის, ვისაც მიმართავდნენ, როგორც შვილს, ძმას და ა.შ. ასე აღმოვაჩინე, რომ არავინაც არ ვიყავი. ასე დავიწყე წერა. ასე იწყებენ ხოლმე. უნდა მოიპოვო შანსი, აღარ წარმოადგენდე აღარაფერს, საკუთარ თავსაც კი, ამის მერე შეიძლება ფიქრი პოეტობაზეც. ისე, მე ჩემს თავს ლექსების მწერალს ვუწოდებ.

შეიძლება ითქვას, რომ პაატა შამუგია კარგ ლექსებს წერს?

ასე ამბობენ ბოროტი ხმები. მე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, კარგად არ ვიცნობ ჩემს თავს.

მაგრამ შენს ნაწერს ხომ იცნობ? კარგია, მოგწონს?

რა თქმა უნდა, სხვანაირად წერას აზრი არ ექნებოდა. თუმცა, ნარცისიზმი არ მემუქრება, ამისგან მომეტებული თვითირონია მიცავს.

შენც სასიყვარულო ლექსებით დაიწყე წერა? როცა პირველად დაიწყე წერა, როგორი რეაქცია ჰქონდათ ადამიანებს შენ ირგვლივ? (დაგცინოდნენ, გაქებდნენ, ამაყობდნენ, შურდათ...) ვინ გაქებდა, ვინ გიჭერდა მხარს?

პირველი ლექსი ჩემს ძმაზე დავწერე. „ჭაბუა“ და „ბაბუა“ გავურითმე ერთმანეთს. ჭაბუა ჩემს ძმას ჰქვია. მაგ ლექსის გამო ბაბუამ შოკოლადი მიყიდა. ლექსისგან განსხვავებით, შოკოლადი კარგი იყო.

სასიყვარულო ლექსი დავწერე ამავე პერიოდში, ანუ პირველ კლასში. ლექსში ასახულია უზარმაზარი ტანჯვა, რომელსაც განიცდიდა ავტორი. სინამდვილეში, ცხადია, არ ვიტანჯებოდი, მაგრამ გადმოცემით ვიცოდი, რომ ასე იყო საჭირო. ჟანრის კანონმა ასე მიკარნახა.

რაც შეეხება ქებას და ლანძღვას – არც ერთი მკლებია და არც – მეორე. მლანძღავდა ყვითელი პრესა, მაქებდა პროფესიული კრიტიკა. ამ მხრივ, მართლა განებივრებული ვარ, თითქმის ასპროცენტიანი დადებითი გამოხმაურება მქონდა ყოველთვის პროფესიონალი კრიტიკოსებისგან, ლიტერატურისმცოდნეებისგან და მათ შორის, ჩემი კოლეგებისგან – პოეტებისგან. ვგულისხმობ შემდგარ პოეტებს, თორემ ისეთებიც არსებობენ თურმე, რომლებიც ჩემი ლანძღვით ცდილობენ სოციალური კაპიტალის დაგროვებას. მე მათ ყოველთვის წარმატებას ვუსურვებ ამ საქმეში.

მანამდე იყო სკოლა და უნივერსიტეტი, სადაც, ფორმატიდან გამომდინარე, ძირითადად დადებითი ემოციები იცვლებოდა ხოლმე. ისე, პოეზიის პირველი საღამო მეხუთე კლასში მქონდა კახეთში, სკოლამ გამიკეთა. აქ სხვა რამეა მნიშვნელოვანი – რაკი დევნილი ვიყავი, ამ ხალხს უნდოდა, თავი გარიყულად და დაჩაგრულად არ მეგრძნო და ასეთი საოცარი სიურპრიზი მომიწყვეს. ქვა თუ არ ხარ, ძნელია, ასეთი რამეები დაივიწყო.

დღეს ბევრი ისეთი ლექსი იწერება და პოპულარული ხდება, რომ ზოგი აღშფოთებას, და ზოგი სიცილს ვერ იკავებს. და რას ნიშნავს კარგი ლექსი, როგორ გაარჩიონ კარგი და ცუდი პოეზია ერთმანეთისგან პოეტებმა და მკითხველებმა?

ძალიან ხშირად საქმე გვაქვს პროექციასთან. უმეტესად, ხელოვნების ნაწარმოებისგან მოელიან თავიანთი ესთეტიკური კატეგორიების დადასტურებას და ეს მოსწონთ კონკრეტულ ლექსში, და არა – უშუალოდ ლექსი. რაც უფრო გაცვეთილია და ათასპირგამოვლილია მეტაფორა, მით უფრო ნაკლებ საშიშია და ამავდროულად, საკმაოდ ეფექტიანია თვითშეფასების ასამაღლებლად – მასში წონასწორდება ჩვენი ესთეტიკური დონე და არ იწვევს განგაშს. არადა, ლექსი, რომელიც არ იწვევს განგაშს, არ იწვევს ჩვენს სულში არსებული შინაარსების გადალაგებას, შეგვიძლია, უბრალოდ, სანაგვეში მოვისროლოთ. ამიტომ უსმენს ადამიანთა ნაწილი სუფრაზე რიხით წარმოთქმულ კატასტროფულ ლექსებს, ძველბიჭური ჩაცუცქვით წაკითხულ სტრიქონებს, მდაბალი მანიპულაციებით შექმნილ გოიმურ ლექსებს – ესენი უსაფრთხოა.

გამოხატვის კონკრეტული ხერხები ხშირი გამეორების გამო „იღლება“, ცვდება და ქმნის კიჩის ეფექტს. დღეს სამხატვრო აკადემიის ნებისმიერ სამოსან მესამეკურსელს შეუძლია რენესანსული იდეალური, კლასიკური სხეულების გამოხატვა, მაგრამ ამის გაკეთება შემოქმედებითი თვითმკვლელობაა.

თვითციტირებისთვის ბოდიში, მაგრამ ესეში „ნეგატიური ხელოვნება“ ზუსტად ამ საკითხს შევეხე: „შემაშფოთებლად „სწორად“ დაწერილ ლექსებს, ტრუიზმამდე „აყვანილ“ ესთეტიკურ წესრიგს რომანში, აღვირახსნილად „კლასიკურ“ ვიზუალს ნახატში, არაფერი აქვს საერთო [თანამედროვე] ხელოვნებასთან, კულტურულად მკვდარი, თუმცა კი „სწორი“ ესთეტიკური კოდები არ მუშაობს. არ მუშაობს, მაგრამ „გასაგებია“. გასაგებია, რადგან ის უკვე უთვალავჯერ გადამუშავებულ სტრუქტურებს გვთავაზობს და ხელოვნების სუფრაზე მკვდარი ლინგვისტური სხეულების ჩამოტარებით ესთეტიკურობის ხანმოკლე ილუზიას ქმნის.“ მოკლედ, ასეა საქმე.

რომელ ეპოქაში ისურვებდი პოეტობას? თუ პოეტობას არა, რას?

მხოლოდ მომავალში. წარსულში არაფერი მესაქმება. მე მოულოდნელი სიტუაციები მიყვარს და მეეჭვება, წარსულმა ასეთი სიურპრიზები შემომთავაზოს. გარდა ამისა, რაღაც მხრივ, მიზიდავს ის ეპოქა, რომელშიც ვარ. არსად, არცერთ დროს არ ყოფილა იმდენი გამოწვევა, რამდენიც ახლაა. მომავალში ალბათ უფრო მეტიც იქნება.

ცენზურა რომ იყოს, დაწერდი? თუ ჰო, რას, ან როგორ, თუ არა, აბა რას გააკეთებდი?

გემახსოვრება „წერილები ახალგაზრდა პოეტს“, რომელშიც რილკე რჩევას აძლევს დამწყებს მელექსეს: გამოუტყდით თქვენს თავს: ნამდვილად მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ? და თუ – კი, მაშინ გააგრძელეთ წერაო.

ლამაზი რჩევაა, მაგრამ სანამ ფაქტის წინაშე არ დადგები ადამიანი, რთულია რამის თქმა. რამდენიმე წლის წინ პალესტინელ პოეტს, აშრაფ ფაიადს ლექსის გამო სიკვდილი მიუსაჯეს, რვაასი როზგი „აკმარეს“, რაც სიკვდილს ნიშნავდა. მზად ვართ, გავამზადოთ პოეტური ტრაკები სასიკვდილო როზგების ასატანად? ამაზე პასუხი მხოლოდ ფაქტის წინაშე დადგომის მერე გვექნება. მანამდე რამის თქმა ცარიელი ბაქიობაა.

ერთი ისაა, რომ თუ შემეშინდება და წერას ვერ შევძლებ, ესე იგი, არ ყოფილა ჩემი საქმე წერა და ბიტკოინის ქარხანას გავხსნი. უფრო მოგებიანი საქმეა, ჩემი ვარაუდით.

მე ვარ პოეტი, მაშასადამე, მე ვარ...

იდიოტი, როგორც თავადი მიშკინი.

ანუ წმინდანი? შენც იხლართები ხოლმე მიშკინივით?

პირველ ნაწილში გეთანხმები, მეორეში არა – არ ვიხლართები, ვისწავლე კვანძების გახსნა.

როგორც მე ვხედავ, შენთვის ენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვხედავ, როგორ იცვლება ენა შენს ლექსებში, და თემა. რომელი უფრო მნიშვნელოვანია პირადად შენთვის და საერთოდ პოეზიაში?

რა არის მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი?

სტილი. თუ პოეტს სტილი არა აქვს, აჯობებს, სხვა რამით დაკავდეს. ჩვენ ვიცით ბევრი პოეტი, რომელიც არაჩვეულებრივად ფლობს სალექსო ტექნიკას, მაგრამ სტილი არა აქვს. და ეს ძალიან სევდიანი ამბავია.

და სტილს თუ აქვს თავისი სახელი?

როგორც ბარტი ამბობდა, სტილი ალიბია.

ახლა რა ხდება შენი პოეზიის ენასა და თემაში?

ვცდილობ, რომანზე ვიყო კონცენტრირებული, თუმცა, აღმოვაჩინე, რომ ჩემზე არაფერია დამოკიდებული და მაინც მეწერინება ლექსები.



რომანმა ხომ არ შეცვალა შენი ლექსები?

არა მგონია. მე ისედაც მუდმივად ვცვლი თამაშის წესებს ლექსებში, სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად.

რამდენად ჩანან ადამიანები შენს ლექსებში?

რა თქმა უნდა, ჩანან, ოღონდ დამსხვრეული სარკის პრიზმიდან.

გამოდის, შენც ასე, დამსხვრეული სარკის პრიზმიდან უყურებ ადამიანებს? მერე ამთელებ ხოლმე?

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის რაღაც ნამსხვრევია შენთვის საინტერესო?

ჩვენ ყველანი ისედაც დამსხვრეულ რეალობაში ვცხოვრობთ და ლექსში მაინც თუ შევძლებ ამ ფრაგმენტების შეკოწიწებას, ეგეც დიდი საქმე მგონია.

სოციალური სატირა – რა არის და საჭიროა თუ არა დღეს?

მგონი, ეგ ყოველთვის იყო საჭირო. პოლიტიკური სატირა აუცილებელია წონასწორობის აღსადგენად, იმისათვის, რომ ძალაუფლებამ არ ჩაკლას ინდივიდები. ამიტომ ეშინიათ „შარლი ებდოსი“, ამიტომ შეეშინდათ აშრაფ ფაიადის, ამიტომ შეეშინდათ სალმან რუშდის. სატირა გვიჩვენებს ცხოვრების მეორე მხარეს, რომელსაც პოლიტიკური ელიტა მონდომებულად მალავს.

ეშინიათ მათ, მაგრამ მათაც ხომ ეშინიათ ძალაუფლებაში მყოფების? რა გამოდის, რინგზე ვართ?

კი, ოღონდ ამას როცა აღმოვაჩენთ, შეიძლება უკვე ნოკაუტში ვიყოთ.

შენ ხარ ადამიანი, რომელსაც პოეზია დაემართა. რა სიმპტომები აქვს შენს ავადმყოფობას და გადამდებია თუ არა?

გადამდებია და იწვევს ტვინის დანაოჭებას.

ვის გადასდე? იქნებ ეპიდემია გავახერხოთ.

მილიონებს ვერა, მაგრამ, როგორც ჩვენი პოლიტიკოსები იტყვიან, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, იქნებ მართლა იფეთქოს ეპიდემიამ, თუნდაც ასი წლის მერე.

სად მთავრდება შენი უფლებები და თავისუფლება?

ჩემი, როგორც პოეტის, უფლებები არსად მთავრდება. ვერავის მივცემ უფლებას, ამაში ჩაერიოს. ჩემი, როგორც მოქალაქისა, გაცილებით შეზღუდულია და ეს ნორმალურია.

როგორია დღევანდელ დღე, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე მომავალია. აგიხდა თუ არა ოცნებები, ან განახორციელე თუ არა გეგმები.

მაქვს ოცნებები, რომელთა ახდენისაც მეშინია.

ახდენის რომ გეშინოდა და აგიხდა, იმათზე მითხარი.

რა თქმა უნდა, არ გეტყვი. ვუფრთხილდები ჩემს ოცნებებს.

სადღაც წავიკითხე თუ მოვისმინე, რომ ეკონომიკა არ გაინტერესებდა, ახლა თუ შეიცვალე აზრი, აუცილებელია თუ არა, რომ პოეტი ერკვეოდეს ეკონომიკაში?

ჩვენ, ფილოლოგებს, პირველ კურსზე გვასწავლიდნენ ეკონომიკას. ლექტორმა მითხრა, პოეტი ვერ გამოხვალ, ეკონომიკა თუ არ გეცოდინებაო, რაც მეწყინა, ვიკამათეთ და დავტოვე ლექცია. მერე შევედი ჩვენს დეკანთან და ვუთხარი, მე პოეტი ვარ და ეკონომიკა არ მჭირდება-მეთქი (არადა, რა პოეტი, ოცამდე ლექსი მქონდა დაწერილი, 10 გალაკტიონის გავლენით და 10 – შერეული). დეკანმა მითხრა, კარგი, ნუ შეხვალ, ეს პოეტები მაინც გიჟები ხართ ყველანი, სად მაქვს თქვენი ნერვებიო. ასე მშვიდად დამთავრდა ეს ამბავი, თუმცა, ჩემი მხრიდან, ეკონომიკის ათვალწუნება მორიგი ფსევდოპოეტური კუდაბზიკობა იყო, მეტი არაფერი. სინამდვილეში, მიყვარს ახალი პროფესიები, ახალი გამოწვევები, უნივერსიტეტის დამთავრების მერე ეს ჰუმანიტარი კაცი დავინტერესდი ვებპროგრამირებით, ახლა ლექსებს და პროგრამულ კოდებს ერთდროულად ვწერ. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, ოდესმე ეკონომიკაც ვისწავლო, რატომაც არა. თუმცა, ჩემი მომდევნო მიზანი, ამ ეტაპზე, ფიზიკის საფუძვლიანად შესწავლაა.

პრემიები, კონკურსები... რას იტყვი მათზე?

პრემიებს ერთი უცნაური თვისება აქვს: მასზე გამარჯვებულები კარგად ლაპარაკობენ, დამარცხებულები აუგად მოიხსენიებენ. მე მხოლოდ ის არ მესმის, თუ პრემია იდეოლოგიურად არ მოგწონს,

საერთოდ რაღაზე გაგაქვს საკონკურსოდ? აი, მე, მაგალითად, რომელიმე ყვითელი გამოცემის კონკურსზე არ გავიტან ჩემს შემოქმედებას, რადგან ეს იდეოლოგიურად და ესთეტიკურად არაა ჩემთვის მისაღები.

სახელმწიფო მანქანა და შემოქმედი. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ შემოქმედ ადამიანებს სტიმული მიეცეთ?

რამდენიმე წლის წინ იყო ასეთი შემთხვევა: ანდერგრაუნდის მუსიკოსებმა აღშფოთებით აღსავსე წერილი გამოაქვეყნეს ინტერნეტში, რომელშიც კულტურის სამინისტროს უბრაზდებოდნენ იმის გამო, რომ არ აფინანსებდა მათ კონტრკულტურულ საღამოებს. კონტრკულტურა ყალიბდება კულტურის გენერალურ ხაზთან დაშორებით, მასთან დისოცირებით. კონტრკულტურული იმიჯის არტისტი სამინისტროსგან დაფინანსებას რომ ითხოვს, დიდი გაუგებრობა მგონია. ეს, უბრალოდ, იმის აღსაწერად, თუ როგორ ებრძვის ზოგჯერ ფორმა შინაარსს, თორემ დღეს, როცა მადონა და გოგოლ ბორდელო საერთო კონცერტს აკეთებენ, ძნელია მიჯნებზე ილაპარაკო. აქ სხვა მომენტია – როცა არტისტი თვითონ მიჯნავს თავს ძალაუფლების ცენტრებისგან, ასეთ დროს მათგან დაუფინანსებლობაც რამენაირად უნდა აიტანოს.

მეორე მხრივ, არის კონკრეტული კულტურული მიმართულებები, რომლებიც დაფინანსების გარეშე მოკვდება (მაგალითად, კლასიკური ხელოვნება – ბალეტი, ოპერა, კლასიკური თეატრი, ფოლკლორი, არაკომერციული წიგნები, თარგმანები). მათი არარსებობა ან ჩაკვდომა თანამედროვე ხელოვნებასაც დაარტყამს – დღევანდელი ესთეტიკური პროექტი დიდწილად ყალიბდება კლასიკის გადაკვეთის წერტილში – იგულისხმება კლასიკის გადამუშავება, პაროდირება, შეპირისპირება, დემონტაჟი... ასეთ დროს სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე ხელოვნების დიდი ნაწილი, უბრალოდ, გაქრება.

არ გინდა, კულტურის მინისტრი გახდე? რას შეცვლიდი, მინისტრი რომ იყო?

ყველანაირი შემოთავაზება მქონია, მათ შორის, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაშიც მიწვევისაც, მაგრამ მინისტრობა ჯერ არავის შემოუთავაზებია. არ მიზიდავს საჯარო სამსახური და არც პოლიტიკური ბიუროკრატია მხიბლავს.

სახელმწიფო მოქალაქე რატიანის წინააღმდეგ. ვგულისხმობ არა მხოლოდ ზვიად რატიანის ცემის ფაქტს, არამედ მის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიასაც. როგორ ფიქრობ, ეს უბრალოდ ფაქტების დამთხვევა იყო და მერე ერთი მეორეს მიჰყვა, თუ უკვე კარგად გავარჯიშებულ სისტემასთან გვაქვს საქმე?

სისტემა ასე მუშაობს 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე და გრამი რეფორმა არ შეჰხებია მას. წარმოიდგინეთ, ადამიანს სცემეს და იმის მაგივრად, რომ მერე სინდისს შეეწუხებინა, ნაცემი ადამიანის დისკრედიტაციის კამპანია წამოიწყეს.

მე ხალხის, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობა დავინახე არა მხოლოდ პირადად ზვიად რატიანის, არამედ ზოგადად, მწერლების მიმართ. მეჩვენება, რომ მწერლებმა ხალხთან სალაპარაკო ენა დაკარგეს, მათ შორის თითქოს კავშირი გაწყდა. ხომ არ არის მოსაძებნი ხალხთან სალაპარაკო ენა?

ეს იყო ილუზია, რომელსაც მოძალადე სისტემა ქმნიდა – თითქმის ყველა ის ადამიანი, რომელიც ფეისბუკზე რატიანის საწინააღმდეგო ტექსტებს პოსტავდა, იყო შსს-ს ტროლი. ძალიან ბევრი პროფილი გადავამოწმე და შემიძლია დადასტურებულად გითხრა, რომ ყველა მათგანი იყო ყალბი ექაუნთი. რომ განვმარტოთ: შსს-ს აქვს ე.წ. ტროლების ფაბრიკა, რომლის მთავარი საქმიანობაა ანონიმური ფეისბუკ-პროფილების შექმნა და შემდეგ „საჭირო“ პოსტებზე აქტიურობა. ამით ცდილობენ შექმნან

საზოგადოებრივი აზრი. უბრალოდ, გულწრფელად მეცოდება შსს, რომ მას არ ჰყავს რეალური თანამოაზრეები და ტროლების გარეშე არ შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ამ საკითხში სისტემას მწერლებმა დამაჯერებელად მოვუგეთ, მიუხედავად ათასობით დასპონსორებული პოსტისა და დაქირავებული მონა ტროლებისა, ჩვენ შევქმენით სწორი საზოგადოებრივი აზრი და ძალიან მარტივად გავანეიტრალეთ ისინი. ამ თემაზე ჩემი პირველი ბლოგი 4000-ზე მეტმა ადამიანმა გააზიარა ფეისბუკზე, იგივე ხდებოდა ჩემი სხვა კოლეგების ბლოგებზეც. ასეთ დროს იმის თქმა, რომ საზოგადოებასთან სალაპარაკო ენა გვაქვს მოსანახი, არ მგონია სწორი. თუმცა, საზოგადოებაში ასევე შედიან ფანატიკოსები, მოძალადეები, ნებისმიერი სისტემის უაპელაციო მონები, „ასავალ-დასავალის“ მკითხველები, ისინი ცოტანი ნამდვილად არ არიან და, რა თქმა უნდა, ასეთ ხალხთან მე პირადად არ მაქვს საერთო.

შენ აქტიურად იყავი ჩართული ამ ამბავში. შენი წერილებით, სატელევიზიო გამოსვლებით და ა.შ. ფიქრობ, რომ შენი და სხვა მწერლების აქტიურობით რამე სასიკეთოდ შეიცვლება? კონკრეტულად რა (შეიძლება შეიცვალოს)?

ადამიანი ევოლუციური არსებაა და მას განვითარებისკენ ლტოლვის კოდი აქვს ჩადებული. ყველას უნდა, პოლიცია გვიცავდეს და არა მათგან დასაცავები ვიყოთ, მოსამართლე სიმართლეს ემსახუროს და არა უსამართლობას, მინისტრები გვემსახურებოდნენ და არა გვიმსახურებდნენ, მუშები ყოველკვირა არ იხოცებოდნენ (იმის გამო, რომ მავან ბიზნესმენს ორი კაპიკი დაენანა უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის) და ა.შ. ეს ყველაფერი დღევანდელი, თანამედროვე ქართველის მოთხოვნილებაა და მას გუშინდელი აზროვნების ადამიანები (რაც უნდა ჩინები მოირგონ) ვერ შეცვლიან.

ხელოვნება-სახელმწიფო-საზოგადოება – შეიძლება, ეს სამი წარმოვიდგინოთ, როგორც კლასიკური სასიყვარულო

სამკუთხედი, თითქოს უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ, მაგრამ თავისი ეჭვიანობით, ინტრიგებით მთავარი ავიწყდებათ, – სიყვარული. რა არის საჭირო, რომ ამ სამმა ჰარმონიულად იცხოვროს? თუ მესამე ზედმეტია?

ზოგადად, **Threesome** მშვენიერია. საბოლოო ჯამში, ჩვენ ერთმანეთს განვსაზღვრავთ, ვიმსგავსებთ და ვავსებთ ერთმანეთს.

ზვიად რატიანის საქმის შემდეგ იყო ბახალას განაჩენი. მას 8 წელი მიუსაჯეს. ეს განაჩენიც აქტიურად გააპროტესტე. შეიძლება ერთ დღეს აღმოჩნდეს, რომ შენმა ასეთმა აქტიურობამ პირდაპირ პოლიტიკისკენ მიგიყვანა?

ეს კითხვა ბევრს გაუჩნდა და ამიტომ სჯობს მკაფიოდ განვმარტო: პოლიტიკური მოთამაშე არასოდეს ვიქნები, ფეხის შემომდგმელი არ ვარ ამ სფეროში. როგორც მწერალი კი, მომავალშიც ხშირად გამოვხატავ ჩემს პოზიციებს ამა თუ იმ საკითხზე.

ვის მიიჩნევ მასწავლებლად? ვისი მასწავლებელი ხარ შენ?

ჩემი მასწავლებელია ყველა ის მწერალი, რომელსაც ვკითხულობ და რაღაც საფიქრალს მიტოვებს. ასეთები, ბოლო დროს, კუტზეე და სარამაგუ არიან.

ვისი გავლენა გაქვს? ვის აქვს შენი გავლენა?

დასაწყისში მქონდა ყველა პოეტის გავლენა, ვისაც ვკითხულობდი. ბოლო დროს ვხუმრობ, ახლა საკუთარი თავის გავლენას განვიცდი-მეთქი. რაც შეეხება საპირისპირო მაგალითს, გამიგია, რომ ახალი თაობის პოეტების ნაწილს აქვს ჩემი გავლენა. ამას საერთოდ არ ვუღრმავდები. თუ აქვთ გავლენა, კარგია, მერე და მერე გადაუვლით და თავიანთ გზას იპოვიან, საერთოდ არაა ეგ პრობლემა.

გიგზავნიან თუ არა ლექსებს შესაფასებლად ახალგაზრდა პოეტები?

დიახ, და ვიცი, რა მნიშვნელოვანია მათთვის ის, რასაც წერენ (მეც ვყოფილვარ მაგ კონდიციაში). უბრალოდ, ბევრი წასაკითხი დამიგროვდა და ხშირად ფიზიკურად ვერ ვასწრებ, ყველას ვუპასუხო და მით უმეტეს, რეცენზიაც მოვაყოლო. თუმცა, ვცდილობ ხოლმე, ხელი შევაშველო, რითაც შემიძლია.

როდესაც მესმის „საბჭოთა ინტელიგენციის ფანტომები“, სულ მაინტერესებს, ვინ არიან პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის ფანტომები.

წაიკითხეთ „ასავალ-დასავალი“ და ყველაფერი ნათელი გახდება.

გიყვარს მკითხველებთან შეხვედრა?

კი, ოღონდ ხშირად არა. ბოლომდე ვიხარჯები ჩემს ნებისმიერ გამოსვლაზე, ამიტომ ხშირი კონტაქტი მფიტავს. ამავე მიზეზით დავანებე თავი ლექტორობასაც – მივხვდი, რომ სხვა რამეებისთვის ენერგია აღარ მრჩებოდა.

შენი ლექსის, „კაზუსის“ მიხედვით, ლექსი ჩადენილი დანაშაულია, და ახლა ისინი იძიებენ შურს შენზე. მათი ციტირებით ვეცდები, შეკითხვები დაგისვა. თუ ლექსი დანაშაულია, რომელიც მოხდა, რომელია შენი ყველაზე დიდი დანაშაული?

„შიზოგადოება“ და „დაუჯდომელი“. მაგრამ ამეებისთვის „სროკი“ მოვიხადე. ვაპირებ ახალი რეციდივის ჩადენას. ასე რომ, მზად იყავით.

„პოეზია არ იძლევა პასუხებს.“ – ეს ცოტა ნაღვლიანი განცხადება ხომ არაა? რა შეკითხვაზე ვერ მიიღე პასუხი?

არა, მე ვგულისხმობდი იმას, რომ პოეზიის საქმე საერთოდ არაა პასუხების გაცემა. პასუხებისთვის არსებობს ცნობარები, ენციკლოპედიები და გუგლი. პოეზიამ კითხვები უნდა გააჩინოს, ეჭვები აღძრას, ფიქრები არიოს.

და პასუხები სად უნდა ვეძებოთ?

პასუხები არ არსებობს. ხშირად ის, რაც პასუხი გვგონია, არის მორიგი კითხვა – სასვენი ნიშნის გარეშე.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ პოეზიამ იმედი გაგიცრუა და ახლა, როგორც ვიცი, რომანს წერ პოეზია უფრო ადვილია თუ პროზა? (სათქმელის გამოხატვის მხრივ)

მე პოეზია ვერასოდეს გამიცრუებს იმედს, რადგან მისი იმედი არასოდეს მქონია. მე არ ვწერ ავტოთერაპიისთვის, ვწერ იმისთვის, რომ გავიგო, ვინ ვარ.

რაც შეეხება პროზას, პოეტისთვის რთულია პოეტური სიგიჟიდან პროზაულ სიმკაცრეში გადასვლა. არის ასეთი სტიგმა, რომ პოეტს აუცილებლად პოეტური პროზა გამოუვა. მე მინდა, ეს სტერეოტიპი ჩემს შემთხვევაში კარდინალურად შევცვალო.

რაზეა შენი რომანი? და გამოდის ის ისეთი, როგორიც ჩაიფიქრე?

ჟანრულად ეს არის დრამედია, ამიტომ სტილები და განწყობები არ იქნება სწორხაზოვანი. რომანის პერსონაჟია ქალი. გარკვეული აზრით, მომიწია მეფიქრა ქალივით – სხვანაირად არ გამოდის წერა. ჰოდა, მივხვდი, რომ ძალიან რთული ყოფილა ქალობა.

რადგან მიშკინი ხარ, ისტერიული ქალი უნდა იყოს შენი პერსონაჟი. თუ ისიც ქრისტეს ბუნებისაა?

მე მგონი, უფრო ისტორიული ქალი იქნება.

პოეტს „და სამყაროს შეცვლის მოლოდინში ამოხდება დებილი სული“ – რას შეცვლიდი სამყაროში? (სიკვდილის გარდა).

რომ შემეძლოს, აუცილებლად შევცვლიდი ძალაუფლების სისტემებს. მე ეკონომიკა არ მესმის, მაგრამ არ შეიძლება კარგი იყოს ის სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, მსოფლიოს ერთი პროცენტი უკიდურესად გაამდიდროს და დანარჩენი 99 პროცენტი უკიდურესად გააღატაკოს. ასეთი დისპროპორცია

მდიდრებსა და ღარიბებს შორის ქმნის აუტანელ ვითარებას. და ის არგუმენტი, რომ ახლა ყველა ადამიანი უფრო მდიდარია, ხუთასი წლის წინანდელთან შეფარდებით, ცოტა არასერიოზული მგონია.

რატომ დებილი სული? ფიქრობ, რომ პოეტები ინფანტილურები არიან თუ ეს სტერეოტიპია?

ჩემი ყოფილი გოგო ხშირად მეუბნებოდა, რომ ინფანტილური ვიყავი. გულისხმობდა იმას, რომ ბავშვური ვიყავი. არადა, კარგა ხანია, აღარ ვარ ბავშვური, სამწუხაროდ.

ისევ იოჰიმ ნაგელი ხარ თუ რამე შეიცვალა?

ნაგელობა ჩემი ჰობია, რომელსაც ვერაფერზე გავცვლი.

ტექსტი, რომელიც არასოდეს გბეზრდება.

ბევრია ასეთი. სარამაგუს „იესოს სახარება“, ბეკეტის „მოლოი“, უიტმენი, გეტრუდ სტაინი, პერიოდულად – ქარჩხაძე, პაოლოს თუ ელენე დარიანის ციკლი, ხარანაულის „წიგნი ამბა ბესარიონისა“, წერედიანის ნათარგმნი ფრანსუა ვიიონი და ბევრიც სხვა. თუმცა, ცოტათი ვიტყუები, რადგან, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ბეზრდება ადამიანს.

„ვინ არის ღმერთი, მე არ ვიცი, მაგრამ ის ჩანს ჩემს სუნთქვაში“ – მგონი, სულ ღმერთთან ხარ. ამაზე რას იტყვი?

რა თქმა უნდა, საკუთარ თავთან ყოფნა კომფორტულია.

როგორც ვხედავ, ღრმად რელიგიური ადამიანი ხარ.

გაცხადებული ათეისტი ვარ. თუმცა, ფანატიკურად რელიგიური ვიყავი ერთ დროს.

რატომ მიდიხარ საზღვარგარეთ? მე პირადად, ვფიქრობ, რომ საქართველოს დააკლდება პაატა.

მინდა ტვინზე ნაოჭები მომემატოს. გარდა ამისა, მინდა ახალ გამოცდილებებს ვეზიარო, ახალი თავგადასავლები და ახალი

პრობლემები მინდა. აქ სულ ერთი და იგივე ხდება – გამოვუშვებ წიგნს და ზუსტად ვიცი, რომელიღაც მედიაში გამლანძღავენ, რომელიღაცაში – ცაში ამიყვანენ. ჰოდა, მოვიწყინე. მართალია, არც ისე პატარა ვარ, მაგრამ პიროვნული ზრდა კიდევ მჭირდება. ახალ რამეებს ვისწავლი, ენერგიით შევივსები და ჩამოვალ ისევ.

და შეკითხვა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მიყვარს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებს – რა ხდება დღეს ქართულ ლიტერატურაში?

ქართულ ლიტერატურაში პოეზია ყოველთვის უსწრებდა სხვა ჟანრებს – დონითაც და რაოდენობითაც. მაგრამ დღეს ჩვენში რომანის რენესანსის პერიოდი დგას. უახლოეს ათ წელიწადში რა რაოდენობის რომანიც დაიბეჭდა, იმდენი მთელი საქართველოს ისტორიაში არ დაწერილა. რა თქმა უნდა, ამ რომანებიდან ზოგი ვარგა, ზოგიც – პირიქით, მაგრამ რაც ვარგა, ეგ რომანები მნიშვნელოვან ისტორიას ქმნის. წარსულში რომანის კრიზისს ურბანული გარემოს სიმწირეც უწყობდა ხელს. ჩვენ სამეურნეო ქვეყანა ვიყავით ყოველთვის, რომანს კი განვითარებული ქალაქები სჭირდება და არა განვითარებული სოფლის მეურნეობა. საერთოდ, რომანის რენესანსი მსოფლიოში მეცხრამეტე საუკუნე იყო, როცა დასავლური თუ აღმოსავლური რომანების განვითარებამ იდეალურ წერტილს მიაღწია. და ამ პერიოდში საქართველოში რომანი საერთოდ არ დაწერილა (თუ არ ჩავთვლით სულხან-საბას, რომელიც კლასიკური გაგებით რომანს არც წერდა). ანუ მთელი ეპოქა გამოვტოვეთ. მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყეს რომანების წერა და ეგეც დაემთხვა ინდუსტრიალიზაციის პერიოდს, რაც შემთხვევითი არ მგონია.

გამორჩეული თანამედროვე ქართული რომანი რომელია?

რაკი თანამედროვე ახსენე, სავარაუდოდ, გულისხმობ 2000-იანების ზღვარზე დაწერილ რომანებს, მაგრამ არც მთლად წლევანდელებს. აქ რამდენიმე ხაზის გამოყოფა შეიძლება. მეინსტრიმული და კონტრკულტურული. მეინსტრიმის ხაზი

გამოკვეთა აკა მორჩილაძემ, კონკტრკულტურული – ზაზა ბურჭულაძემ. და არის მესამე ხაზი, რომელსაც „კულტუროლოგიურ რომანს“ ვუწოდებდი: ზურა ქარუმიძის ტექსტებს ვგულისხმობ. ქარუმიძის „თხა და გიგოში“ გამქრალია ზღვარი მხატვრულ ტექსტსა და კულტუროლოგიურ სჯას შორის, ასევეა მის „ღვინომუქ ზღვაში“. დღეს უკვე იმდენი ახალი ხაზი გაჩნდა, ალბათ გარკვეული ქრონოლოგიური დისტანცირება დაგვჭირდება, სრულად რომ შევაფასოთ.

იმედისმომცემ ახალ სახელებს ხომ ვერ დაასახელებდი?

თეონა კომახიძე, გიორგი შონია, ტატო ჩანგელია, ზურა აბაშიძე, ანდრო დადიანი, თაკო შუკაკიძე, ანა ჩხეიძე, ცოტნე ცხვედიანი... უცებ ესენი გამახსენდა, „დუხიანი“ ხალხია და შევხედოთ, რას იზამენ.

როგორი ტექსტის დაწერაზე ოცნებობ?

როგორსაც მე ვწერ.

და ბოლო კითხვა: „პოეტი უნდა იყოს სექსუალურიო“, წერ – შენ თუ ხარ სექსუალური? აქვთ პოეტებს შანსი, გახდნენ სექს-სიმბოლოები?

იმდენად სექსუალური ვარ, რომ ხანდახან მეუხერხულება კიდეც.

5. კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

ასეთი კულტურული მუშტი ქართველ ერს, კაი ხანია, მოყვასისგან არ მოხვედრია

დიდი ხანია, ჩვენთან ერთი გემრიელი ლიტერატურული სკანდალი არ მომხდარა. არა, ლიტერატურის ხალხი კი ეხვევა ფათერაკებში, მაგრამ მე საკუთრივ მწერლობასთან დაკავშირებულ მყვირალა ამბებს ვგულისხმობ. უკანასკნელი, რაც მახსენდება, ზაზა ბურჭულაძის ისტორია იყო, როცა მას უცნობმა თავი გაუტეხა იმის გამო, რომ მისი პერსონაჟის ეროტიკული გრძნობები მწერლისა ეგონა. მანამდე იყო "საიდუმლო სირობა", რომელიც "ექიმი ჟივაგოს" მსგავსად, "არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ" ნიშნით ჩაქოლეს, არადა, თავად ტექსტი ბოჩოლასავით უწყინარი იყო, არც სიავით რომ არ ყვირის და არც ღირსებით.

სულ ახლახან კი სოციალურ ქსელებში გაჩნდა სტატუსები ვინმე შოუ ბაბუხადიას რომანის, "ბაყაყების" შესახებ. როგორც ქართველი მკითხველის წესია, ყველა ჯერ ავტორით დაინტერესდა, რადგან თავიდანვე გაჩნდა ინტრიგა – უცნობი ფსევდონიმი ყველასათვის ცნობილი მწერლისაა. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ამ ტექსტსაც ისე დაედებოდა მტვერი წიგნის მაღაზიებში, როგორც სხვა საინტერესო გამოცემებს დასდებია მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ავტორებს არ იცნობდნენ. სხვა წიგნებს თავი დავანებოთ, "ბაყაყები" ავტორის გარეშეც სწორედ რომ ჩვენნაირი საზოგადოების ყბაში ჩასაგდები მასალაა, თან როგორი გემრიელი და ამბივალენტური ემოციების აღმძვრელი, ვერც კი წარმოიდგენთ…

მოდით, ცოტათი გავერკვეთ, რა ხდება ამ რომანში და საერთოდ, როგორც ცუგრუმელა გოგონებს უყვართ ხოლმე კითხვის დასმა – რაზეა ეს წიგნი?

პირველ რიგში, დავიწყოთ სათაურით – "ბაყაყები", ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ანტიკური ავტორის, არისტოფანეს ამავე სახელწოდების პოსტმოდერნისტულ კომედიას გაგახსენებთ,



წლების წინ რომ თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა. სხვათაშორის, წიგნის პრეზენტაციაზე უთქვამთ, არისტოფანეს ეს ნაწარმოები დღემდე იყიდება წიგნის მაღაზიებში, ხოლო შოუ ბაბუხადიას „ბაყაყების" ტირაჟი თითქმის ამოწურულიაო. ამ ამბავს ალბათ თავისი ახსნა აქვს. არისტოფანეს კომედია ალბათ ძველი წელთაღრიცხვის იმ კონკრეტული საზოგადოებისთვის იყო აქტუალური, თავისი გროტესკული, იმავდროულად მარტივი და ადვილად გასაგები დრამატურგიით, სადაც დრამატურგების გარეშე დარჩენილი თეატრის ღმერთი გადაწყვეტს, ჰადესიდან ამოიყვანოს და ათენის სცენას დაუბრუნოს რომელიმე გენიალური ტრაგიკოსი.

"დიონისეს, ზევსის ძეს,
ვუგალობოთ ჭაობში.
ქოთნის დღესასწაულებზე
გამომთვრალი ხალხის ჯგუფი
ჩემს სანახებს ერთიანად მოადგა.
ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!"

სწორედ არისტოფანესეული ბაყაყების ქოროს ეს ყიყინი გაისმის შოუ ბაბუხადიას რომანში, მხოლოდ ამჯერად სამღვდელოების მაღალი იერარქიის წარმომადგენლის – მეუფეს ბაგეთაგან, და იმის გამო, რომ ეს ყველაფერი ახლა, აქ, ამ ქალაქში ხდება, ქალაქში, სადაც პერსონაჟების პროტოტიპებს ალაგ-ალაგ სახელებით ან გვარებით იცნობთ, ეს ტექსტი უკვე ჩვენთვის ხდება მამხილებლური და დახლებიდანაც სწორედ ამ მხილების გამო

ქრება. ბაბუხადია ქმნის კომედიას ტრაგედიის შესახებ. მე ვიტყოდი, საკმაოდ პესიმისტური განწყობის კომედიას, რითაც ჩვენს საზოგადოებას მიანიშნებს იმაზე, რომ არაა მზად განახლებისთვის, რადგან კვლავ ბაყაყების ქორო გვმართავს.

ადამიანს საკუთარი თავიდან გაქცევის და სხვად გადაქცევის ცნობისწადილი აწვალებსო, წერია წიგნის ანოტაციაში და წიგნის მთავარი გმირიც, ბერმონაზონი, რომელსაც ბოლოს კლავს ავტორი, სხვად გარდაქცევას, ანუ საცდურის მოსინჯვას თავად გეგმავს, თავად აპირებს, გაეხვეს, როგორც რომანში არაერთგზის ნახსენებია, სოდომიაში. აქვე ისიც ვთქვათ ბარემ, რომ მართალია, ბერმონაზონი საეკლესიო ტერმინოლოგიით მიღებული სტატუსია და იგივე ბერს ნიშნავს, მაგრამ ავტორმა ბერმონაზონი დაარქვა, რადგან ცალკე აღებული "ბერი" – მამაკაცს და "მონაზონი" – დედაკაცს აღნიშნავს და ამ ერთიანობით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა წიგნის ერთ-ერთ მთავარ ინტრიგას – ტრანსგენდერიას, ჰომოსექსუალობას, წვერებიან ქალს, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს და რომლის ამსახველი სცენაც, როგორც მეტაფორა, მე ვიტყოდი, ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ტექსტში: „ნაგავში ხელებს ჩაყოფს და ერთბაშად ამოიყვანს. ჰო, ჩვილი ბავშვია! მერე იქვე ჩამოჯდება, სანაგვე კონტეინერებთან, ჩვილს კალთაში ჩაიწვენს, როგორც ზოოპარკის ვოლიერში მჯდარი მდედრი გორილა, რომელსაც უცებ ადამიანის ბალღი ჩაუვარდება ხელში, მშობლების დაუდევრობით რომ გადავარდა… და ინსტინქტურად, არც კი გაიხედ-გამოიხედავს – ვინმე ხომ არ მიყურებსო, საკინძეს ჩაიხსნის, ძუძუს გადმოიღებს და ჩვილს პირთან მიუტანს… წვერებიანი ქალი-მადონა."

წიგნი იწყება ძალიან ძალიან შოკისმომგვრელად: „ერთხელ, დილით, როდესაც ქართლოსმა შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ საკუთარ საწოლში ვიღაცა ქალად გადაქცეულიყო". ასეთი დასაწყისი თითქოს განგაწყობთ იმისათვის, რომ საქმე გაქვთ იაფფასიან, სქემატურ ტექსტთან, სადაც ავტორი პრიმიტიული ილეთებით ცდილობს მკითხველის

ჩათრევას და მისთვის თავის მოწონებას. სიმართლე გითხრათ, რომ არ მცოდნოდა ჩემთვის პატივსაცემი მწერლებისა და ლიტერატორების მანამდე დაფიქსირებული მოსაზრებები ამ წიგნზე, იქნებ ამ წინადადების შემდეგ არც კი გამეგრძელებინა კითხვა. ამ გადაწყვეტილებაში წიგნის ყდაც დამეხმარებოდა, სადაც ტორგერსონის დიზაინით შექმნილი Pink Floyd-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ალბომის (The Dark Side Of The Moon) ყდის კონცეფციაც ილანდება მამაკაცის ძუძუთი მკვებავი ჩვილის ფონზე. Pink Floyd-ს რომანშიც გვახსენებს ავტორი, მხოლოდ ამჯერად სიმღერის ტექსტების ნაგლეჯების სახით. ზოგადად ნაგლეჯები, ანუ ციტატები, არქეტიპები, სხვა წიგნთა პერსონაჟები, სხვადასხვა ტიპის ალუზიები და რემინისცენციები ამ წიგნის ერთობ სახალისო „ინგრედიენტია". ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რაც აქცევს მას მხატვრულ ტექსტად.

ინკოგნიტო ავტორი აშკარად წიგნიერია. ყოველ შემთხვევაში, კარგად მანევრირებს და ბურთაობს კლასიკოსი მწერლებით და არამხოლოდ კლასიკოსებით. შესაძლოა, ალაგ-ალაგ ამ მანევრებს ნათითურები ეტყობა, რითიც ვხვდებით, რომ, ცოტა არ იყოს, ჟონგლიორობის მოყვარულია და კეკლუციც. მაგრამ ამ აზრს, როგორც რამე უხამს ფიქრს, მაშინვე ცოდვად უთვლი თავს, როგორც კი იშვიათი მწერლური ოსტატობით შესრულებულ რომელიმე გადაძახილს ხედავ. ავტორისთვის ჩვენი რეალობა და სხვადასხვა დროს წაკითხულ წიგნთა პერსონაჟები თითქოს ერთი სამყაროა. თითქოს ყველა ერთი მარაზმის ნაწილი ვართ, ისევე, როგორც თვითონ, რომელიც არაფრით არ ცდილობს, ჩვენზე უკეთესად "გამოიყურებოდეს".

პოეზია, განსაკუთრებით წიგნის ბოლო ნაწილში, ალაგ-ალაგ სახეცვლილი ციტატები კლასიკიდან, დანტე, კაფკა. მითოსი… ფინალმა ერთი წუთით შეიძლება ზიუსკინდის "პარფიუმერის" ფინალიც კი გაგახსენოთ თავისი უხამსი კარნავალურობით, ეკლექტური ორომტრიალით. თუმცა კი ხანდახან დაკარგული ზომიერების განცდა, უადგილო, გამომწვევი და ხელოვნურად

სკანდალური ქვესიუჟეტები საერთო სურათს, ცოტა არ იყოს, გემოს უფუჭებს.

მაგრამ ისევ ვახსენებ წიგნის ყდას – ეს პირდაპირ დაღეჭილი ინსტრუქციაა რომანის თემატიკაზე. სწორედ მთელი ეს სიცხადე ყდიდან ტექსტამდე მაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ნაწარმოები რომანი ნაკლებადაა. თითქოს რატომ უნდა გამოვეკიდოთ ჟანრს ამ პოსტმოდერნისტულ, ჟანრის კანონებდანგრეულ ეპოქაში, მაგრამ საკითხი ასე დგას – თუ ამ ტექსტს რომანად არ მივიჩნევთ, გაცილებით მეტ სიმპათიას დაიმსახურებს, რადგან მკითხველი სულ უფრო ნაკლებ პრეტენზიას წაუყენებს მას.

არისტოფანესეული ბაყაყების გუნდი შავბნელი, დაჭაობებული სამყაროს შესახებ შეგვახსენებს. აქაც, ამ რომანში, ტყუილად არ გაისმის მათი ხმები: "ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს". ბაბუხადიას "ბაყაყები" ტრაგედიაზე დაწერილი კომედიაა, თავიდან ბოლომდე სარკაზმში შეფუთული. დასაწყისში ძალიან ხალისობთ, ნაცნობი ადგილების და ნაცნობი პროტოტიპების აღმოჩენით ერთობით. ავტორს აქვს იუმორის ნიჭი – ამას ნამდვილად ვერ წაართმევთ, მისი გროტესკული ილეთები კი ზოგ ადგილას საერთოდ სამყაროს ჭრის და კომიკურიდან ტრაგიზმამდე გავლებულ ზოლს ჰკვეთს. ამ მანევრს ავტორი სწორედ სხვა წიგნების და სხვა ნაწარმოებების, როგორც ინსტრუმენტების, დახმარებით აკეთებს.

"ვიღაცა უნდა გადაეშვას წუმპეში, და იქ, მისსავე საუფლოში უნდა შეებრძოლოს მხეცს… აი, ეს იქნება მსხვერპლი განსაცდელისა." – ამბობს ბერმონაზონი ნიკოდიმოსი, როცა მამა სპირიდონთან ერთად ჰომოსექსუალიზმის მოძლიერების საკითხებზე და "სოდომისტთა" ცოდვებზე საუბრობს. ამბობს და სულ მალე ტრანსგენდერ ქალთან, ლოლასთან წყვილდება. შემდგომ რა ხდება, არ "ჩავასპილერებ", მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ მწერალი აკეთებს ძალიან საინტერესო მანევრებს, ფაქტობრივად ბეწვის ხიდზე გადის წონასწორობის დაცვით, რათა ზუსტად, თანაბრად ამხილოს ერთიცა და მეორე მხარეც.

სამღვდელოება არანაკლები ჭაობია, ვიდრე ნიკა საჯაიას თოქშოუ, რომელიც ფინანსდება და შეკვეთილია. შეკვეთილია ყველაფერი ამ რომანში. ცემა, თავდასხმა, კონფლიქტი, შოუ, საუბარი, სიყვარული, სელფი, ყავის დალევაც კი. მთელი ტექსტი არის დაცინვა, ამიტომ შეუძლებელია, ავტორს მოსთხოვო ელემენტარული აკადემიზმიც კი. უფრო მეტიც – მას არა აქვს ენა. მისი თხრობის მანერა უბრალო და სპონტანურია. ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაიცალოს სერიოზულობისგან და დასცინოს ყველაფერს "სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა". სწორედ იმიტომ, რომ სარკაზმის ასეთი დოზა, დაცინვის ასეთი მრავალმხრივობა ვერ გადაიტანდა რომანის ჩარჩოში ჩატეულ ტექსტს, ალბათ ამიტომ ბაბუხადიამ მიმართა ერთგვარ პასკვილურ თხრობის მანერას. მაგრამ, ნამდვილი პასკვილისგან განსხვავებით, ეს არაა ცილისმწამებლური, პირიქით, როცა ტექსტის კონცეპტს ერგები, მეტ და მეტ მხილებას ელი ავტორისგან.

რომანში არის ორი ძირითადი კლასი – სამღვდელოება და ე.წ. სოდომისტების თემი, რომელთა შორის გამორჩეულია პროვოკატორი ნაწილი. ბუნებრივია, გაინტერესებს, ვინ დგას ამ წიგნის უკან. ვინ გაბედა და ილაპარაკა საქართველოში არსებული ძირითადი პრობლემური კასტების უარყოფით ასპექტებზე ისე, რომ არცერთ მხარეს არ დაუჭირა მხარი. ამით ხომ ჩვენი ლიბერალების ჰერმეტული, კონიუნქტურული ნაწილის გაბრაზებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. მართალია, როგორც ვთქვი, საზოგადოებისთვის ამ თემებზე მსჯელობა უცხო არაა, მაგრამ კულტურულ სივრცეში ამ თემის მსგავსი სახით დემონსტირირება აქამდე, ჩემი აზრით, არ მომხდარა. ავტორი ყველანაირად ცდილობს, დადებითი არავინ დატოვოს და თვისებათა, ურთიერთობათა, მიმართებათა სრული აღრევით შექმნას ავთენტური ქართული რეალობა. ამ მცდელობას, შეიძლება ითქვას, წარმატებულად ართმევს თავს. თუმცა სიუჟეტს ალაგ-ალაგ იმდენად სქემატურად ავითარებს, რომ საბოლოოდ

მხოლოდ ეფექტური და ხმაურიანი ფეიერვერკის აფეთქების სურვილის გარდა, თითქოს ვერაფერს ხედავ.

ავტორი უკვე ბევრჯერ გადაღეჭილ საკითხებს ეხება, საზოგადოებამ რომ არაერთხელ განიხილა, უფრო სწორად, იყიყინა და დისკუსიისა თუ კამათის საგნად აქცია. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ტექსტს აქვს ენჯეოშნიკურობის დაღი და ბევრისთვის დამღლელი და მოსაწყენი უფროა, ვიდრე საინტერესო. რაღაც მომენტებში, შეიძლება, ისეთი შეგრძნებაც კი გაგიჩნდეთ, რომ ეს ყველაფერი – მღვდელმონაზვნისა და ტრანსგენდერი ქალის დაწყვილება, გეი წყვილის – ილიასა და აკაკის გამოჩენა, ჰომოსექსუალთა სექსი მონასტრის მიმდებარედ და სხვა მრავალი, თითქოს განგებ გაკარიკატურებული კონცენტრატია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დამყაყებული ფსკერიდან. თითქოს ავტორი სწორედ იმიტომ იმალება, რომ მის მიერ დადგმულ ამ შოუზე, უფრო სწორად, კარნავალზე, სადაც თავადაც ნიღბით გვევლინება, ჩვენც თამამად მიგვიშვას, რათა მასაც ისევე დავცინოთ, როგორც ის დასცინის მთელ სამყაროს. მაგრამ ავტორის პროგრამის ნაწილი – ის ხმაური, რომელიც „ბაყაყებს" უნდა მოჰყოლოდა, მიუხედავად წიგნის ტირაჟის გაყიდვისა, არ შედგა. ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება იმდენად აცრებმოშუშებულია, იმდენადაა დაცლილი ტემპერამენტისგან, რომ ამგვარმა არაორდინარულმა ტექსტმაც კი ვერ აღაგზნო – ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად.

ავტორი ალბათ ბევრს ცდილობდა და ელოდა კიდეც, რომ "ბაყაყებს" აჟიოტაჟი, მძვინვარე კრიტიკა ან კიდევ – უზომო ხოტბის შესხმა მოჰყვებოდა. მაგრამ თუ არ ჩავთვლით ფეისბუკზე დადებულ რამდენიმე სტატუსს, სადაც უფრო ავტორის ვინაობის ძიებაა წინა პლანზე წამოწეული, ვიდრე ტექსტზე მსჯელობა, სხვა მხრივ, ყველა დუმს და ემოციების გამოხატვა ეზარება. ეს, ერთი მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი საზოგადოება გაიზარდა, დაღვინდა და იოლად არ „ვარდება", მეორე მხრივ კი, შეიძლება

ვიფიქროთ, რომ არაფერი აღარ აინტერესებს, ინდიფერენტული და ზარმაცია.

საბოლოოდ, ხმაური წიგნის ჭეშმარიტ ღირსებაზე, შეიძლება, სწორედ რომ ნაკლებად ლაპარაკობს. ჰოდა, ვფიქრობ, ამ ყველაფრისგან დამოუკიდებლად, მიუხედავად ხარვეზებისა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ქართულმა ლიტერატურამ საჩუქრად სრულიად ახალი მიმართულების, სუნის, ფერისა და ხასიათის წიგნი მიიღო. ასეთი კულტურული მუშტი, კაი ხანია, ქართველ ერს მოყვასისგან არ მოხვედრია. ჰოდა, იქნებ გავბრაზდეთ მაინც და ამით რაღაც შეიცვალოს.

ნანა ტრაპაიძე

ხმა და სიცარიელე

“იქნებ სიკვდილიც მშვენიერებაა მხოლოდ, ანდა მშვენიერება თავისთავად წამებულის ნიჭია, ნიჭი კვდომასთან მარტო დარჩენის.“

მიკა ალექსიძე,
“სიკვდილზე არ ლაპარაკობენ“

მიკა ალექსიძის მოთხრობების კრებული “სიკვდილზე არ ლაპარაკობენ“ პირველად 1985 წელს გამოქვეყნდა, მეორედ – 1992 წელს. ქართულ პერიოდიკაში იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და ლექსებიც. იმის მიუხედავად, რომ მიკა ალექსიძე თავის დროზე შეუმჩნეველი არ ყოფილა, – მან მაშინვე მიიპყრო პროზაიკოსი კოლეგებისა და ინტელექტუალების ყურადღება, იგი მაინც უცნობი დარჩა მკითხველი საზოგადოებისთვის.

მიკა ალექსიძის მოთხრობები ადამიანის სულიერი მშვენიერებისა და იდუმალების არაჩვეულებრივი გადმოცემაა; მაგრამ ამ იდუმალებისა და მშვენიერების სულიერ ამბებთან ერთად იმ უსამართლობასაც ვკითხულობდი, რომელშიც მოთხრობებისა და მისი ავტორის ბედი აღმოჩნდა გახვეული... სამწუხაროა, რომ არსებობს ოცდახუთწლიანი სიჩუმე, დავიწყება, რომელმაც ეს ქმნილებები ლიტერატურის სივრციდან ამორთო.

საბოლოოდ, ყოველგვარი ადამიანური ბედისწერა, ალბათ, დროის ბედისწერაში იყრის თავს. მიკა ალექსიძის მოთხრობები 80-იან წლებში იწერებოდა. ეს იყო ისტორიული ძვრების – საბჭოთა კავშირის “გარდაქმნის“, ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოებრივი დუღილის დრო, როცა გლობალური დინება ადამიანთა მასებს თითქოს მათი ნების კარნახით მიერეკებოდა. მაგრამ სწორედ დიდი მოვლენები აქცევს ადამიანებს მარიონეტად, სათამაშოდ, რომელსაც დინების ისტერიის გარეშე არ შეუძლია, რადგან ესაა მისი სცენა, მისი პერსონალური დრამატურგია

თავისუფლების შესახებ. სინამდვილეში, ამ მითოლოგიას სხვა ავტორი ჰყავს – დრო, რომლის ინსტრუმენტები დინება და კალაპოტია. რაც უფრო ძლიერია დინება და ფართო კალაპოტი, მით მეტია თავისუფლების ილუზია. 80 და 90-იანი წლების მხურვალე სამოქალაქო მღელვარებები დროის დინებაში ჩავარდნილთა მძიმე ისტორიაა საზოგადოებრივი ფსიქოზისა და სამოქალაქო ომის ტრაგიკული შედეგებით. თითქოს აქ, ამ ეროვნულ ჯოჯოხეთში იყო ადამიანური ყოფიერების ეპიცენტრი, მაგრამ დროის ხმაურიანი ფერების უკან ისტორიის ნეგატივი სხვა რამეს ამბობს. ამბობს იმას, რომ ნამდვილი სინამდვილე დროის ფერხულის მიღმაა და ამ სინამდვილისთვის არაფერია იმაზე დიდი ცოდვა და სიმხდალე, ვიდრე ბავშვად და შეშლილად არყოფნის ბრმა ძალა, რითაც ადამიანები თავს იცავენ ზრდასრულობისა და სისავსის აკრძალული უმანკოებისაგან.

მიკა ალექსიძის მოთხრობებში ვერ ნახავთ ამბებს. და ვერ ნახავთ არა ლიტერატურაში ამბების გაქრობის ცნობილი გამოცდილებების დარად, არამედ ამბის მიმართ თავისებური მოპყრობის გამო: ამ მოთხრობებში ადამიანებს კი არა აქვთ ამბავი, არამედ თვითონ ისინი არიან ამბები. ეს მოთხრობები მათი ყოველი მოძრაობის, ყოველი ჟესტის, მათი გრაციოზული სევდის დამახსოვრების რიტუალია, მათი კადრირება და უკვდავყოფა ენის დაცულ მეხსიერებაში.

ამ მოთხრობებში ვერ ნახავთ გაქცევისა და ბრძოლის ფსიქოლოგიურ ამბებს. ეს უფრო მორჩილების ისტორიებია, თავისუფლებისადმი მორჩილების ამბები, როგორც უზარმაზარი ამბოხი იმ გაუგებრობების მიმართ, რომელიც ადამიანურ ბედისწერებში გამოყოფს ხოლმე თავს და შთააგონებს მას თვალი გაუსწოროს ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის დარღვეულ იგივეობას. თავისუფლებისადმი მორჩილების დრამატული ისტორიაც აქედან იწყება: დროის საკანში სიყვარული ყოველთვის გარეთაა, რაც გვაიძულებს არა რაიმესთან ბრძოლას, არამედ – მორჩილებას თავისუფლების შინაგანი კანონების მიმართ,

თანხლებულს რწმენით, რომ დრო თვითონ გაიპარება, დრო გავა მისთვის უადგილო სივრციდან. მაგრამ ეს მოთხრობები არც ოპტიმისტურია, არც – პესიმისტური, ხედვის ასეთი ზოგადი ფოკუსი მათ არა აქვთ. ეს არის თვითონ ხედვის შესახებ მოთხრობები, რომელიც თუ სადმე იყურება, ისევ საკუთარ თვალებში, რომელშიც პერსონაჟები თავიანთ მარადიულ ბავშვობას უმზერენ.

და სიმართლე, რომელშიც მსგავსი სულების შემხვედრი მზერა ერთმანეთს სცნობს, სულიერი და ფსიქოლოგიური განცდის შიზოფრენიულ აგონიაში ძერწავს სინამდვილის არარსებულ სხეულებს. აქ ხდება დიდი სიყვარულისა და დიდი შიშის ომი, რომელშიც იმარჯვებს ადამიანი, რაც ნიშნავს იმარჯვებს მარტოობის სრულყოფილება – ბედნიერების ეს უნებლიე ნაყოფი, რომელიც ამბობს იმას, რომ სიყვარული სიკვდილისა და სიცოცხლის შეუღლებაა. რომ სხვა მშობელი მხოლოდ სუროგატია.

მიკა ალექსიძის მოთხრობებში სიუჟეტები პერსონაჟთა სულისა და ბედის დრამას მიჰყვება, მაგრამ ტექსტების, თუ შეიძლება ასე ითქვას, განწყობილებითი პოზიცია – ეპიკურია: ეს სულიერი ბზარები, რყევები, მთელი სულიერი სინამდვილე სამყაროს მთლიანობის, მისი სიმაღლისა და დიდებულების განცდიდან არის დანახული. სულიერი დრამისა და ეპიკური თვალის შერწყმა სინტაქსური დინამიკის ნაწილია, როგორც მუსიკალური თემა, რომელიც თავისი კონტრაპუნქტისკენ მოძრაობს.

თუ მხატვრული განწყობილებების ფსიქოლოგიას მივყვებით, მაღალი ლიტერატურა მას არა შინაარსში, არამედ ფორმაში გამოხატავს: ის, რაც ფორმის ოპტიმიზმია უკვე რწმენაა, რაც შინაარსის – მხოლოდ იმედი.

მიკა ალექსიძის მოთხრობები არაფერს იმედოვნებენ, მათ მხოლოდ სწამთ. ამიტომაც მისი მხატვრული ენა პერფორმატულია, არტისტული. ეს არის გამოხატვის ერთგვარი ზეიმი, წარმოდგენა, რომელშიც ენობრივი მოქმედება, მხატვრული ხმა შინაგანი მიმოხრის, ენერგიისა და წყობის ყველაზე ღრმა და ფაქიზ ძალებს იყენებს.

ამ მოთხრობების კომპოზიციაში ერთმანეთისაგან ვერ გავყოფთ თხრობასა და ამბავს. თემატურ განწყობილებებში ისინი ერთმანეთს გადაფარავენ. მოთხრობაში "ბაბუში" თორმეტი წლის ბავშვის თვალით დანახული სამყარო იმ სევდას ატარებს, რომელსაც დამწვარი სახლის, ობლობისა და სატუსაღოს დამღა ატყვია.

"ბაბუშის კი მეზობლის გადამწვარ სახლზე უნდოდა ელაპარაკა, უნდოდა ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, რაც ნახა. მას წარმოდგენაც არ შეეძლო, რომ ეს ყოველივე საოცრად მარტივად გამოჩნდებოდა სულ ცოტა ხნის შემდეგ. თოფის ლულაზე შემოსმული, წამომხობილი საწუთრო მღვრიედ იწელებოდა და ისე მიაფარფატებდა მათ ხმასა და სხეულს, როგორც გზაზე ქარისაგან ათრეულ ქაღალდის ნაფლეთს. ამისთვის ყველაფრის დარქმევა შეიძლებოდა, თუნდაც თავისუფლებისა. ამიტომ აღარავის შეხებია ეს სიტყვა იმდენად, რომ ლაპარაკის საგაბი შექმნილიყო. ბაბუშისთვის მეზობლის დანახშირებული სახლი იყო უდიდესი მწუხარების თავი და თავი და ასე ეგონა, რომ ამაზე დაუსრულებლად შეიძლებოდა ელაპარაკათ. აქ კი "სახლი ვის რაში არგიაო", ჩაესმა უცებ და იგრძნო, როგორ აჰყვა ქარს მღვრიე, დაწეწილ ბოლქვებად კვამლი და სადღაც ნისლს მიღმა მიერთო" ("ბაბუში").

საქართველო ზღვისა და მთის ქვეყანაა. დასავლეთი საზღვარი შავ ზღვაზე, ჩრდილოეთი – კავკასიონზე გადის, სადაც ოდესღაც ღმერთებს მითიური ამირანი (ბერძნული პრომეთე) მიუჯაჭვავთ. ამიტომ ბუნებრივია, რომ სიმბოლური აზროვნება აქ ზღვითა და მთით ბუნებრივად აღბეჭდილიყო. ზღვა და მთა ლიტერატურაში, ძირითადად, მხატვრული გეოგრაფიის ნაწილია (რა თქმა უნდა, არაშემთხვევითი), მაგრამ კონცეპტუალურ სახედ გარდაქმნა, როგორც ეს თომას მანის "ჯადოსნურ მთაში", ჰემინგუეის "მოხუცი და ზღვაში" ან მელვილის "მობი დიკში" ხდება – იშვიათია. ქართულ ლიტერატურაში მთის მხატვრული ტრადიცია ბევრად დიდია, ვიდრე – ზღვის. იგი უფრო ძველიცაა: ზღვის ლიტერატურულ სახეს წინ უსწრებს ზღვის მითოსი (არსებობს ზღვისა და დედის კოსმიური წყვილის მითოლოგემა მთის (სვანეთის) მითოსურ გადმოცემებში). ზღვის ლიტერატურულ გამოხატვას თავისი ისტორიული და კულტურული განპირობება აქვს და ეს სხვა საუბრის თემაა. მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში კი არსებობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა და ოთარ ჭილაძის პროზის ზღვა. ამ კონტექსტის სიცარიელეს ავსებს მიკა ალექსიძის მოთხრობა "სიკვდილზე არ ლაპარაკობენ'", რომელიც მთლიანად არის შთაგონებული ზღვის თემით, უფრო სწორად, ზღვის მისტიკითა და პოეზიით.

"ზღვა კი იმთავითვე თან დასდევდა ნიკას, ზღვამ ყველაფერი იცოდა, ამიტომაც სადაც არ უნდა ყოფილიყო, საკუთარი სხეულივით თან დაატარებდა ზღვას, თუნდაც სევდა და ტკივილი მოჰყოლოდა ამას, თუნდაც განუზომელი ტყუილი და სასჯელი. გრძნობდა, ზღვა მარტო ნეტარებისა და შენდობისთვის არ სჭირდებოდა, იცოდა, რომ ზღვა რაღაცით უფრო დიდია, ვიდრე ნაღდი, ვიდრე შენდობა. ამიტომ მუდამ ფიქრობდა ნიკა, რომ ისევ ზღვა უნდა მოეგონებინა მისთვის, თუნდაც ხანმოკლე სიმყუდროვე და ღამეებში ჩარჩენის ნიჭი." ("სიკვდილზე არ ლაპარაკობენ").

მ. ალექსიძის მოთხრობებში მთელი სამყარო ემოციური განცდის ნაწილია. უფრო ზუსტად, ამ განცდებში იბადება და არსებობს იგი. ამის გამო ობიექტური საგნები, სულიერი დრამა და მხატვრული ლირიზმი მათ ბუნებრივ მთლიანობაში ონტოლოგიური მოცემულობაა. სხვაგვარად, უბრალოდ, არ ხდება. ამიტომ არაფერი განარჩევს ერთმანეთისგან ქალსა და ზღვას, როგორც ორ მსგავსებას, ძვირფას მსგავსებას და ამ მსგავსებაში თავისუფლებისა და სიყვარულის ურთიერთბრძოლისა და ურთიერთმორჩილების გამოუვალ დილემას.

"აი, ქალი გამოვიდა ზღვიდან, ზუსტად თმას იწურავს და მეც ზუსტად იგივე გავიფიქრე: "ეს ქალი მართლა ლამაზია", მაგრამ ახლა შეიძლება დამხრჩვალიყო და მე ვერაფრის გაკეთებას ვერ მოვასწრებდი... ჰოი, წარმტაცო ქალო, ოდნავ ჯიშიანო... ცრის, რას იზამ, არც წვიმს, არც თქორავს, ცრის, ინტელიგენტურად ცრის... რა უნდა იყოს ამაზე კარგი და სასურველი... არადა ეს ქალიც როგორ მომესურვილება ხანდახან, ეტყობა შორიდან ეს ქალიც ცრის, საშინლად ცრის, აუტანლად ცრის, მისტიურად ცრის... მე ვერ ვწერ ამ ქალზე იმიტომ, რომ მომესურვილება ხოლმე, ოხ, ეს ინტელიგენტური სიყვარული, თანაც ზღვასთან, უფრო სწორად, ზღვიდან ქალამდე... აბა რა ვქნა, ასე უნდა ვიარო, ზღვიდან ქალამდე– ზღვიდან ქალამდე... ზღვიდან ქალამდე და უკან..." ("სიკვდილზე არ ლაპარაკობენ").

მიკა ალექსიძის მოთხრობების პოეტურ სამყაროში ბუნების განცდაც თავისებურია და ახალი. ამ თვალსაზრისით ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით მდიდარია. შეიძლება ვთქვათ, ბუნების თემით ქართულმა ლიტერატურამ არა მარტო სხვა ლიტერატურების გამოცდილებები გამოიარა, არამედ შექმნა საკუთარი, უნიკალური მხატვრული რეალობები, რომლებიც დღესაც განსაკუთრებით აქტუალურია, თუნდაც, მთისა და ბარის, როგორც მაღალისა და დაბალის, ნაცნობისა და უცხოს პოსტკოლონიალური დისკურსის კონტექსტში...

მაგრამ ამ კონცეპტუალური დიქოტომიის გვედრით არსებობს ბუნებასთან ადამიანური დიალოგის, მისი ანთროპოსოფული ხედვის ლირიკული ტრადიციაც. ამ ტრადიციის ნაწილია მიკა ალექსიძის მოთხრობები.

"მერე მოვიდა ზამთარი, რომელიც ადრეც წვიმებით იწყებოდა, მაგრამ იმ ზამთრისპირს განსაკუთრებით საამოდ წვიმდა. მომეტებული სიჩუმითა და სიხშირით, ნელა ეშვებოდა წვიმის ფარდა და უკვე ქარვისფერს ლეგა ფერები სჭარბობდა. ზეცაც სადღაც შორს მიიწევდა, სხვა შენობათა სახურავებისაკენ, ნიკას თვალებში ვერ დატეულიყო თითქოს. მერე ხეებიც გაშიშვლდნენ, ჩამომახინჯდა მათი ერთ დროს მშვენიერი სხეული, ახლა ისინი მთლიანად მიწას მოწყვეტილნი ჩანდნენ, ცალ-ცალკე ტოტებად დაჩეხილნი, ამღვრეულ სივრცეში განფენილნი, მოშავონი, უხერხულად ატოკებულნი, და ნიკა უკვე დამწუხრებული თვალით დაეძებდა ცას, რომელიც აღარ მოდიოდა მასთან..." ("სიკვდილზე არ ლაპარაკობენ").

თუ ლიტერატურა აზრების, ემოციების, სიტყვების მოულოდნელი კავშირის, საგანთა მოულოდნელი განლაგების სამყაროა, მიკა ალექსიძე ამ მოულოდნელობების დიდი ხელოვანია. მოულოდნელი კავშირების სულიერი გამოცდილება კი იმათი ძალაა, ვინც სამყაროს ფსკერს გული შეახო და ამოიცნო მისი იდუმალი ნასკვი. სხვაგვარად აბა როგორ შეიძლება მხატვრულ ერთარსად გამოძერწო ეროტიზმის, დროისა და სიცარიელის წინააღმდეგობრივი ბუნება: "სიყვარული", "ისტორია" და "არაფერი" მათი ურთიერკავშირებითი ბუნებით გამოხატავდეს სიცოცხლისა და სიკვდილის ამბივალენტურ დიქოტომიას და თან მახვილი მზერით გადაწვდეს საკაცობრიო ბედისწერის პათოლოგიებს?! რომ პოლიტიკა პათოლოგიაა, რომელშიც სამყაროს წესრიგის საღი ხედვა გამრუდებულია. აქაც, მხატვრული აზრის ქვეტექსტში, იკითხება სამყაროს მთლიანობისა და ბუნებითი მშვენიერების მიმართ ადამიანური

სიხარული და მისი ამოყირავებული, ამოცარიელებული რეალობისადმი ტკივილიანი დანანება:

“საოცარი იყო ქალი უსამანო სიცარიელეში, სადაც მათ შორის მთელი საუკუნე ჩამდგარიყო ან უფრო მეტი, სადაც რაიმე რეალურთან მიახლოებას იქნებ იმდენი ძალა სჭირდებოდა, რამდენიც ხელახლა გაჩენას და რა გასაკვირია, თუ ხელახლა გაჩენა კიდევ უფრო ზარავდა ნიკას, რადგანაც უეცრად მიხვდა, რომ ჯოხზე ლეკვივით ხტომა კი არ ყოფილა ყველაზე საშიში ან როცა ფეხის გულებში დაუსრულებლად გცემენ, არამედ როცა სიცარიელეში გხედნიან, სიცარიელეში, სადაც ამბოხს და გაძალიანებას არც აზრი აქვს, არც ვნება, სიცარიელეს არაფერი აკლდება მაინც. ბოლოს მგელი და ძაღლიც, გაქუცულნი, აეკვრიან თავიანთ ლანდებს, როცა ქანცგაწყვეტილნი იგრძნობენ, რომ დრომ მაინც აჯობა ეშმაკობით და სადაც პირდაპირ შესაძლოა, მცირე წინააღმდეგობას წასწყდომოდა ან რაღაც არ გამოსვლოდა, რაღაც გართულებოდა, სულ უბრალო გზით მოახერხა, რომ თავიდან აეცილებინა თუნდაც უკმაყოფილო სახეების ბორგვა. დრომ გაულეველი გზით შეიპატიჟა თავის საუფლოში, სადაც წინააღმდეგობით თავადვე იღლებიან, ბატონმა დრომ კი მშვენივრად იცის, რომ სიკვდილზე მეტად გაულეველია იგი– სიცარიელე– და ამისათვის უამრავი ხერხი მოიგონა. იქნებ აქედან, ამ მასალიდან იძერწებოდნენ დასაბამიდან მწამებლები, სადისტები და დიქტატორები, ეგებ ამიტომ ასე პირწავადნილად ჰგავდნენ თავადაც დროსა და ეპოქებს, რადგანაც ისინი, ისტერიულ აგონიამდე მისულნი, დროის სახელით ქმნიდნენ მორჩილების, თვინიერების, სიბეჩავის ქსოვილს, უფრო სწორად, არარსებულ, არარეალურ სინამდვილეს კონკრეტულად არსებულთათვის, და თავადვე ფანატიკურად შეპყრობილნი, ყოჩებივით თავაღერებით მიუძღოდნენ დედამიწას ამ სიცარიელის გაულეველ გზაზე“ (“სიკვდილზე არ ლაპარაკობენ“).

რა არის ლიტერატურა, თუ არა სინამდვილესთან ზღვარის წაშლის ილუზია, უფრო სწორად, სინამდვილის თარგმანი,

რომელსაც არა აქვს ვალდებულება ცხოვრების სურათის ტრივიალურობას პირდაპირ იმეორებდეს. ამიტომ "თარგმანის" მოვალეობაც კია, მეტი იყოს "ორიგინალზე". ლიტერატურის ისტორია ამ მოვალეობის ოსტატობის ისტორიაა. მიკა ალექსიძის ერთ მოთხრობაში "მდუმარების მეჯლისი" წერა ნაწილია ცხოვრების, რომელიც თვითონაც მხატვრულ აქტია. აქ წერა არც არაფრის შეჯამებაა, არც – გაგრძელება, იგი სრული ჩართულობაა სიცოცხლის კანონებში:

"დიდი ხანია ცისთვის აღარ შემიხედავს ესოდენ მშვიდად. ავხედავდი წინათ, ამემღვრეოდა, ამოტორტმანდებოდა თვალწინ, დამფარავდა, დამახრევინებდა ქედს, დაბეჩავებულ ხარს მამსგავსებდა. ამიყვანდა მერე წყვდიადში, შავ მუჭისხელა ლაქად მაქცევდა, უმოწყალოდ ისე დამანარცხებდა მიწას, რომ დაბღავლებასაც ვერ ვასწრებდი ხოლმე. თუმცა ხარის აღსარება სად გაგონილა... ტყვიისფრად დაფენილ ცაში მე პოეზიას კი არ ვხედავდი, არამედ უმწეოდ მიწაზე დასათხლეშად ატატებულ პატარა ლაქას... ასე იწყებოდა ჩემს სიყმაწვილეში ერთი უბრალო მოთხრობა, რომელსაც სათაური ველარ მოვუფიქრე და "ქრისტეს თვალები" დავარქვი რატომღაც. ეს იყო ძალზედ ბავშვური, გულუბრყვილო მოთხრობა მდაბიორზე, რომელსაც საკუთარი რაიმე ცოდვა კი არა, საკუთარი მეძავიც კი არ გააჩნდა, თუნდაც ერთი ღამით. და მაინც ერთხელ მიმწუხრისას ქუჩაში მარტოდ მოარულს უეცრად ჩაესმა: "შენ უკვე არაფერს აღარ ჰგავხარ, შვილო ჩემო" ("მდუმარების მეჯლისი ("იქნებ ყველაზე ალოგიკური ამბავი").

და მერე ვკითხულობთ უმშვენიერეს პოეზიას იმის შესახებ, როგორ გამოიხმობს არარსებობა არსებობის ეფემერას, სიკვდილი – სიცოცხლის მითს, და რომ, საბოლოოდ, სიცოცხლე თავის ბრძნულ არასრულყოფილებაში როგორ აბამს ბედნიერების ნატიფ ხაზებს ტკივილისა და არყოფნის გულზე. სიყვარულის ამბავი, რომელიც ამ მოთხრობაშია გადმოცემული – ეს არის სამყაროს სინათლის ხედვა მისი ბნელი, დაფარული მხრიდან, ეს არის

სამყაროს ამოყირავება, დაშლა უმარტივეს ნაწილებამდე, რომ მისი არსის ყოველი წვრილმანი მისი განცდის ყოველ წვრილმანს დაუსაბამდეს.

როგორც შეუძლებელია მოყვე მუსიკა, ისე შეუძლებელია მოყვე მიკა ალექსიძის მოთხრობები. ამიტომ ისინი უშუალოდ უნდა განიცადო. და მაინც, რა არის ამ მოთხრობების სათქმელი, რის შესახებ ყვება ისინი? ალბათ იმის შესახებ, თუ როგორ სუნთქავს სამყარო; რომ პოეზია სიცოცხლის არტერიაა, რომელშიც სამყარო მიედინება და გვერდით ტოვებს ცხოვრების ფუყე სისავსეს, რომელსაც შეუძლია სუნთქვაშეკრულმა ჯიუტად იდინოს, რომ მერე სადღაც, როგორღაც ადამიანების კერძო ბედისწერაში მარადიული და დროული ერთმანეთს მაინც შეაბას და შეაერთოს...

7-13 ნოემბერი,
ბათუმი, 2017 წ.

6. ახალი თარგმანები

ლარს ჰაგერი

თარგმნა მანანა მათიაშვილმა

შვედი პოეტი და მთარგმნელი. დაიბადა სტოკჰოლმში, 1958 წელს. არის შვედეთის მწერალთა გაერთიანებისა და შვედური PEN-ის წევრი. 1980-იან წლებში იყო ცნობილი ლიტერატურული ჟურნალის, ,,Hjärnström" რედაქტორი. გამოცემული აქვს 5 პოეტური კრებული და ინგლისურენოვანი პოეზიის შვედური თარგმანები. მისი რედაქტორობით გამოიცემა შვედური მწერლობის სხვადასხვა ანთოლოგია. 2008 წლის ნოემბერში ლარს ჰაგერი შვედური რადიოს მიერ დასახელდა ,, თვის პოეტად". ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს შვედეთის ქალაქ უფსალაში და ხელმძღვანელობს ,, შვედური ლიტერატურის ცენტრს უფსალაში", რომლის დაარსებაში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი. გთავაზობთ ლარს ჰაგერის ლექსებს ციკლიდან ,, მწვანე თმა".

* * * (წვიმს მოზელს აწვიმს...)

წვიმს მოზელს აწვიმს
წყლის მორევი რაინს მიჰყვება
ჯერ კიდევ დროა ზაფხულამდე
სანამ აქ ვართ
სანამ აქყოფნის ბოლო იქნება
არავინ გვთხოვს ხმის ამოღებას

* * * (იდუმალი ხარ როგორც ქარვის ქვა...)

იდუმალი ხარ როგორც ქარვის ქვა
როგორც შტიფტერი ადალბერტი[19]
ნაციზმის შემდეგ
მოზელს რაც უფრო შორს მიჰყვება
უფრო სუფთა ხდება რაინი
შენც ასევე – ლუქსემბურგთან
სულ სხვანაირი გემო გეძლევა
ასეა მუდამ
ახლოს ყოფნას ყოველთვის მოსდევს პასუხისგება

* * * (როცა ამბობ რომ მეშვიდე ზეცა...)

როცა ამბობ რომ მეშვიდე ზეცა
დაჯავშნილია ჩვენნაირთათვის ვფიქრობ
სასტუმროს იმ ოთახზე რომელიც მუდამ
მზადყოფნაშია ჩვენს დასახვედრად
ასე თუ ისე
არავითარი ანგელოზები ჩიტები და არც ყვავილები
ხმაშეუვალი ოთახია
ორთქლის აბანოს მოწყობილობით

* * * (ის დავინახე მწვანეთმიანი...)

ის დავინახე მწვანეთმიანი
თვალების სწრაფი მოძრაობები
კატატონიის განცდას ტოვებდა
ვიცანი დამღა – იგი აჩნდა მარჯვენა თეძოს
რომელზეც თქვა მწვანე თმა მაქვსო
ციტირებას ვაპირებდი და დამავიწყდა
რაღაც უნდა თქმულიყო მგონი
სიმაღლიდან ვარდნის შესახებ
(ხარაჩოდან თუ რაღაც ამგვარი)
უნდა თქმულიყო ქერათმიან ბიჭებზეც სიტყვა
რომლებიც თითქოს გოგომ ნახა რაინის პირზე
როცა იხვებს საჭმელს უყრიდა
მაშინ ვიღაც შეეხო მის თმას
გაეთამაშა
მერე კისერზე ჩამოუშალა
და თავი უკან შეუტრიალა

* * * (შევყურებ...)

შევყურებ
1945 წლის
ფრანკფურტის
ფოტოს:
დანგრეული ქალაქიდან
გადამწვარი კათედრალის ნაშთებია შემორჩენილი.
ნუთუ ვიღაცას მართლა სურდა ეს მომხდარიყო?
მე მხოლოდ ვნახე
თვითმფრინავების ნაზი ლივლივი
ღრუბლებს შორის
და ვარჩიე მერწმუნა რომ
ანგელოზები დაფარფატებდნენ
ადამიანთა თავებს ზემოთ
და რომ ეშმაკი არ არსებობს
ამ სიმაღლეზე

* * * (თუ შევიყვარებთ...)

თუ შევიყვარებთ
ჩვენ ერთმანეთს
განადგურდება
შენი სამყარო
სამყარო რომ არ
გვყვარებოდა
მაშინ
მოგინდებოდა
სიკვდილებისთვის
გეყურებინა

სიყვარული
იწონის
გრამებს
სიკვდილი კი
რკინიგზის სავსე ვაგონების
სიმძიმისაა
მალე
სულაც აი ახლა
შენს თვალებს
არ სურთ
გამოღვიძება

* * * (არაფერია თუ ვერასდროს...)

არაფერია თუ ვერასდროს
აქ მანქანით ვეღარ გავივლით
და მოგვიწევს შენთან დარჩენა

სვიის ყვავილი სანტიმეტრობით იზრდება აქვე
ამ სახლის ჩრდილქვეშ
ქორჭილა რომელიც ეს ესაა გამოვშიგნე
სამზარეულოს მაგიდაზეა
ლურჯ საფენზე ვენეციური
საფერფლის გვერდით

ერთი ცა გვხურავს
შესაჭმელი უკვე შევჭამეთ
არაუშავს ეს ხომ ერთი წვიმიანი ღამეა მხოლოდ

მაგრამ აი კობლენცის სარკინიგზო
სადგურისკენ რომ გავემართებით
მაშინ ნამდვილად გავხდები ბედნიერი
თითქოს მუდამ ვიტყუებოდით
და შევწყვიტეთ ქოლგა გავშალეთ

მგზავრი თავის გზას ვეღარ აგნებს
წვიმა უყვართ ყვავილებს ისევ

ალექსანდრე ალტშულერი (1938-2014)

თარგმნა დათო რობაქიძემ

პოეტი. ცნობილია, როგორც ლენინგრადის სამიზდატის ერთ-ერთი ავტორი. მიეკუთვნება ლენინგრადის 60-70-იანი წლების არაოფიციალურ პოეზიის წრეს, მიუხედავად ამისა, პირდაპირ მისი ასოცირება რომელიმე ლიტერატურულ მიმართულებასთან ძნელადაა შესაძლებელი. 1993 წლიდან ცხოვრობდა იერუსალიმში. ალტშულერის ტექსტები გამოქვეყნებულია კ. კუზმინსკის ანთოლოგიაში «У Голубой Лагуны», ალმანახებში: “Ґორეტტი”, «24 поэта и 2 комиссара; ჟურნალებში: «Транспонанс», «Митин журнал», «Крещатик», «Воздух». სიცოცხლეში გამოცემული აქვს ორი წიგნი.

ურიცხვი გარემოებები

1

ფრინველის ფრთა
მსუბუქი ფრენისას კანკალებს.

2

იღლიაში ღრიჭო პარასკევის.

3

გაცვეთილ კარზე ვნახე თაობათა ნაკვალევი,
ზღვის ნიჟარაზე – შერწყმა და სიყვარული,
ნაგავში – უცნობი ყვავილი,
ჩატეხილი ბანიდან – ზეცა,
ჩამოვარდნილ წვეთში – მისწრაფება უწყვეტობისკენ,
სიმშვიდეში – მოძრაობა
და მოძრაობაში ყოველდღიურობა,
ჩავლილში – სიგიჟე
და არსებითში დაურწმუნებლობა.

4

წრიპინა ვინეგრეტი

5

როგორ ცვლის ბედი ადამიანს
და როგორ ცვლის ბედს ადამიანი –
ცარიელ სახლში მოდიან ვნებები.

6

დრო დაენარცხა
ოქროს ძაფთა ვერცხლისფერ კრთომით.

7

სხვის გადამალვას – საკუთარი უფრო ახლოა.

8

ტირილი ქალაქში
თვალმოუწყვეტელი ვაზის მტევანივით ეკიდა
და მორიგეობით უთვლიდა ცახცახით,
გათავისუფლდით გარდაუვალი ცოდვებისაგან
სპეტაკი თოვლივით...
სადაც პოეტები ხელებს იქნევდნენ
და დახლქვეშ ცვიოდა სმოკინგები.

9

კაციჭამია მაიმუნეთში თავი მოკვეთეს
ლანკასტერების დინასტიის სამ შთამომავალს.

10

რაზე ჩურჩულებს ორი ფოთოლი?

11

არ ვართ დაზღვეული
საკუთარი თავის ტყვეობიდან,
თუ გითხრეს, წინ წადი,
უკან იარე – გზად შეიყრებით.

12

უმსგავსობიდან სულმდაბლობამდე,
ზომაზე მეტად გახსენებაც
პირს გივსებს ზიზღით
ფტუ?

13

ხელობით სიტყვის გაწვალება არ შეიძლება,
ყვიროდა ნაღვლიანი ცა და ტიროდა.

14

გამორიცხული არ არის, რომ თქვენთან მოსვლა
მიბიძგა იმან,
რახაც ვეძახით უპირატესობის თაგვურ ბუნებას.

15

მშვიდად, ღირსეულად, თავისუფლად,
აუჩქარებლად, უაურზაუროდ.

16

მინდორი ბორგავს და აგრძელებს ცხოვრებას,
ყვავილი ფრენისთვის ასკეტურად ემზადება.

17

ალიასკის ცაზე
თვითმფრინავი ეკიდა.

18

ქარი აწვალებს მწვანე ნაწნავებს.

19

მშვიდი დღე, მიქანცული სახურავები,
უცნაური ამბავი სიმბოლურად.

20

ძაღლმა პატრონი დაკბინა
და პატრონმა ძაღლი.

21

ბუშტებიც სკდება,
ლოკოკინა შინ შეიმალა,
მეგობარი ბეღურა მოფრინდა.

22

ხის სახე.

23

კუნძული წერტილად გადაიქცა.

24

სხვა ხვლიკის თავი
წითლდება და ფითრდება,
ფეხსაცმლის გახდაც შეუძლია.

25

პატარა მაყუთის
აგდება შევძელი,
შურეთის ქარები
საწოლში შემიძვრენ.

26

ორსული ხე.

27

გულივერი ციცქნა შარვლით –
ჟღვლინტი.

28

ღრუბლებამდე აღზევდნენ წიწილები.

29

ორმოც და თოთხმეტი,
ორმოც და თხუთმეტი,
ორმოც და თექვსმეტი...

30

მძიმე, ბლანტი, ლურჯი უდაბნო.

31

სიტყვები – ყმუილი არარსებულზე.

32

შეუძლებელია შეეგუო აზრს,
რომ ბუნებრივად ცხოვრება უფრო რთულია.

33

როგორ შევათანხმოთ შეუთანხმებლობა,
ხე რაზე ფიქრობს...
დაინტერესება ყველაფრით, რაც უმნიშვნელოა,
დეფორმირებული, რითმიანი არარაობაა.

34

სავარაუდოდ, საფუძველი უსასრულოა,
ბეღურა: ჭიკ-ჭიკ...
ისევ კენკავს ნამცეცებს სიტყვის
და წამის შემდეგ ქრება სადღაც.

ამაყობს ტლანქი საფუძველი
სულელის დანთქმას,
მიწაზე გუგებს აბჩენს ზეცა
და სტვენს შორიდან,
შორეთიდან რეჩიტატივით.

35

საკუთარ ხვრელში ამოჰყო თავი.

36

ზედაპირული სიტყვის საფარი
ენის ბაგაში ყრია და ცვივა,
კანონი ჩიტის, კანონი კაცის,
კანონი პეპლის, იმ ხის და ამ ხის.

37

ირემი იყნოსავს ტაიგას.

38

ტყუილი ნაადრევად არ იხსნება,
ახალი ეშმაკები მოდიან შესაცვლელად.

39

ფოთლების ნარუჯი ჭორები.

40

მოზარდი ჰუმანოიდები.

41

დაკიდებული მომაბეზრებლობა.

42

მინდა გავხდე შეუმჩნეველი.

43

ჭკუის უხამსობა ხმამაღლა განსჯაა,
განსჯის უხამსობა უჭკუოდ განსჯაა.

44

სხეულის წვეთი ფსკერზე დავარდა,
სხეულის წვეთმა გახსნა დარაბა.

45

იღვიძებ უცნობ სამყაროში
მსგავსების გვერდით.

46

ორსული ხე,
ფოთლების სამოსი.

47

ყველაფერი ბოდვაა: სრულქმნილებაც,
საიდუმლოც, ნეტარებაც.

48

მოახლოებული ხმაური...

49

აღთქმები, ეტლები, მოკითხვები
და სხვა სიბრძნის სიცრუეები.

50

მცირე წვრილმანზე ყურადღება თუ არ დაძაბე
ყველა ფაჩუნი შეიძლება ზღარბი გეგონოს.
დაიკიდე...
კატეგორიებით ძალდატანება,
სიცრუის შავი ქუსლი.

51

საკუთარი სისულელის ძეგლი.

52

სიტყვები, სატყუარები და ხაფანგები.

53

ხმა გავარდა, რომ მეგობრობენ –
როგორც ტუალეტი და ფანჯარა.

54

მავთული კოლოფში,
ჭია შუა ცეცხლში.

55

იღლიები ფანჯრის რაფაზე,
ფოთლები თესლებს შეეზარდნენ.

56

უცხო ვნებების სინამდვილე.

57

ქარი გულგრილობს ხეებთან, მაგრამ
ხეებს ჩვევიათ ქარისკენ დახრა.

58

ფანჯრის ღრიჭოდან მთვარის შუქი
რაღას დაეძებს მსუბუქ ჩანთებში.

59

გადაანაცვლეს, გადააადგილეს, მიაგდეს.

60

არაფერი არ შეცვლილა,
მე შევიცვალე.

61

ღრმად მუქი ღრუბლები.

62

ჩასვრილი უსასრულობა...

63

მოწოდებით იდიოტი,
მთელი ცხოვრებით იდიოტი.

64

მიდრეკ-მოდრეკით გადამფრენი გრეხილი
მსუბუქი ნესტის.

65

თმახუჭუჭეთიდან სახე იბადება
დროის სავარცხელზე –
ადამიანები...

66

უჯრედის დემაგოგია ჰომეოსტაზამდე.

67

ფეხსაცმელივით მოჭერილი ფრაზა.

68

ერთელ ის ადგა და წავიდა,
მთაზე ააღწია ჭიანჭველამ.

69

სამი დღე, სამი დღე.
სამი ღამე, სამი ღამე.
სამი ხე, სამი შრიალი.

70

გადაფრენები, გადასხმები,
გადაგდებები, გადაწვენილი ყანები,
გადავლილი და გადათელილი,
თუ წინაღობა, თუ გაძევება.

71

მსხვილი წერტილი:
ბებერი პეტრე ილიას ძე
კირშენბაუმი,
კარლო პეტრეს ძე ბურუნდი.

72

პოლიგლოტის ვედრო – მინდვრის პარადოქსი,
წრიპინის ხვეულ გასხლტომებში
პირდაპირი გზით მიმავალი როცა ხვდები
მოსახვევში ჩიტის ნაფეხურებს.

73

საძაგელი პირი მთელი პროგრამით
ნთქავს მარადისობას.

74

კოკორი, კუ, ჭაობის სოკო.

75

ლიტერატურასთან მაქვს ისეთივე დამოკიდებულება,
როგორც მუსიკოსს მუსიკასთან.
კუთხის მიმოზა.

76

დემაგოგია ციხეში.

77

დაღლილი წაშლილი სანაპირო.

78

იხარჯება ენერგია,
წრიდან წრეზე დარბის,
იმეორებს, უბრუნდება,
მდელოსა და ადგილს.

გაფრენილი ფრინველები,
ჩხვლეტენ გამომწვევად,
კვნესის თეთრი აკაცია,
დარჩენილი ველად.

79

მდინარე გათბა უნებლიეთ,
ერთი შეხედვით,
ერთ ამოსუნთქვას
მოჰყვა ღრუბლის ამოდინება.

80

არკადის ასულო, არაჟან!

81

ბავშვები ჩქამსაც იგებენ ფოთლის.

82

არა ის, ვინც შენთან არის, არამედ შენი მოწინააღმდეგე
(კლასიკა და თანამედროვეობა).

83

კონკრეტულიდან უზუსტობამდე – ლა, ლა, ლა, ლა...

84

ძეგლი სხვისი აღმატებულებისათვის,
მისწრაფება წინსვლის გარეშე,
წარმოშობამდელი გამოცანა,
ზედაპირული მოვლენები,
ერთპიროვნული გამრავლება,
აღფრთოვანებული სულელი,
ნიშანი – ჩლიქების ბაკუნი.

85

კოცნის სირბილეს აღელვებს,
ბრალს რომ მინეტშიც დასდებენ.

86

მარადისობის ნამცეცი.

87

სიტყვით შევსება
სისავსესთან კეკლუცობაა.

88

მოსეირნე სტრიქონი.

89

ზლაკ კოსმოვიჩი,
თეოდორ კოფეინოვიჩი,
ჩაი ტაინოვიჩი,
ვოდ ვიდოვიჩი.

90

პირველი სტრიქონი არ იძირება,
პირველი სტრიქონი ტყვეობაშია.

91

შუშის მძივებით
დგას ფანჯარაში,
დაუდევრობა
თმაშიც ემჩნევა,
უქცევს ფრანგულად,
ბაგეშეღებილს,
კაბის ნაკეცი
ჭიპთან ეკვრება.
ნარევს თევზის და
მელაკუდასი,
სიტყვებს რომ ყლაპავს
ხისტი სკამიდან,
ლინზის უკან კი
გადამალული,
გაქნილი გუგით
გიმზერს თვალიდან.
საბრალო დილა
ალბათ მის ხელში,
გამოჭერილი
და დაფარული,
ხეებს ეყოფათ
მოსაყოლ ამბად,

მთვარის მკერდიდან
რძისთვის საწური.

92

გზად მიიწელება – წერტილი.

93

რიტმი კრეფს სიტყვის ნამცეცებს.

94

გადაღლილ ნივთებთან შეხება.

95

ჰორიზონტალური სიტყვები.

96

იქ, სადაც არის თავისუფლება წყენის გარეშე.

97

სიგიჟის გადმოსახედიდან,
არასდროს არავინ არ არის
არავის აზროვნების წინააღმდეგ,
სხვა რა უნდა სულელის ჭკუას.
მძინარე ღირებულებები,
კმაყოფილება შიშინით, სტვენით,
ჩხავის და ქრება
არსებულს და არარსებულს შორის საზრისი,
შეძახილი ირგვლივ და გვერდით – არ დაიკარგო.

98

უხეშად შეკერილი კომბინიზონი
შეერთებული კატებისაგან,
თვითშეფასება,
თვითრეალიზება,

თვითშეთანხმება,
თვითღირებულება,
ნივთები არ დგანან თავიანთ ადგილებზე,
უღრანები ლომებს იცავენ,
გორაობენ უღიარებელი გენიოსები,
ავტოსთენიკური მდგომარეობა მუსიკისათვის,
პატრონი ძაღლის კვალს აეკიდა,
ბუზი ჩაფიქრდა.

99

ზოოპარკი ვოლიერებით, თავის კანტურით და პლევრიტით.

100

ნუ უღებ კარს უცხოს,
ბუნება დაღლილა,
დრო, წესი სადღაა,
თავს ჯავრობ მოწევით.

101

ნაცრისფერს ჩვევია ყველაფერს მიეკრას.

102

ყველაფერი მიდის, მისხლტება, ქრება...

103

უცხო ქვეყანაში – უცხო ხმები,
მშობლიურ ქვეყანაში – სხვა ხმები.

104

ჩუმი ჩქამი კედლის უკან,
ფრთების ჩუმი ჩქამი,
რომ გაკვირვებს იქ შენს ნაცვლად,
ნუთუ ვიღაც არის.

105

სიჩუმის ჰაერით ასულდგმულებ
სულის სურნელებას.

106

გარემოებათა გარეშე.

107

შემინული დღეების თაიგული.

108

ყველაფერი, რაც არ ვიცი ცხოვრებაზე,
გამოვაწყე პოეზიის სამოსელში.

[1] არისტოტელეს მოედანი – თესალონიკის მთავარი მოედანი.

[2] ზინომავრო (ბერძ. მჟავეშავი) – ბერძნული ვაზის ჯიში და ღვინო.

[3] სხვა განმარტება სულის – იხ. არისტოტელე „სულის შესახებ“.

[4] ლემნოსამდე გამცურავი პელასგი ლტოლვილები – ჰეროდოტეს და სხვათა აზრით, კუნძული ლემნოსი პელასგების უკანასკნელ ბასტიონს წარმოადგენდა.

[5] სანამ ადამიანების ხმები არ გაგვაღვიძებენ – აშკარა ციტატა ელიოტის პრუფროკიდან.

[6] კვიპაროსი პოეტის ფანჯარაში – აქ განმარტება აუცილებელია, „პოეტი“ მე არ ვარ, ლაპარაკია შალვა ბაკურაძის ფანჯარაზე, რომელიც მდებარეობს სხვა პოეტის, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ქუჩაზე თბილისში.

[7] მაკედონიის წითელ გორაკებზე – იხ. მარტინ ლუთერ კინგის “I Have a Dream”.

[8] სხვისი კბილებით პირში – იხ. ბენ ლერნერი, Mean Free Path. ლერნერს მეათე თავში დავუბრუნდებით.

[9] მაქამი – არაბული მუსიკალური ტერმინი, შდრ. აზერბ. მუღამი.

[10] სიკვდილი ბატონია ავღანეთიდან – იხ. პაულ ცელანი, „სიკვდილის ფუგა“.

[11] ნასიბ რაჰილ ჰიკამი – ძველი არაბული სალექსო ფორმის, ქასიდას ნაწილები. იქვე ჰიჯა, მადიჰი, ფაქრი.

[12] კაფარი (fr. cafard) – სევდა, მძიმე აზრები. საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში გავრცელებული, სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული დეპრესია, უდაბნოს სიგიჟე.

[13] იმპერიის გაქვავებული ბირთვი – იხ. რობინსონ ჯეფერსის „Shine Perishing Republic“. ამ თავის დასაწყისში, ორი ამერიკელი

პოეტის, რობინსონ ჯეფერსის და ეზრა პაუნდის განსხვავებულ პოლიტიკურ მრწამსებზეა საუბარი.

[14] მის პატარა ხელებში – იხ. დონალდ ტრამპის ხელები.

[15] ნოლიტა – North of Little Italy, უბანი მანჰეტენზე, აქ და შემდეგში ნახსენებია მანჰეტენის უბნები/სამეზობლოები.

[16] „არ ვიცის“ პასუხობენ ყველა კითხვას – Know Nothing, ანტიკათოლიკური მოძრაობა XIX საუკუნის ამერიკაში.

[17] 110-ზე რომ ააღწევ – ასმეათე ქუჩა საზღვრავს ჰარლემსა და მანჰეტენის უფრო პრესტიჟულ უბნებს.

[18] კასრია თუ ქვევრი – დიოგენეს ხშირად კასრში გამოკეტილს ხატავენ, თუმცა ძველმა ბერძნებმა კასრის კეთება არ იცოდნენ და სავარაუდოდ დიოგენე ჭურში (ამფორაში) იჯდა.

[19] ადალბერტ შტიფტერი – ავსტრიელი პოეტი.